ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

LA GÉORGIE COMBATTANTE

1 იანვარი, 2003 წელი – ნომ. 32(50) – 1re Janvier 2003

## ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს - ილია

საახალწლო

რა მოგვიტანა 2002 წელმა? ... 1
ილია II დაბადების 70 წლისთავი ... 3

სოხუმის დაპყრობის 9 წლისთავი

ვინ დგას არძინბა-ჯერგენიების ზურგსუკან? ... 4
ზეინო ბარანი საქართველოს შესახებ ... 5
ბერნდონერის ცნობები ჩვენი აფხაზეთიდან ... 6
ჩვენი აფხაზეთი და რუსეთი ... 9
ქართველი ერი ბოროტმეხსიური ერი არ არის ... 10
"სუსლოვის სული" ... 13

ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

გრზნობებს არ აეყვეთ თანამემამულენო! ... 14
გენერალ ჯონ შალიკაშვილის რჩევა ... 16
"ვინების კორიანტელი პარლამენტში" ... 17
ჩვენი პრობლემაა არა მარტო რუსეთი ... 18
"კალაშნიკოვის ენა" ჩეჩნეთში ... 20

პუბლიცისტიკა

ქართული ეროვნული საბჭოს 85 წლისთავი ... 22
"თავისუფლების იმპერიის" გლობალიზაცია ... 26
ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მემატიანე ... 27
მცირე მნათობი "კაკაბაძე" ... 29
რადიო "თავისუფლების" 50 წლისთავი ... 30
საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერა ... 37
არ დავივიწყოთ "დასამეები შემწყნარებლობა" ... 38
თურქეთი და საქართველო დღეს ... 40
ვითომ "...საქართველოში ყველაფერი დალპა?" ... 42
"ამერიკის ყველა ომი არის ჯვაროსნული" ... 44
ქართველი ახალგაზრდა ფერმერები შვეიცარიაში ... 45
აშშ მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას ... 47
ვივიწყებთ დემოკრატიის ანბანს? ... 48
მსოფლიო ქვეყნების სამხედრო ხარჯები ... 51

ქართველთა ყოფაცხოვრება უცხოეთში

ქართველთა ასოციაციის 70 წლისთავი აშშ-ში ... 52
აგვისტოს აჯანყების 78 წლისთავი ლევილში ... 53
გამოფენა "მესამე ასაკი" პარიზში ... 53
ლევილის ქართული მამულის 80 წლისთავი ... 55
მარაგზით საქართველოსაკენ ... 60
26 მაისი კუშუბოურში ... 61
"მრავალჟამიერ" მდინარე სენის გემბანზე ... 62
ქართველთა "ახალი ტალღა" უცხოეთში ... 63
საქართველო ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ ... 64
"უცხო თვალით" დანახული ნიუ-იორკი ... 65
ძალა ერთობაშია (ინტერვიუ თ.გულბანთან და მ.ჯანზენთან ... 66
ინტერვიუ პროფესორ ა.ამბროლაძესთან ... 68
ქართულმა თეატრმა ვაშინგტონში უმაღლესი ჯილდო მიიღო ... 69
"სუხიშვილების" კიდევ ერთი წარმატება ... 71
ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი ... 72

**დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მოქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე**

დაარსდა: 1952 წელს პარიზში —— Fondation: Janvier 1952, Paris

მ-775
42681
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## „მეოთხე სვეტი"

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოფილმი — დემოკრატიული, სამართლე-
ბრივი სახელმწიფოს ხელისუფლების „მეოთხე სვეტია" სახელმწიფო ძალაუფლების „სამი სვეტის" — მმართვე-
ლობის (მთავრობა), კანონმდებლობის (პარლამენტი) და მართლმსაჯულების (სასამართლო) გვერდით. აზრთა
სხვადასხვაობა და კიდევ დემოკრატიის სისუსტე კი არა, სიძლიერეა, თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს
შორის, პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პრიორიტეტები, ერის პოლი-
ტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოე-
ბრივი მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი ცხოვრების სარკე, რაც — თავის მხრივ — ნიშნავს იმას, რომ იგი
უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა
ფენა იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას თავიდან ამა თუ იმ პარტიის თუ დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა.

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი
კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d'exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d'autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n'est responsable, pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

# ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

# Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

arricl 19

Everyone has the righet co freedom of opinion and expression; this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to scet, receive and impart information and idext chrough any medis and regardless of froncie[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო

## 2002 წლის 31 დეკემბერი – 2003 წლის 1 იანვარი

### რა მოგვიტანა 2002 წელმა?

I.

გილოცავთ რა 2002 წლის პირველ იანვარს – ახალ წელს – პატივცემულო თანამემამულენო, "აქვე და ახლავე" ვაყენებთ კითხვას: რა მოგვიტანა გასულმა 2002 წელმა?

II.

გასულ 2002 წელშიც საქართველო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ალმავლობის გზით მიემართებოდა, თუმცა ჯერ კიდევ ვერ შევძელით სიღარიბის აღმოფხვრა საქართველოს მოსახლეობაში. მაგრამ "აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!" მომავლისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ კი დიდ ძვრას ჰქონდა ადგილი გასულ 2002 წელში იმ ისტორიული ფაქტით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკვე იმდენად დაიტერესებულია საქართველოს სახელმწიფოს ბედით, რომ იგი, სხვა სახის უანგარო დახმარებების გვერდით, "წრთვნისა და აღჭურვის" ფარგლებში, 64 მილიონ დოლარს აბანდებს საქართველოს თავდაცვის საქმეში, რომლის პირველი "კომანდო", ე.ი. სპეცდანიშნულების ბატალიონი, 2002 წლის 15 დეკემბერს, უკვე ჩადგა მწყობრში, რომლითაც საქართველოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ანტიტერორისტულ და სხვა სახის სპეციალურ საბრძოლო ოპერაციებში. და ამ "სპეცდანიშნულების კომანდოს" გვერდში ამოუდგება საჩხერეს სამთომსროლელთა ბატალიონი, რომლის დაკომპლექტებაც უკვე დაწყებულია.

III

და ჩვენი ახალი 2003 წლის დასაწყისში ვესალმებით აშშ-ს დახმარებას (არა მარტო) „წვრთნისა და ახჭურვის" ფარგლებში განსაკუთრებით იმიტომ, რომ უთუოთ ესაა გზა აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მისაღწევად, რადგან რუსეთიც უკვე იმდენად უახლოვდება აშშ-ს (არა მარტო) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, რომ საქართველო შეძლებს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

IV

ამგვარად უკვე გასაგებია. თუ ჩვენ რატომ ვუკავშირებთ საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ალმაცლობას, ერთ მხრივ აშშ-ს დაინტერესებას საქართველოს სახელმწიფოს ბედით და მეორე მხრივ რუსეთის დაინტერესებას თვით ნატოს ბედითაც კი. საქმე იმაშია, რომ, ჩვენ გვსურს ეს თუ არა, საქართველოს სტაბილიზაციის გზა „მოსკოვზე გადის" თვით აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემის მოგვარების საქმეშიც.

V

და რუსეთ-აშშ-ევროპის ურთიერთობის გაფართოება ნატოს, ევროპის საბჭოს თუ ევროპის კავშირის სფეროებში, უდავოა, დადებითად იმოქმედებს საქართველოს არა მარტო ტერიტორიული მთლიანობის ისევ აღდგენის საქმეში. ეს კი მოითხოვს დიდ დიპლომატიურ მოქნილობას აშშ – თან და რუსეთთან ურთიერთობაში, რადგან სანამ სამას–ათასზე მეტი ქართველი ვერ დაბრუნდება ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, საქართველოს ეკონომიკური ალმავლობის გზაც ჩახერგილია; და ეს კარგად ვიცით ჩვენ, რუსეთმაც და ამერიკამაც თვით ჩვენი მეორე დიდი მეზობლის – თურქეთის ჩათვლით.

VI

ამიტომ, 2002 წელს ჩვენ ვთვლით საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდატეხის წელიწადად, რადგან თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო იმდენად მომაგრდა, რომ თანდათანობით თავს ითავისუფლებს რუსეთის ცალმხრივი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ბატონობისაგან, რომლის ნიშნად გვესახება აშშ-ს სამხერდო დახმარებაც „წვრთნისა და აღჭურვის" სახით.

VII

აქვე შევნიშნავთ, რომ როცა 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებულ იქნა ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი", რომლის ძალით თბილისში შემოვიყვანეთ რუსეთის ჯარისკაცები, ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა საბედისწერო გახდა საქართველოსთვის ეს ნაბიჯი.

1918 წლის 26 მაისს, როგორც იქნა, დავაღწიეთ თავი რუსეთის განუკითხავ ბატონობას საქართველოში; 1920 წლის 7 მაისს კი დადებული იქნა რუსეთ–საქართველოს საზავო ხელშეკრულება; მაგრამ რა? – რუსეთმა ისევ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს და საქართველოს ტერიტორია დაუნაწილა ჩვენს მეზობლებს და რუსეთიც დაეპატრონა ჩვენს სოჭსა და მის რეგიონს თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს!... და წარმოიდგინეთ თვით რუსეთი იძულებული გახდა დაეშალა 1991 წლის 27 დეკემბერს რუსეთის ბოლშევიკური იმპერია – სსრკ – რის ნანგრევებზეც შეიქმნა ე.წ. „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა".

და როცა საქართველომ უარი თქვა დსთ-ში შესვლაზე, რუსეთმა, ომის გამოუცხადებლად დაიპყრო ჩვენი აფხაზეთი და შიდა ქართლი, სადაც რუსეთი ბატონობს თითო-ოროლა აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტის ნიღბით.

## VIII

მართალია, აშშ 1776 წლის 4 ივლისს „დამოუკიდებლობის მანიფესტის" გამოცხადებისთანავე დადგა თვითიზოლაციისა და იმპერიულობის არჩევანის წინაშე, მაგრამ ორივეს თავი აარიდა. ამგვარი თავისებურობის გამო, შვეიცარიელმა ისტორიკოსმა კარლ იაკობ ბურკჰარდტმა ამერიკელები დაახასიათა, როგორც „შემზარავ-უნარიანი" ხალხი, რომელიც „უცბად თავის თავს რჩეულ და მსოფლიოს აღმზრდელ" ხალხად თვლის. ბურკჰარდტი იმისგანაც აფრთხილებდა მსოფლიოს, რომ აშშ-მ „შინაგანი პოლიტიკური ალტკინება საგარეო პოლიტიკურ სფეროში არ გადაიტანოს, სადაც მას შეუძლია დიდი უბედურების გამოწვევა". და მართლაც აშშ-ს საგარეო პოლიტიკას დღეს აქვს შინაგანი პოლიტიკური მიზეზები, რომელიც თავს იყრის 2001 წლის 11 სექტემბერში, როცა ნიუ-იორკში აფეთქებულ იქნა მსოფლიო ვაჭრობის ცენტრის „წყვილი ცათამბრჯენები".

## IX

და ყველაფერ ამას ვიგონებთ ახლა 2003 წლის, ახალი წლის დასაწყისში იმიტომ, რომ შეუძლებლად მიგვაჩნია აშშ შედარებულ იქნას საერთოდ ყოველი ჯურის იმპერიებთან თვით რუსეთის იმპერიის ჩათვლით, რომელიც თითქმის ორასი წელი ბატონობდა განუკითხავად საქართველოში. ამერიკის შეერთებული შტატები – თუ ცნება „იმპერიას" მაინც გამოვიყენებთ – „თავისუფლების იმპერიაა", რომელსაც კოლონიები არასოდეს არ ყოლია, არ ჰყავს და არც ეყოლება. ამერიკა, მიუხედავად არაერთი მანკიერებისა, ერისა და პიროვნების თავისუფლების დანერგვას ცდილობს მთელს მსოფლიოში; და სწორედ ამიტომ ვესალმებით აშშ-ს მობრძანებას საქართველოში სამხედრო „წვრთნისა და აღჭურვის" ფარგლებშიც - შეძახილით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება".

## X

ჩვენ გვწამს, გვჯერა, რომ ამერიკა არსებითად განსხვავდება ყოველი ჯურის აწ უკვე დრომოჭმული კოლონიური იმპერიებისაგან, რადგან თუ ტერმინს იმპერიას ისევ გამოვიყენებთ – აშშ „თავისუფლების იმპერიაა". რომლის საფუძველი გახდა აშშ-ს „დამოუკიდებლობის მანიფესტი" 1776 წლის 4 ივლისისა. რის შედეგად აშშ-ს კონსტიტუციით აღიარებულ იქნა „ბედნიერება" – „happiness" ადამიანის როგორც უმაღლესი ფასეულობა, რამაც – თავის მხრივ – გამოსახულება ჰპოვა 1789 წლის 14 ივლისის, საფრანგეთის დიდი რევოლუციის „თავისუფლება–თანასწორობა–ძმობის" ჰუმანიტარულ მრწამსში, რომელთა დაგვირგვინებად გვესახება „მესამედასელთა" 1893 წლის 7 თებერვალს ჩამოყალიბებული სამოქმედო პროგრამის დევიზი – „ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა". ამდენად, 17̄6 წლის 4 ივლისის და 1889 წლის 14 ივლისის პირმშო შვილია 1918 წლის 26 მაისი.

## XI

ამდენად, 4 ივლისის, 14 ივლისისა და 26 მაისის დიადი იდეების პრაქტიკული განხორციელებისათვის იღწვის, ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებთან ერთად, ამერიკის შეერთებული შტატები; და აი, ამ მრწამსით გილოცავთ, ძვირფასო თანამემამულენო, მომავალ ახალ წელს და გისურვებთ წარმატებებს თქვენს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!...

კარლო ინასარიძე,

პარიზი. 2002 წლის 31 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ქ.თბილისი
სიონის 1

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ,
გილოცავთ დაბადებიდან სამოცდაათ და
ალსაყდრებიდან ოცდახუთი წლისთავს ქარ-
თული ეროვნული საბჭოს სახელით უცხოეთში.

თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, საქართველოს ეკლესიის არსებობის მანძილზე, ერთერთ ურთულეს პერიოდში გიხდებათ ქართველი "ერისა და ბერის" სვებედის საჭეთმპყრობელობა საქართველოს პრეზიდენთან ერთად.
მართალია, საქართველოს რესპუბლიკურ ხანაში, რომლის საწყისად 1918 წლის 26 მაისი გვესახება, კონსტიტუციით "სახელმწიფო და ეკლესია განცალკავებულნი და დამოუკიდებელნი არიან" (მუხლი 142, 1921 წელი, 21 თებერვალი), და 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მეცხრე მუხლი "აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში", რაც ჭეშმარიტებაა. მაგრამ, როცა 1991 წლის 9 აპრილს ისევ ალსდგა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე, სრულიად საქართველოს ავტოკეფალურმა ეკლესიამ, თქვენი ხელმძღანელობით, დიდი როლი ითამაშა "ჩვენი ერისა და ბერის" ეროვნულ შერწყმაში, რის განხორციელების პროცესში ვიმყოფებით დღეს. ამ დიდი ეროვნული ხორციელი და სულიერი შეხმატკბილების გამოვლინებათ, ჩვენ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველობას გვესახება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ეპარქიის შექმნა, რომლის რეზიდენცია იქნება ქ. ბრიუსელში; ეპარქიის მმართველად კი დანიშნულია მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია). ეს კი, თავის მხრივ, ჩვენ გვესახება სრულიად საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის იმ ისტორიული გზის განგრძობათ, რომელსაც მოყვა ისეთი დიდი სულიერი და კულტურული ცენტრების შექმნა, როგორც იყო "ჯვრის მონასტერი" იერუსალიმში თუ "ივერიონის მონასტერი" ათონის წმინდა მთაზე. ამ დიად საქმიანობაში ჩვენი "ერი დე ბერი" თქვენთანაა თქვენო უწმინდისობავ

ამ მრწამსით, - გილოცავთ რა თქვენი დაბადების სამოცდაათ და ალსაყდრების ოცდახუთ წლისთავს, გისურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს!..
ამასთანვე გილოცავთ ხორციელად შობას უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და ახალ 2003 წელს!...
მრავალჟამიერ!..

უღმესი პატივისცემით და თანაგრძნობით,
ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე უცხოეთში

(კარლო ინასარიძე)

ლევილი, 2002 წლის 25 დეკემბერი

CHATEAU DE LEUVILLE
91310 — Leuville sur Orge
FRANCE
tel:(331) — 6054 — 6157

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოხუმის დაპყრობის 9 წლისთავი

**„სოხუმის დაცემის დღე — 27 სექტემბერი უნდა იქცეს სიკეთის, დაღუპულთა ხსოვნის, ძმობის, მეგობრობის, თანადგომისა და იმედის დღედ, რადგან აფხაზეთის ტრაგედია აღელვებს და სტკივა სრულიად საქართველოს"**

## ვინ დგას არძინბა-ჯერგენიების ზურგსუკან?...

I.

"ვინ დგას არძინბა-ჯერგენიების ზურგსუკან? " - ვაყენებთ კითხვას, და ყველამ ვიცით თვით თბილის-მოსკოვ-ვაშინგტონშიც, რომ არძინბა-ჯერგენიები მარიონეტებია, რომლის უკან დგას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი რუსეთის არმიის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებით, რომლებიც ისე ათამაშებენ არძინბა-ჯერგენიებს, როგორც ამას მოისურვებს კრემლი. ამდენად, არძინბა-ჯერგენიები სერგო ორჯონიკიძისა და ფილიპე მახარაძის მემკვიდრეებია, რომლებიც იმ მუხის ტოტს ჭრიდენ და ჭრიან, რომელზედაც თვითონ იჯდენ თუ ზიან; და ჩვენ "დიპლომატიურად" გვერდს ვუვლით ამ ფაქტს და ბრალს ვდებთ აფხაზეთში შექმნილი რთული მდგომარეობის განხილვისას უფრო არძინბა-ჯერგენიებს, ორჯონიკიძე-მახარაძეების მემკვიდრეებს, ვიდრე რუსეთს და, ამჯერად, რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს.

II.

მოვიგონოთ: საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს, როცა მიმდინარეობდა საქართველო-რუსეთის ომი, რომელიც ომის გამოუცხადებლად დაიწყო რუსეთმა , - საღამოს სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება: "იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის უღირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრებაადგენს: ყველა ქართველები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ შეიარაღებულ ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ ან დახმარებას უწევენ ამ ბრძოლას, გამოცხადებული არიან ქართველი ხალხის მოღალატეებადად. მათ ერთმევათ ყოველგვარი ქონება და კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება მთავრობას".

III.

მართალია, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას მხოლოდ 70-ი წლის შემდეგ, ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის შემდეგ -1991 წლის 9 აპრილს მიეცა საშუალება სისრულეში მოეყვანა საქართველოს დამფუძნებლის კრების 1921 წლის 21 თებერვლის დადგენილება. მაგრამ ქართველი ხალხის მოღალატეები უკვე ცოცხლები არ იყვნენ, რის შედეგად საქართველოს ტერიტორია წყევლა-კრულვით გაწმენდილ იქნა ორჯონიკიძე-მახარაძეების ძეგლების თუ მემორიალებისაგან. ჩვენ ასეთ ბედს არ ვუსურვებთ არც არძინბებს და არც ჯერგენიებს, რომლებიც არა მარტო შემოუძღვნენ დიდმპყრობელ-შოვინისტებს ჩვენს აფხაზეთში, არამედ მათის დედა-სამშობლოს - საქართველოს, რომლის განუყოფელი ნაწილია ისევე აფხაზეთი, როგორც ქართლი, კახეთი თუ აჭარა, - რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტების მსგავსად ბრალს დებენ ტერორისტულ-დივერსიული აქტების ორგანიზებაშიც კი.

IV.

გასაკვირია მხოლოდ, რომ როგორ დაებლუნგად საღი აზროვნება არძინბა-ჯერგენიებს, რომ ვერ ხედავენ იმ ფაქტს, რომ დიდმპყრობელი-შოვინისტები დღეს ისე იყენებენ არძინბა-ჯერგენიებს კრემლის იმპერიული "დერჟიმორდული" პოლიტიკისათვის საქართველოში და ამით აფხაზეთის ცხოვრებაში გატარებისათვის, როგორც ორჯონიკიძე-მახარაძეები ხელს უწყობდენ რუსეთის დამოუკიდებელი საქართველოს იარაღის ძალით დაპყრობაში 1921 წლის 11 თებერვლიდან 17 მარტამდე, როცა საქართველოს ეროვნული მთავრობა - ნოე ჟორდანიას მეთაურობით იძულებული გახდა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, დაეტოვებინა საქართველო, რომ ბრძოლა განეგრძო უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ.

V.

ვითომ ისტორია მეორდება და არძინბა-ჯერგენიები - შეგნებლად თუ შეუგნებლად - მაინც "სუსლოვის სულის" დაგერგვას ცდილობენ ჩვენს სოხუმში, რომლის თანახმად საქართველო დაქუცმაცებული უნდა იქნას "დამოუკიდებელ" აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარის თუ იმერეთის "სახელმწიფოებად", რომ დიდმპყრობელ-შოვინისტებმა ადვილად ჩამოასახლონ საქართველოში რუსები, ხოლო ქართველობა განდევნონ საქართველოდანაც კი, და ამგვარად მთელი საქართველო იქცეს მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

### VI.

ვიმეორებთ: სად არის ჯანსაღი აზრი, აზროვნება, რომ ასე პირუთვნელად მოქმედებენ არძინბა-ჯერგენიები და ხელს უწყობენ დიდმპყრობელ-შოვინისტებს მთელი ქართველი ერის და ამით აფხაზების ფიზიკური განადგურების საქმეში?..

### VII.

ნუთუ უნდა დავიჯეროთ, რომ არძინბა-ჯერგენიებმა არ იციან თუ ვინ დგას მათ უკან და რა სახჩობელას უმზადებს მათ და მთელს საქართველოს, მათ უკან მდგომი რუსეთი მისი სამხედრო სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებით, რომლის დროს კრემლი ქართველი ერის გენოციდისაგანაც კი არ იხევს უკან, როგორც ეს მოხდა ჩვენს აფხაზეთში, სადაც მოყვა არა მარტო ათასობით მოკლული, 90-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, არამედ სამას-ათასამდე ლტოლვილი, რომლებიც აგერ უკვე 9-ა წელიწადია ელოდება თავთავიანთ სახლკარში დაბრუნებას?..

### VIII.

როდის შეიგნებენ ყველა აქ აღნიშნულ და არაღნიშნულ ვერაგობას არძინბა-ჯერგენიები, რაც მიმართულია საქართველოს და ამით აფხაზეთის წინააღმდეგ რომლის მსხვერპლი, როგორც ამას ისტორიული გამოცდილება მეტყველებს, - თვით არძინბა-ჯერგენიებიც გახდებიან?.. ნუთუ დრო არ დადგა ყველაფერს ამას ჩაუფიქრდენ არა მარტო არძინბა-ჯერგენიები?..

### IX.

როგორ წერს გაეროს მეთვალყურე აფხაზეთში – მიხეილ ბერნდლონერი?..
"აქაური (აფხაზეთის. კ.ი.) ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება ინტერნაციონალური სამშვიდობო ჯარით, რომელსაც ექნებოდა პოლიციის ფუნქციის მანდატი, იმის მსგავსად, როგორც ეს იუგოსლავიაში მოხდა. საუკეთესოდ შეიარაღებულ და მოტივირებულ ორ ბატალიონს შეუძლია აქ წესრიგი დაამყაროს ერთ თვეში. მაგრამ მაშინ რუსეთი დაკარგავს მის გავლენას სამხრეთ კავკასიაში."

### X.

და ნუთუ თვით არძინბა-ჯერგენიებს არ ესმის ყველაფერი ეს?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2002 წლის 12 დეკემბერი

## გეინო ბარანი საქართველოს შესახებ

გეინო ბარანი, ვაშინგტონის სტრატეგიული კვლევებისა და საერთაშორისო სწავლების ცენტრის კავკასიური პროექტის დირექტორი, - ინტერვიუში, რომელიც მისცა „ჯეორჯიან ტაიმს" 23.5.2002", სხვათა შორის, ამბობს: - „საქართველოში ამერიკულმა სამხედრო პროგრამამ" ...დადებითი შედეგი გამოიღო. რაც შეეხება აფხაზეთს, ვეთანხმებით, რომ აქ ვითარება ბევრად უფრო რთულია და 12 აპრილის მოვლენებმა ამაში საბოლოოდ დაგვარწმუნა. ამ ვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანია, ემოციებს არ აჰყვეთ. ჩვენ უნდა ვეძებოთ პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის გზები.

ფაქტია, რომ აფხაზეთის პრობლემა ბოლო წლების მანძილზე მთავარ საკითხად რჩება. მაგრამ დღეს პრობლემა სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. აფხაზებს, მოსალოდნელ თავდასხმასთან დაკავშირებით სამართლიანი შიში აქვთ. მე არც ისე დიდი ხნის წინ საუბარი მქონდა თურქეთში აფხაზურ დიასპორასთან. მე მათ განვუცხადე, რომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ საქართველოსა და აშშ-ს მთავრობის პოზიციას და ოფიციალურ განცხადებებს აფხაზური პრობლემის მოწესრიგებასთან დაკავშირებით."

"მეორეს მხრივ, ვიდრე არსებობს აფხაზური პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობა, აშშ არ მოისურვებს რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანას აფხაზეთიდან... პრობლემის იდეალური გადაწყვეტა სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციაა. ძალები, რომლებიც აფხაზეთში განლაგდებიან, იმ ქვეყნების ჯარისკაცებით უნდა დაკომპლექტდეს, რომელიც ორივე მხარისათვის არის მისაღები... მიუხედავად ამისა, პრობლემის მოწესრიგებაში აშშ-ს ჩარევა აუცილებლად მიმაჩნია."

„...არავინ ფიქრობს რუსეთთან კონფრონტაციაზე. პროგრამის განხორციელებისას ამერიკელი სამხედროები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ თავიანთი ქმედებით „უხერხულ" მდგომარეობაში არ ჩააყენონ რუსეთი. პროგრამით გათვალისწინებული ვარჯიში არ არის მიმართული რუსეთის ან რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ."

კ.ი., „ჯეორჯიან ტაიმს", 23.5.2002

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერნდონერის ცნობები ჩვენი აფხაზეთიდან

მიხეილ ვ. ბერნდონერი არის შვეიცარიელი მოქალაქე, რომელიც არის "გაეროს სამხედრო მეთვალყურეების" „UNMOS – United Nations Military Observers" კომისიის წევრი და იმყოფება ქალაქ გალში. აი ამონაწერები მის დღიურიდან მდგომარეობის შესახებ საქართველოს ამ რეგიონში; ბერნდონერი წერს:

ცნობა ნომერი 1 ინტერნეტით:

I

დღეს არის ორშაბათი, 15 ივლისი/ 2002 წ./ უკვე ათი დღე ვარ საქართველოში და მაქვს გრძნობა, რომ თითქოს მუდამ აქ ვიყავი. უკვე განვიცადე რამდენიმე ცვალებადობა გრძნობიერებით უკიდურესობათა. ერთი მხრივ დანგრეული ნაგებობანი, გაჭირვება, უბედურება და კრიმინალური მოქმედებანი სამართლებრივი უშიშროების გარეშე, მეორე მხრივ, მჭიდრო მეგობრობა უნმო-სის = „გაერთიანებული ერების სამხედრო მეთვალყურეებს" შორის; შესანიშნავი ქვეყანა შესანიშნავი ბუნებით და საყვარელ მასპინძელთა ოჯახი. ამასთან ერთად გატაცებული ვარ სპორტით. წარმოიდგინეთ 7 საათზე აბაზანაში ...უკვე დავიკელი; ვიკვებები როგორც ღმერთი საქართველოში, ვწერ დაწვრილებით დღიურს, საშუალება მაქვს აგრეთვე პიანინო დავუკრა და ვიმღერო; მაქვს რუსული გაკვეთილები... და დღიურად ვმუშაობ „უნმო"-ში როგორც პატრული ან მთავარ შტაბში".

II

„ამინდს თანდათანობით ვეჩვევი. საშუალოდ 35-40 გრადუსი სიცხეა ჩრდილში და 30 გრადუსი ღამით, რომლის დროს პრობლემა სიცხე კი არ არის, არამედ სინოტივე, რომელიც განუწყვეტლივ 97-100 პროცენტია..."

მე ვდგევარ გალში. აქ არის ე.წ. „ცხელი წერტილი" კონფლიქტისა... გალში ცხოვრობდა 50 ათასი ადამიანი დღეს კი აქ ცხოვრობს დაახლოებით 4000 კაცი და დაახლოებით 35000 კაცი გალის რაიონში... არ არსებობს რესტორნები, არ არსებობს მაღაზიები, არ არსებობს სასტუმროები; აქ ნამდვილად ადამიანი ცდილობს როგორმე გადარჩეს... მთავარი ქუჩის „მ-27"-ის გასწვრივ დგას რამდენიმე სახელდახელოდ აგებული კარავები. რომლებშიც ქალები ყიდიან სიგარეტებს, კოკაკოლას, ლიმონათს ფანტას და კევს... და ამავე დროს ეს ქვეყანა არის ნამდვილად მდიდარი: აქ არის უთუოდ ღვთის ბაღი... ადამიანს ექმნება შთაბეჭდილება, რომ მოსახლეობა ლეტარგიაშია... შეკითხვაზე რატომ არ არის ამოსწორებული ორმო გზაზე, გიპასუხებენ ეს არის მმართველთა საქმე; მაგრამ მმართველობა არაფერს არ აკეთებს, ვინაიდან მოსახლეობის ხუთი პროცენტი აფხაზი ბატონობს 95 პროცენტ მეგრელებზე გალის რაიონში; და უკვე ათი წელიწადია არაფერი არ კეთდება... ამგვარ უმოქმედობაზე. ალბათ. ზეგავლენას ახდენს კომუნისტური ზევიდან ბრძანების მეთოდი და აღზრდა, რის შედეგად ადამიანებმა დაივიწყეს თვითმმართველობა და თვითპასუხისმგებლობის გადაბარება".

III

სამშაბათი, 16 ივლისი, 2002 წელი; ცნობა მეორე:

„პრიმოსკთან", ე.ი. ზღვის სანაპიროსთან მივედით „ჩეკ-პოინტ"-თან = „საკონტროლო პუნქთან" - „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" საზავო ჯარებისა... სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ბრალს დებდნენ რუს ჯარისკაცებს ღორების მოპარვაში... მაგრამ უმნიშვნელოვანესია ელექტრონის მავთულების მოპარვა. რომლებიც ელექტრონის ბოძებიდან ჩამოუჭრიათ; და აქაც ადანაშაულებენ სამშვიდობო ჯარისკაცებს, რომლებსაც 13 კილომეტრის მანძილზე ელექტრონის მავთულები ჩამოუჭრიათ..."

„მე სულ უფრო და უფრო ნათლად ვხედავ, რაში გამოიხატება ჩვენი ამოცანა. ეს არის არა მარტო დაზავების ხელშეკრულების მეთვალყურეობა, არამედ მნიშვნელოვნად ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარებაც, აგრეთვე კონტაქტები სამშვიდობო ძალებთან და აფხაზურ მილიციასთან. ცნობები ამგვარი კონტაქტების და მდგომარეობის შესახებ /"სიტუეიშენ რიპორტს"/, შემოკლებით იგზავნება უფრო მაღალ დონეზე –„სამხედრო ინფორმაციის ბიუროში" /"მილიტარი ინფორმეიშენ ოფის"/ და შემდეგ ნიუიორკში; ამას გარდა არსებობს კიდევ ე.წ. „დარღვევების ცნობები" /" ვაიოლეიშენ რიპორტს"/ თუ გაეროს მოქმედება ან ომის შეწყვეტის შეთანხმება არ იქნება დაცული. ეს შეთანხმება ჩართულია მოსკოვის 1994 წლის შეთანხმებებში და შეიძლება წაიკითხო ინტერნეტში".

„ჩვენ ვბრუნდებით ავტომობილით გალში. სულ 60 კილომეტრი გზისასთვის, ჩვენ გაგვჭირდა სამი საათი. „ნეტო-საათი", ე.ი. მხოლოდ ავტომობილით მოძრაობა, რომლის დროს ვმოძრაობდით 40-50 კილომეტრით და ყოველ 50-100 მეტრზე ავტომობილს სრულიად ვამუხრუჭებდით, რომ წყალში ან ორმოში არ ჩაგვეგდო ავტომობილი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემი დაბადების დღეს დენისამ და თამარამ გამართეს მაგიდა 12 სტუმრისათვის, რომლის დროს დაამზადეს სხვადასხვა სალათები, ბოსტნეული, ქათამი, ტორტი, ხილის კომპოტი, კარტოფილი და სხვა და მე დამიჯდა სულ 29 დოლარი..." „ეს აქ დიდი ფულია".

IV

ოთხშაბათი, 17 ივლისი, 2002 წელი: ოჩამჩირე, პატარა ქალაქი შავი ზღვის პირთან. ერთი მაღალი სახლი უფანჯრებოთ. და რამდენიმე დიდი ოთხსართულიანი სახლები; ნაწილობრივ ცხოვრობენ მათში ხალხი. უშველებელი კარუსელი დგას აქ, ალბათ მიტოვებულ იქნა ომის დაწყებისას აფხაზეთში, რომელიც ისე დაჟანგულია, რომ უკვე მიუღია წითელი ფერი..."

„ჩვენ ვესტუმრეთ უშიშროების მეთაურს, კა-გე-ბეს მემკვიდრე ორგანიზაციას. ოთახი, რომელშიც ჩვენ შეგვიყვანეს, შეიძლება ჯეიმს ბონდის ფილმის კულისი იყოს... ერთადერთი სურათია ამ ოთახში: ფელიქს ძერჟინსკის - კა-გე-ბეს დამაარსებლისა... მაგრამ ჩვენი უშიშროების მეთაური მეტად ძუნწ ინფორმაციას გვაწოდებს და გვატყობინებს, რომ პარტიზანები აქტიურად მოქმედებდენ გასულ თვეში... ჩვენ მივდივართ ავტომობილით სამხრეთით ზღვის ხანაპიროსკენ, სადაც რუსები აწარმოებენ ვარჯიშობას ტანკებით და ნაღმტყორცნებით..."

V

ხუთშაბათი, 18 ივლისი, 2002 წელი: გალი, მთავარი ხადგომი.

„...ბრიფინგი დროს გვითხრეს, რომ აფხაზეთის განდევნილი მთავრობა იმუქრება პარტიზანების მოქმედების გააქტიურებით... მისი მიზანია აფხაზეთი ძალით გაანთავისუფლონ, თუ გაერო ნაბიჯებს არ გადადგამს აფხაზეთის ისევ შეერთებისაკენ საქართველოსთან..."

VI

პარასკევი, 19 ივლისი, 2002 წელი: გალის ბაზარი.

„ბაზრის ადგილი მსგავსია ჩვენი ბაზრის განლაგებისა, თუმცა ყველაფერი უფრო ქაოსურია... ბაზარში უფრო ვპოულობთ საქონელს უცხოეთიდან, უფრო რუსეთიდან... საქართველოდან, ე.ი. აფხაზეთიდან აქ ვერავითარ საქონელს ვერ იპოვით... ომი და ურთიერთ სიძულვილი თითქმის მთლიანად ანგრევს ამ ქვეყანას".

„საქონელი გალის ბაზარში უფრო ძვირია, ვიდრე ზუგდიდში, ხოლო სოჭში შედარებით მეტად იაფია, როგორც ამბობენ."

„ბანკის წინ გალში დგას უფრო მოხუც ადამიანთა რიგი, რომლებიც ღებულობენ პენსიას: თვეში 30 მანეთს, ე.ი. ერთ დოლარს".

VII

კვირა, 21 ივლისი, 2002 წელი: გალი.

ტელევიზიის „... პროგრამები აქ საოცარია: ფილმები ხშირად უცხოურია, უმთავრესად აშშ-დან. რომლის დროს ფილმებს აჩვენებენ ინგლისურად და ფილმის ყველა მონაწილის ხმას თარგმნიან რუსულად ან ქართულად..."

VIII

ორშაბათი, 22 ივლისი, 2002 წელი: მდინარე ენგური.

„ჩვენ მივედით მდინარე ენგურთან, რომელიცაა სამხედრო მოქმედების შეწყვეტის ხაზი. ხიდი, ჩვენი მხრიდან არის „პროფესიულად" დანგრეული ერთ-მესამედად... სახელდახელოთ აგებული გადასასვლელი 50 მეტრის სიმაღლიდან გადადის მდინარეზე... ამ ხიდიდან ზუგდიდამდე არის დაახლოებით 12 კილომეტრი. ეს-ენ-გეს ჯარისკაცები, ე.ი. რუსები აკონტროლებენ ამ ხიდს აფხაზეთის მხრიდან, თუმცა ეს არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც საზღვარი, რადგან რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯარისკაცები საშუალებას აძლევენ ადამიანებს შეუზღუდავათ გადავიდნენ ამ ხიდზე, რომ მათ სახლებსა და ადგილმამულს მოუარონ გალის რაიონში. ასეა განსაზღვრული 1994 წლის მოსკოვის შეთანხმებით."

IX

სამშაბათი, 23 ივლისი, 2002 წელი: გალი.

„დასალევი სინამდვილეშია ყოველთვის ჩაი. მაგრამ სამწუხაროთ აქ არის მხოლოდ „ლიპტონის" მხოლოდ შავი ჩაი, თუმცა საქართველო ცნობილია როგორც ჩაის ქვეყანა. დღეს კი ადგილი აქვს „ლიპტონის" ჩაის იმპორტს საქართველოში. უკუღმართი მსოფლიო... ვოდკას აქ არ სვამენ, მაგრამ გააჩნიათ „ჭაჭის არაყი". რომელიც 60 თუ მეტპროცენტიანია... სადღეგრძელოს შემდეგ თამადა სასმისს მთლიანად ცლის. რა თქმა უნდა, აქ სვამენ ღვინოსაც, რომელიც მოწითალო ფერისაა... დღემდე გადავურჩი დათრობას..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 24 ივლისი, 2002 წელი: გალი.

„...მთავარ პრობლემის შესახებ, ე.ი. აფხაზეთის გამოყოფაზე... არ შეიძლება მოლაპარაკება, რადგან აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობა ძლივსძლივობით შემუშავებულ ძირითად შეთანხმებას არ ცნობს. მიუხედავათ ამისა მაინც ხდება მოლაპარაკებანი სხვადასხვა დონეზე... მიზანია მოლაპარაკების შეწყვეტა ყველა საშუალებით იქნას აღკვეთილი. გუშინ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა ინტერვიუში, რომ საქართველოს მთავრობა არავითარ პარტიზანულ მოქმედებას არ უჭერს მხარს. ეს არის რაღაც კარგი ნიშანი. ძირითადი პრობლემატიკა აფხაზეთის თბილისში მყოფი მთავრობის ხელში ძევს, მისი, როგორც წინათ ავღნიშნე ხუთი-ათასი მოხელეებით. ისინი, რისთვისაც არ უნდა იყოს, - მუშაობენ და საქართველოში უმნიშვნელო ძალაუფლების ფაქტორს არ წარმოადგენს."

ხუთშაბათი, 25 ივლისი, 2002 წელი: გალი.

„დღევანდელი პატრულის დროს შევედით სახლში... რომელშიც ერთი ქალი ცხოვრობს. როგორც შემდეგ გაირკვა, სკოლაში 1-3 კლასის მასწავლებელია და თბილისში განაგრძობს უნივერსიტეტში სწავლას და მალე დაამთავრებს. აქ სკოლა ცხრა-კლასიანია; სულ არის 60 მოწაფე; მოსახლეობის რაოდენობაა 420 სული, რომელთაც გააჩნიათ 165 სახლი; მოსახლეობის ერთი-მესამედი ომამდე ცხოვრობდა ამ სოფელში. სკოლაში 1-3 კლასებში სწავლა წარმოებს რუსულ ენაზე, 1-9 კლასებში დამატებით ქართულ ენას ასწავლიან. პრობლემაა ის, რომ აქ ქართული ენის სახელმძღვანელოები არა აქვთ".

„რუსები, ჩემის აზრით, თვლიან თავიანთ თავს აქ როგორც საოკუპაციო ძალას. მოსახლეობას ისინი თუ არ სძულს, მეტად არასასურველად მიაჩნიათ. მათ ბრალს დებენ საქონლისა და შეშის ქურდობაში. მათ ბრძანება აქვთ მათი საკონტროლო პუნქტიდან გარეთ არ გამოვიდნენ. საკონტროლო პუნქტი კი აქაურ პირობებში გამოიყურება, როგორც აუღებელი ციხესიმაგრე. ხშირად ამგვარ საკონტროლო პუნქტს იცავს ორი ტანკი. და ზოგჯერ მოსჩანს სამხედრო შვეულმფრენებიც..."

შაბათი, 27 ივლისი, 2002 წელი: გალი.

„აქაური ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება ინტერნაციონალური სამშვიდობო ჯარით, რომელსაც ექნებოდა პოლიციის ფუნქციის მანდატი, იმის მსგავსად, როგორც ეს იუგოსლავიაში მოხდა. საუკეთესოთ შეიარაღებულ და მოტივირებულ ორ ბატალიონს შეუძლია აქ წესრიგი დაამყაროს ერთ თვეში. მაგრამ მაშინ რუსეთი დაკარგავს მის ზეგავლენას სამხრეთ კავკასიაში. ამიტომ ამგვარ წინადადებას რუსეთი არასოდეს არ დაუჭერს მხარს, რის შედეგად მოსახლეობამ ისევ უნდა იწვალოს.

საქართველოს ისტორიაში წითელი ძაფივით მოსჩანს სხვადასხვა სამთავროების მოქმედება ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ; ოსმალები, მონღოლები თუ რუსები - ყველა ესენი იყენებდნენ ლოკალურ სამთავროებს საქართველოს წინააღმდეგ, და დღესაც ასე ხდება. საქართველოს ტრაგედია იმაში გამოიხატება, რომ ის ძევს მნიშვნელოვან სტრატეგიულ არეში. ამ რეგიონში ყველა პრობლემის მოგვარება ძევს ერთადერთ ადგილზე: მოსკოვში. და ამიტომაა, რომ უკვე ათი წელიწადია ყველაფერი დაბლა ეცემა, იმ დროს, როცა დღეს ხორვატიაში, ბოსნიაში და მონტენეგროში ისევ ტურისტები ბანაობენ ზღვის სანაპიროებზე. სახლებს ისევ აშენებენ და ბავშვები სკოლაში დადიან, საქართველოში ყველაფერი დაქანების გზაზეა. მაგრამ საქართველო შორსაა ევროპიდან... და ამავე დროს არ წარმოადგენს იმიგრაციის პრობლემას. თუ საქართველოს ლიტერატურას გადავავლებთ თვალს, ქართველი უფრო თავს მოიკლავს, ვიდრე სამშობლოს დატოვებს", - დასძენს თავის დღიურში შვეიცარიელი - მიხეილ ვ. ბერნდონერი, რომელიცაა „გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა კომისიის" წევრი აფხაზეთში.

ვ.ი.-2002 წ.

## თავისუფლება და მონობა

"მონობა სიმდაბლეა, მაგრამ მონური აზროვნება თავისუფლებაში საძულველია."

ფრიდრიხ შილერი (1759-1805)

"Sklaverei ist Niedrig, aber eine sklavische Gesinnung in der Freiheit ist verächtlich!"

Friedrich von Schiller (1759-1805)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი აფხაზეთი და რუსეთი

1.

საფრანგეთ-გერმანიის საერთო ტელეხედვამ -"არტე-მ"- 24 ივლის, 2002 წელს, საღამოს 8 საათსა და 15 წუთზე, გადასცა ნახევარსაათიანი დოკუმენტაცია ჩვენი აფხაზეთის შესახებ ისეთი შინაარსითა და ფორმით, თითქოს რუსეთი "მამა აბრამის ბატკანია" და ცდილობს, გაეროს მანდატით, სამშვიდობო მისია შეასრულოს აფხაზეთსა და საქართველოს შორის ისე, რომ თითქოს აფხაზეთი საქართველო საერთოდ არ არის!..

2.

ამ დოკუმენტაციაში, მართალია ნაჩვენებია საქართველოს ღლევანდელი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეში, მაგრამ არ არის ნაჩვენები ის ფაქტი, ის ფაქტები, რომ
–რუსეთი საქართველოში, კერძოთ ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში, აწარმოებდა გამოუცხადებელ ომს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებით, რომლის დროს თითო-ოროლა აფხაზ ექსრემისტებს იყენებდა და იყენებს საქართველოს სახელმწიფოებრივი გარდაუვალი ინტერესების წინააღმდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ხელყოფაში, ამჯერად, აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

3.

ამგვარად, რუსეთმა, დაწყებული 1918 წლის 26 მაისიდან, როცა აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, - ორჯერ აწარმოა ომი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ:
ერთხელ, 1921 წლის თებერვალ-მარტში, როცა დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და დამოუკიდებელი საქართველოს 91.000 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიიდან მხოლოდ 69.700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია დაუტოვა ე.წ-ლ საბჭოთა საქართველოს, დანარჩენი, ოცი-ათასზე მეტი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია ჩვენს მეზობლებს დაურიგა და თვით რუსეთმაც მიითვისა ჩვენი ისტორიული ტერიტორია - სოჭი და მისი რეგიონი, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს, - და ახლა, აწ უკვე, პოსტბოლშევიკურმა რუსეთმა ისევ აწარმოა "გამოუცხადებელი"ომი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ 1993 წლიდან, დაიპყრო აფხაზეთი და ახლა ცდილობს ამ ძირძველი საქართველოს ტერიტორიის ისევე მითვისებას, როგორც უკვე მიითვისა ჩვენი სოჭი და მისი რეგიონი 1921 წელს.

4.

და ახლა, აღნიშნული გერმანულ-ფრანგული ტელევიზიის არხი - "არტე" - ისე ასახავს ჩვენი აფხაზეთის მდგომარეობას, სწორედ რუსეთის პოსტბოლშევიკური აგრესიის შედეგად აფხაზეთში. - რომ თითქოს აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში რუსეთი " მამა აბრამის ბატკანი" იყოს!..

5.

რა თქმა უნდა, კარგად ცნობილია პოსტბოლშევიკური რუსეთის აგრესია აფხაზეთსა და შიდა ქართლში 1993 წლიდან დაწყებული, რაც გრძელდება დღემდე, მაგრამ ნუთუ ვერ უნდა შეიგნოს აწ. ასე თუ ისე, დემოკრატიულმა რუსეთმა, რომ იმპერიების ეპოქა ჩაბარდა ისტორიას და უკვე გზა გახსნილია სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობისაკენ. განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებს შორის, როგორიცაა ამჟამად რუსეთი და საქართველო?.. რატომ ასე დაუნდობლად გვაწვალებს რუსეთი ჩვენ, ქართველობას, საქართველოს, რომ დაიკმაყოფილობს მისი აწ უკვე დრომოჭმული იმპერიული მისწრაფებანი?.. ვითომ რუსეთს მართლა სწამს, სჯერა, რომ ის ისევ შესძლებს საქართველოზე გაბატონებას, როგორც ეს შესძლო დაწყებული 1801 წლიდან როცა დაიწყო საქართველოს ანექსია?..

6.

ჯონ შალიკაშვილი, ცნობილი ამერიკული სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მოგვიწოდებს ჩვენ, ქართველობას , საქართველოს რუსეთთან ურთიერთობაში ჩვენ ხაზი გაუსვათ აგრეთვე არა მარტო უარყოფითს , არამედ დადებითსაც, თუმცა ჩვენ ვერ გაგვიგია რა უნდა იყოს დადებითი იმაში, როცა ერთი სახელმწიფო იპყრობს მეორე სახელმწიფოს თუ მისი ტერიტორიის ნაწილს?.. განა შესაძლებელია დადებითის დანახვა იმაში, რომ "ჩვენი თავი ჩვენამდე არ გვყვეყლნეს?.."

7.

და ამგვარ უმწეობაში გვამყოფებს ჩვენ, ქართველობას, საქართველოს პოსტბოლშევიკური რუსეთი, რომელიც აფხაზეთ-შიდა ქართლის ტერიტორიის მიტაცებას ცდილობს, და ამით საქართველოს ისედაც მინიმუმამდე დაყვანილი ტერიტორიის კიდევ უფრო დაქსაქსვა-დაქუცმაცებას ლამობს!..

8.

როგორც ჩანს, ჩვენ, ქართველობამ, საქართველომ მაინც უნდა "შეუძლოთ შეუძლებელი" და როგორმე გამოვნახოთ გზა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა. როგორც ჩანს, რუსეთის შიშველი იმპერიული ძალა გვაიძულებს ჩვენ გადავდგათ ამგვარი ნაბიჯი, თუ წარმოშობით ქართველი ამერიკელი - ჯონ შალიკაშვილის - რჩევას მივიღებთ მხედველობაში.

9.

როგორც ჩანს, - მიუხედავათ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ერთა შორის თანასწორუფლებიანობისა, - ყველა ერი, ყველა სახელმწიფო თანასწორუფლებიანია. მაგრამ ზოგიერთები უფრო თანასწორუფლებიანია, და მათ შორის არის, როგორც ჩანს, რუსეთი, მაგრამ არა საქართველო; და ეს ფაქტი არ უნდა მივიღოთ მხედველობაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესარჩუნების სფეროშიც?.. და ვითომ ამისაკენ მოგვიწოდებს "არტეს" აღნიშნული დოკუმენტაციაც?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2002 წლის 24 ივლისი

## ქართველი ერი ბოროტმეხსიერი ერი არ არის

ამონაწერი ედუარდ შევარნაძის 2002 წლის 9 დეკემბრის რადიოინტერვიუდან:

"ჩვენ ბოროტმეხსიერი ერი არა ვართ. უმწეო ადამიანებს ვეხმარებოდით და კვლავაც დავეხმარებით, ტერორისტების ადგილსამყოფელი კი საქართველო არასდროს ყოფილა და არც იქნება".

"ის ღონისძიება, რომელიც მაბათს განხორციელდა, მიზნად ისახავდა სარეგისტრაციო რეჟიმის განმტკიცებასა და შესაბამისი დოკუმენტების შემოწმებას. ამთავითვე ხაზს ვუსვამ, რომ ეს ღონისძიება არ არის მიმართული ჩეჩნების წინააღმდეგ. ქისტები (ეთნიკური ჩეჩნები) საქართველოში 90 წელზე მეტი ხანია ცხოვრობენ. ისინი საქარათველოს ღირსეული შვილები არიან, რაც დაამტკიცეს კიდეც პანკისის მოვლენებისას. მაგრამ, სამართალდაცვის ორგანოებს, კრიმინოგენური ვითარების საერთო დაძაბვის ფონზე, ჰქონდათ მონაცემები, რომ გარკვეული ძალები გეგმავდნენ ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას".

"იმედი მაქვს, ჩეჩენი ლტოლვილებიც გაგებით მოეკიდებიან იმ გარემოებას, რომ ასეთი თავხედური მუქარის პირობებში საქართველოს სამართალდაცვის ორგანოები იძულებული არიან მიიღონ პროფილაქტიკური ზომები, რათა დაიცვან მოქალაქეთა უშიშროება ".

"ჩვენ უკვე გვეკითხებიან კიდეც ჩვენივე თანამემამულენი: რატომ ითხოვენ მხარდაჭერას და დახმარებას ზოგიერთები საქართველოსაგან (ვის წინააღმდეგაც იბრძოდნენ აფხაზეთში), მაშინ, როდესაც ისინი, ვის მხარდამხარაც გვებრძოდნენ (ეგრეთ წოდებული "მთიელ ხალხთა კონფედერაცია" და სხვები), ჩეჩენ ლტოლვილთა მიღებაზეც კი უარს აცხადებენ, რათა არავინ გაალიზიანონ! მაგრამ ჩვენ ბოროტმეხსიერი ერი არა ვართ. უმწეო ადამიანებს (ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს) ვეხმარებოდით და კვლავაც დავეხმარებით, ტერორისტების ადგილსამყოფელი კი საქართველო არასდროს ყოფილა და არც იქნება".

"ს.რ." – 10.12.2002 წ.

## ა მ ო ნ ა წ ე რ ე ბ ი

აკაკი ვიქტორისძე ბაქრაძის კრებულიდან "აფხაზეთისათვის," რომელიც დაიბეჭდა თბილისში 2002 წელს და არსებითა ამუქებს რუსეთის შოვინისტურ პოლიტიკას ჩვენს აფხაზეთში და ამით საქართველოში. აკაკი ბაქრაძე კი იყო აღიარებული კრიტიკოსი, რომელიც დაიბადა 1928 წლის 29 მარტს ქალაქ ოზურგეთში.

აი, ამონაწერები აკაკი ბაქრაძის კრებულიდან –"აფხაზეთისათვის":

## ვინ არის აფხაზი ?

ვინ არის აფხაზი კულტურულ-ისტორიულად, ე.ი რომელი ხალხის (და არა ტომის) წევრია ის, რომელ კულტურულ-ისტორიულ ერთეულს ეკუთვნის ის? – ამის პასუხი ისტორიკოსის ამოცანაა და ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე სხვა არ შეიძლება იყოს, თუ არა ის, რომ აფხაზეთი კულტურულ-ისტორიულად საქართველოს ორგანული ნაწილია, რომ კულტურულ-ისტორიულად საქართველოში „აფხაზი" იმდენადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, შავში, ეგრი, სვანი, ზანი და სხვა. ან კიდევ "კახელი", "ქართველი", "გურული",

"მეგრელი", "იმერელი", "აჭარელი"და ა.შ. რომ ფეოდალური აფხაზეთი მხოლოდ "ქართული" შეიძლება ყოფილიყო, რომ აფხაზი კულტურულ-ისტორიულად „ქართველი" იყო.

ნიკო ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორიის საკითხები"წიგნი 3
1966 წ, გვ 287-288.

## აფხაზები ქართველი ტომია

"დასავლეთ საქართველოს **ქართული** სახელმწიფო შექმნილი იყო **ქართველი** ტომების მიერ და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის იყო **ქართველი ტომის აფხაზები**".

**პავლე ინგოროყვა " გიორგი მერჩულე " 1954 წ; გვ 294**

## ოსები და ჩვენ

1922 წლის აპრილში, მოსკოვის ძალდატანებითა და განკარგულებით, ქართველმა კომუნისტებმა ძირეული ქართული მიწაწყლის ერთი ნაწილი (3,8 ათასი კვ. კმ.) ოსებს აჩუქეს და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" შეთითხნეს. ადრე ისტორიაში არასოდეს არსებულა „სამხრეთ ოსეთი" არც როგორც გეოგრაფიული და არც როგორც პოლიტიკური სინამდვილე. ოსთა ისტორიული სამშობლო მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიაში. საქართველოსა და ოსეთის ბუნებრივი საზღვარი კავკასიონის ქედია. ამას არ უარყობს ოსთა შორის ყველაზე გამოჩენილი სწავლული ვასილ აბაევიც („ნეზავისიმაია გაზეტა", N°13,1992 წელი), ვერც უარყოფს, რაკი „სამხრეთ ოსეთის აო" ნაყოფია ლენინური ნაციონალური პოლიტიკისა და ეს, რა თქმა უნდა, ვ. აბაევმა და სხვებმაც კარგად იციან, მაგრამ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა უნდათ. უნდათ ისარგებლონ ქართველთა სიდუხჭირითა და გაჭირვებით და მიითვისონ ის, რაც მათ არასოდეს ეკუთვნოდათ. ოსებს მით უფრო უადვილდებათ ეს, რომ წამქეზებლად ზურგს უკან რუსეთი უდგას.

**გაზეთი „ცისკრის ვარსკლავი",N°1,1994 წლის დეკემბერი**

## ცხინვალი-საინგილო-სამურზაყანო

რატომ არავინ ცდილობს საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორებას?
1923 წლის 17-25 აპრილს მიმდინარეობდა რუსეთის კპ(ბ) მე-12 ყრილობა. ამ ყრილობაზე ეროვნული საკითხიც იხილებოდა და კერძოდ საქართველოს პრობლემაც.
1. ამ ყრილობაზე აღინიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის აო იმიტომ ვერ შევქმენით, რომ დედაქალაქი ვერ გამოვნახეთო. ცხინვალში არც ერთი ოსი არ ცხოვრობდა და ამიტომ მისი ოსების დედაქალაქად

გამოცხადება შეუძლებელი იყო, მაგრამ მაინც გამოაცხადეს. ოსები ჩაასახლეს და ამის შემდეგ ამ ყრილობაზე ბუდუ მდივანი ამბობდა, ჩვენ გვეშინოდა ოსები ჩაგვესახლებინა ცხინვალში, რადგან ქართველები ამოწყვეტენო, როცა დავრწმუნდით, ეს არ მოხდებოდაო, ჩავასახლეთ ცხინვალში ოსები და სახრეთ ოსეთის დედაქალაქად გამოვაცხადეთო. (გვ.499-500). 2. სადაო იყო დრევანდელი ე.წ საინგილოს საკითხი, მაგრამ ქართველებმა იგი აზერბაიჯანელებს დაუთმეს,უფრო სწორად ბუდუ მდივანი ეწინააღმდეგებოდა ამას, მაგრამ ზაკკრაიკომმა ცკ რკპ-ს დავალებით მისცა აზერბაიჯანს საინგილო. (გვ. 507-508).
3. აფხაზეთს გადასცემს სამურზაყანო.

## აფხაზეთის მოსახლეობა

1916 წლის აღწერით, აფხაზეთის სოფლის მოსახლეობაში ქართველები იყვნენ 55,6%, ხოლო აფხაზები—33,3%, ორივე ერთად 88,9%. სხვა ერის წარმომადგენლები კი იყო 11,1%. 1970 წლის

აღწერით კი მთელ აფხაზეთში ქართველი დაახლოებით 41%-ია, ხოლო აფხაზი-16%, ორივე ერთად—57%. მაშასადამე, 1916-70 წლებში აფხაზთა და ქართველთა საერთო რაოდენობა აფხაზეთში 32%-ით შემცირებულა. ამრიგად, აფხაზთა ხვედრითი წონის შემცირება აფხაზეთში ქართველთა ჩასახლების ბრალი კი არ ყოფილა, არამედ არაქართული და არააფხაზური ეროვნული ელემენტის შეუნელებელი ზრდისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაა რუსეთის მიზანი?

გარეგნულად, ოფიციალურად, მსოფლიოს დასანახად საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, ამით დემოკრატიზმის, ერთა და ადამიანთა უფლებების ცნობა. ჩუმად, მალულად შიგნით საქართველოს დამლა. ამისათვის აქტიურობა აფხაზთა შორის, ოსთა შორის, შინააშლილობისათვის ხელის შეწყობა და სრული
დამლა საქართველოსი. თან ეს იოლია ქართველთა პოლიტიკური უმეცრებისა და ემოციური ბუნების გამო. ანკესზე იოლად ეგება... - ჩვენი შინააშლილობით ერთიერთმტრობით რუსეთის პოლიტიკის წისქვილზე ვასხამთ წყალს. ჩვენ დამღუპველ საქმეს ვაკეთებთ

1992 წ. ივლისი

## ზარი

"...გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ასეთი სასტიკი დამარცხება ჩვენს ქვეყანას არ განუცდია მას მერე, რაც თურქეთმა ტაო-კლარჯეთი წაგვგლიჯა. თუმცა მეტიც შეიძლება ითქვას: აფხაზეთის გამოყოფას საქართველოსათვის უფრო კატასტროფული შედეგი შეიძლება მოჰყვეს, ვიდრე ტაო-კლარჯეთის წართმევას. ეს იმიტომ, რომ აფხაზეთის საქციელი ნაკარნახევია და გაპირობებული რუსეთის წაქეზებით.

26.VII.1992 წ

## "უნდა შევაჩეროთ რუსეთი"

"–აფხაზეთში სიტუაცია ნამდვილად მძიმეა. ჩვენი მცირერიცხოვანი და თითქმის შეუარაღებელი არმიით ისეთი მტრის დამარცხება როგორიც რუსეთია, შეუძლებელია. არავისთვის აღარ არის საიდუმლო და გაუგებარი, რომ ჩვენ ფაქტიურად რუსეთთან გვიხდება დაპირისპირება.რა საფუძველი აქვს რუსეთს? რას გამოელის იგი ასეთი ცხელი წერტილის შექმნით? ეს არის განთქმული რუსული შოვინიზმი. იგი ასე ადვილად ვერ შეეგუება იმპერიის დაშლას. მას უკვე აღარ აქვს თბილ ზღვამე გასასვლელი. აღარა აქვს ყირიმი. ის უკრაინამ წაიღო და ასეთ დიდ და მძლავრ სახელმწიფოსთან ომი კი, როგორიც უკრაინაა, გამოიწვევს მსოფლიო ომს. ეს გაცნობიერებული აქვს რუსეთს და ვერ გაბედავს უკრაინასთან დაპირისპირებას, ყოველ შემთხვევაში ამ ახლო მომავალში მაინც. რჩება მხოლოდ სოჭი და მის გარშემო მცირე ტერიტორია. ეს კი ამდენ მილიონიან სახელმწიფოს ვერ დააკმაყოფილებს. ამიტომ რუსეთი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ტერიტორია წაგვგლიჯოს ჩრდილოეთ კავკასიელების სახელ ამოფარებული, იგი აწარმოებს დაპყრობით ომს ჩვენს წინააღმდეგ.

13.X.1992 წ

## დავაბრუნოთ აფხაზები აფხაზეთში

"...ყველა ერი სხვადასხვა ტომისაგან შედგება. ქართველი ერიც ასეა. ქართველი ხალხი შედგება ტომებისაგან – აფხაზები, აჭარლები, გურულები, თუშები, იმერლები, კლარჯები, ლაზები, ლეჩხუმელები, მესხები, მოხევეები, რაჭველები, სვანები, ტაოხები, ფშაველები, ქართლელები, ხევსურები, ჯავახები, პერები ანუ დღევანდელი ინგილოები. აფხაზები ქართველი ერის ძირითადი ნაწილია და მათი საცხოვრისი–აფხაზეთი–საქართველოს ღვიძლი ტერიტორიაა, ამდენად, თქვენ ტომობრივად აფხაზები ხართ, მაგრამ ეროვნულად–ქართველები..."

## რუსეთ–საქართველოს ომი

1992-93 წლების ომი არ იყო და არ არის აფხაზთა და ქართველთა კონფლიქტი. ეს იყო და არის რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისათვის. ამ ომში რუსეთმა დაამარცხა საქართველო და დაიპყრო აფხაზეთი. ამიტომ ყოვლად დაუშვებელია და შეუძლებელი, რუსეთის არმია წარმოვიდგინოთ სამშვიდობო ძალად. ეს არის დამპყრობელთა ჯარი და მოთხოვნაც შესაბამისი უნდა იყოს: რუსეთის არმიამ, როგორც დამპყრობელმა, დატოვოს საქართველოს ტერიტორია – აფხაზეთი.

1999 წ, მაისი

## მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს

აკაკი წერეთელი ამბობდა: *რაც ძალადობით წაიღეს,*
*ვინ დააბრუნებს ნებითა?*
*ვინ ნახა თავისუფლება*
*განჯვით და მოთმინებითა?!*

არც ჩვენ გვჯეროდა, რომ მალაპარაკების გზითა და საშუალებით დაგვიბრუნდებოდა მტრის მიერ დაპყრობილი ტერიტორია

ამონაწერები: აკაკი ბაქრაძე: აფხაზეთისათვის, თბილისი 2002 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## “სუსლოვის სული”

მიხეილ სუსლოვი (1902-1982) იყო რუსეთის ბოლშევიკური პარტიისა და ამით სსრკ-ს კომპარტიის იდეოლოგი, რომელსაც 80-იან წლებში გაუკეთებია „დახურული მოხსენება“, რომელშიც იგი ამჟღავნებს მის დიდმპყრობელ-შოვინისტურ, ანუ რასისტულ მრწამსს საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. სუსლოვი ამბობს :

„კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშავოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.

შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სასაზღვრო ტერიტორია, სადაც როგორც მოგეხსენებათ ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარისა და სხვა კუთხეებს უნდა მივცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ ეროვნული გრძნობა. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს“.

*

## "L´âme de Souslov"

Dans son édition du 30 octobre 1999 le journal << La République de Georgie >> a fait paraître un article détaillé, article dans lequel Vakhtang Abashidze, directeur des relations de presse du President, écrit qu´il existe aujourd´hui en Géorgie une menace de renaissance de << l´âme de Souslov >>.

Dans cet article, une explication est fournie sur la signification de cette soi-disant << âme de Souslov >>. Mikheil Souslov (1902-1982) était ce qu´il convient d´appeler l´idéologue du parti bolchévique de Russie et du parti communiste d´URSS.

Mikheil Souslov a fait, dans les années 80 une << conférence à huis clos >> au cours de laquelle il a justifié sa grande conviction expansionniste chauvin et raciste, est-il besoin de le rappeler, à l´encontre de la nation géorgienne.

Voici ce que Souslov nous dit:

"Le parti communiste est le ciment de la Russie et nous devons oeuvrer pour un plan de sauvegarde de la Russie, avant que celui-ci ne perde sa force et sa nature même, plan qui sera différent selon la République à laquelle il s´adressera.

Nous devons permettre à nos Généraux d´Extrême Orient de continuer à avoir des conditions de vie <<normales>>.

Pour procéder à leurs rapatriements, nous avons besoin des territoires situés au bord de la Mer Noire où vivent, comme vous le savez, les Georgiens.

Nous devons tenir compte du fait que les Géorgiens se différencient fortement de nous, et que tôt ou tard, ils poseront la question de l´indépendance et de la liberté.

Nous devons commencer à les affronter en Abkhazie. En profitant de l´Abkhazie, nous accorderons l´indépendance à la Mingrélie, la Svanéthie et l´Adjarie. Nous raviverons ainsi les sentiments provinciaux et nationaux entre eux.

Nous devons dresser la Géorgie Occidentale contre la Géorgie Orientale et jouer le rôle de conciliateurs.

Nous devons simultanément persuader scientifiquement les Géorgiens qu´ils sont issus de pays divers et qu´ils sont les représentants de diverses nations, ce qui nous donnera la possiblité de les chasser définitivement du territoire géorgien".

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

## გრძნობებს არ ავყვეთ თამამემამულენო!

I.

**მართალია,** - თუ დიდმპყრობელ-შოვინისტების გასული საუკუნის 90-იან წლების შემდგომი ანტიქართული ტრაგიკული მოქმედებით განესჯით, - 1989 წლის 9 აპრილს, მშვიდობიან დემონსტრანტებს თბილისში სპეციალურად გაწრთვნილი "დერჟიმორდები "- ორლესილი სავლე ბარებითა და უცნობი საწამლავი ნივთიერებებით აღჭურვილი – შეუსია, რასაც მოყვა მრავალი მოკლული ქალი, ბავშვი და მოხუცი და ასობით მოწამლული ადამიანები !...

**მართალია,** დიდმპყრობელ-შოვინისტებმა შიდა ქართლში სპეციალურად გაწრთვნილი „დერჟიმორდები" შეუსია ამ ქართულ ძირძველ მიწაზე მცხოვრებ ქართველობას თითო-ოროლა შიდა ქართლში მცხოვრები ოს ექსტრემისტების ნიღბით! ...

**მართალია,** 90-ანი წლებიდან დიდმპყრობელ-შოვინისტებმა, თითო-ოროლა აფხაზი ექსტრემისტის ნიღბით, ქართველობას და ამით აფხაზებსაც შეუსია სპეციალური "დერჟიმორდები", ე.ი. რუსეთის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სამხედრო ნაწილები, რითაც გამოუცხადებელი ომი დაიწყო საქართველოს აწ დამოუკიდებელი და სუვერენებული სახელმწიფოს წინააღმდეგ!...

**მართალია,** რუსეთის "დერჟიმორდებმა" ჩვენი აფხაზეთიდან გამორეკეს საქართველოს ამ კუთხის თითქმის მთელი მოსახლეობა, უმთავრესად ქართველობა, რომლებიც, აგერ უკვე ცხრა წელიწადია თავთავიანთ სახლკარში დაბრუნებას ელოდება!..

**მართალია,** დიდმპყრობელ-შოვინისტები ისე გათამამდნენ, რომ ხელმეორეთ "გაწმინდეს" ჩვენი გალი ქართული მოსახლეობისაგან 1998 წლის მაისში, საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავზე, და ამით ქართველ ლტოლვილობას კიდევ დაემატა ოცი-ათასამდე დევნილი, რომლებიც ისევ იტანჯება მათი სახლკარის დაკარგვის გამო!..

**მართალია,** თითქოს გაეროც კი ეხმარება დიდმპყრობელ-შოვინისტებს, როცა ენგურზე, გაეროს ნებართვით, რუსეთმა განალაგა ე.წ-ლი სამშვიდობო სამხედრო ნაწილები, რომლებიც, თითო-ოროლა აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით, - ბატონობს მდინარე ენგურზე, რომ ქართველობას საშუალება არ მისცეს ერთად ცხოვრება-შრომისა, რომლის დროს "დერჟიმორდები" ისედაც გაგულიანებულ აფხაზ თითო-ოროლა ექსტრემისტს იყენებს ქართველობის წინააღმდეგ პირდაპირი ჩარევითაც კი!..

**მართალია,** რუსეთმა უკვე სამხედრო მოქმედებით დაიპყრო 1993 წლის 27 სექტემბერს ჩვენი სოხუმიც, რომლის დროს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაითრიეს სოხუმში მოსახლე სხვა ერების შვილებიც, განსაკუთრებით სომხობა, რომლებიც იარაღით იბრძოდნენ, რუსეთის დიდმპყრობელ-შოვინისტებთან ერთად, საქართველოს, ე.ი. მათი სამშობლოს წინააღმდეგ!..

**მართალია,** რუსეთმა მისი სამხედრო საჰაერო ძალებიც კი გამოიყენა არა მარტო აფხაზეთში, არამედ პანკისის ხეობაში თითქოსდა იქ თავმოყრილი, ალ-ყაიდას, მომხრეების წინააღმდეგ, რომლის დროს დაარღვია არა მარტო საქართველოს სახელმწიფო საჰაერო სივრცე, არამედ დაიწყო ნადირობა ქართველობაზე, რომლის დროს დაიღუპა ერთი ქართველი მწყემსი და დაიჭრა რამდენიმე კაცი!..

**მართალია,** რუსეთი ისევ უარს ამბობს გაიყვანოს თავისი სამხედრო ძალები საქართველოში არსებულ მის სამხედრო ბაზებიდან, რადგან რუსეთი ხელს უწყობდა და უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ამხედრებას საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ!..

2.

და მიუხედავათ აქ აღნიშნული და არაღნიშნული მყვირალა ფაქტებისა, ჩვენი მოწოდება იყო, არის და დარჩება – **გრძნობებს არ ავყვეთ თანამემამულენო!..** ამგვარი მოწოდება, რა თქმა უნდა, ადვილი განსახორციელებელი არ არის, როცა ადამიანისა და ჩვენი ერის გარდაუვალი უფლებები ასე ილახება და "დერჟიმორდს" ცა ქუდათ არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, მაგრამ ჩვენ – ქართველობას, საქართველოს, საქართველოს მთელ მოსახლეობას – სხვა გამოსავალი არ გაგვაჩნია.

3.

პოსტბოლშევიკურ რუსეთსაც ცეცხლითა და მახვილით, ღიათ თუ ფარულად სურს საქართველოს ისევ მის კლანჭებში ჩაჭერა, რომ ისევ განაგრძოს რუსეთის განუკითხავი ბატონობა საქართველოზე, ქართველ ერზე, როგორც ეს იყო გასული ორასი წლის განმავლობაში, და ამ მიზნის მისაღწევათ ცდილობს ჩვენ, ქართველობა, ქართველი ერი გამოიყვანოს მოთმინებიდან, რომ იარაღის ძალით აღსდგეს უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ!.. ამგვარი ტაქტიკა არის პოსბოლშევიკური რუსეთის, როგორც სჩანს, თვით ვლადიმირ პუტინის ხელსაყრელი, რადგან რუსეთს, მართალია არ შეუძლია წინ აღუდგეს აშშ-ს, მაგრამ მას სრულიად ადვილად შეუძლია საქართველოს ჩაყლაპვა თუ ამას საერთაშორისო გართულებები არ მოყვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

ამდენად, ჩვენ, ქართველ ერს, საქართველოს – რადგან რუსეთის სამხედრო ძალის წინააღმდეგ არავითარი სერიოზული საპასუხო ძალა არ გაგვაჩნია – გვჭირია, გვესაჭიროება დიდი **დიპლომატიური მოქნილობა**, რომ შევძლოთ რუსეთის იმდენად, ასე ვთქვათ, “მოთვინიერება“, რომ ნორმალური დამოკიდებულება დაამყაროს საქართველოსთან, ჩვენთან, ქართველ ერთან, საქართველოს მოსახლეობასთან.

5.

ამგვარი “დიპლომატიური მოქნილობა“ ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ დიადი “26 მაისის” საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, - უფლება აქვს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, მეგობრული პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ჰქონდეს მსოფლიოს ყოველ სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით აშშ-სთან, რომელიც არა მარტო დემოკრატიის, არა მარტო ერისა და პიროვნების თავისუფლების სადარაჯოზე დგას და ამით პატარა სახელმწიფოების დამცველის, ყოველი ჯურის კოლონიალიზმის წინააღმდეგ გამოდის, არამედ, ამასთანავე, საქართველოში განსაზღვრული ეკონომიკური ინტერესები აქვს, რაც მხედველობაში უნდა მიიღოს პოსტბოლშევიკურმა რუსეთმაც, ჩვენმა დიდმა ჩრდილოეთელ მეზობელმა, რომლის დროს გვსურს ვურჩიოთ ამ ჩრდილოეთელ “გაუმაძღარ ვეშაპს” მოაგვაროს რუსეთში შემავალ ყველა ეროვნებასთან ურთიერთობა იმდენად, რომ რუსეთ-საქართველოს კავკასიონის მთის საზღვარზე ისევ დამყარდეს მშვიდობიანობა.

6.

“დიპლომატიურ მოქნილობის” დრო დადგა, ჩვენის აზრით, განსაკუთრებით ახლა, როცა აფხაზეთსა და შიდა ქართლში ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას, პანკისის ხეობის დაბომბვა მოყვა, რაც ცეცხლზე ნავთის დასხმას უდრის!.. და სწორედ ამ დროსაა საჭირო მოწოდება: **გრძნობებს არ ავყვეთ თანამემამულენო!..**

7.

ვიმეორებთ “გრძნობებს არ ავყვეთ, თანამემამულენო” ადვილად სათქმელია, მაგრამ მისი განხორციელება?.. მაგალითად, 12 ოქტომბერს თბილისის “ლოკომოტივის” სტადიონზე ჩატარებულ რუსეთ-საქართველოს ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრისას, ევროპის პირველობაზე ასარჩევ მატჩზე, რა მოხდა?.. განა ჩვენ, ქართველობამ უნდა დაუშვათ, რომ რუსეთის ფეხბურთელთა გუნდს და რუსეთის სახელმწიფო ჰიმნს შეძახილებითა და ყვირილით შევხვდეთ?.. სად არის საქართველოს, ქართველი ერის კეთილშობილური საუკუნოვანი ტრადიციები?.. და თუ ჩვენ გვსურს, რომ თვით პოსტბოლშევიკურმა რუსეთმა პატივი სცეს საქართველოს, ქართველ ერს, საქართველოს მთელ მოსახლეობას, ჩვენც ანალოგიური პატივსცემა არ უნდა გამოვაკლაავნოთ რუსეთის, რუსი ერის, ამ შემთხვევაში, რუსეთის ჰიმნისა და თვით რუსეთის ფეხბურთელებისადმი?.. და ამ საკითხზე რომ ვლაპარაკობთ ახლა, 2002 წლის დასასრულსა და ახალი – 2003 წლის – დასაწყისს, ეს უკვე არ ამჟღავნებს იმას, რომ **ჩვენ უკვე გრძნობებს ავყევით**?.. სად არის საღი, ჯანსაღი აზროვნება და მოქმედება დავით აღმაშენებლისა თუ თამარ მეფის თუ შოთა რუსთაველის ერისა, ე.ი. ქართველი ერისა, რომელიც ერთადერთი თუ არა ერთერთი უკეთილშობილესი ერია მთელ მსოფლიოში არა მარტო ჩვენის აზრით?..

8.

მაშ, თანამემამულენო, **ნუ ავყვებით გრძნობებს** და დავადგეთ **დიპლომატიური მოქნილობის** გზას პოსტბოლშევიკურ რუსეთთან ნორმალური ერთიერთობის დამყარების საკითხიც - როგორი რთული და ეკლიანიც არ უნდა იყოს ეს გზა. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კი არ უნდა ვიმოქმედოთ როგორც **რუსოფილებმა** ან **ამერიკოფილებმა**, არამედ შევძლოთ, უნდა შევძლოთ ორივეს ინტერესების იმდენად შეთანხმება, რომ ფაქტიურად განხორციელდეს ჩვენი დიადი 26 მაისის იდეა აშშ-ს და რუსეთთან მიმართებაშიც.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2002 წლის 31 დეკემბერი

---

**სამშობლო**

'მაშ რად გამზარდა დედამა,
რად გამიმჭკიცა მკლავია,
თუ კი სამშობლოს სარგოდა
იგი არ მომიხმარია!

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენერალ ჯონ შალიკაშვილის რჩევა

I.

დასავლეთის სამყაროში, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმოხვეჭილი პიროვნებაა გენერალი ჯონ შალიკაშვილი, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ამერიკაში. შეიძლება ითქვას, იგი არის ყველაზე უფრო სახელმოხვეჭილი ქართული წარმოშობის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე საერთაშორისო მაშტაბითაც.

II.

ჯონ შალიკაშვილი არის დიმიტრი შალიკაშვილის ვაჟიშვილი, დიმიტრი შალიკაშვილისა, რომელიც იყო დამოუკიდებულ საქართველოში -1918-1921 წლებში - ახლადშექმნილი საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერი, რომელიც 1921 წლის მარტში, როცა რუსეთმა დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო, თავი შეაფარა პოლონეთს, გახდა პოლონეთის არმიის ოფიცერი, დაქორწინდა პოლონელ ქალბატონზე, და მასთან ეყოლა ვაჟიშვილები – ჯონი და ოთარი. ჯონი დაიბდა პოლონეთის დედაქალაქად ვარშავაში 1936 წლის 27 ივნისს.

III.

დიმიტრი შალიკაშვილი კი, მისი ოჯახით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჯონმა დაამთავრა სრული საშუალო სკოლა; სწავლობდა ბრედლის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი და მუშაობდა როგორც ინჟინერი. შემდეგ ჯონ შალიკაშვილმა მოიპოვა მათემატიკურ მეცნიერებათა მაგისტრის წოდება ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში. ამ დროს იგი დაინტერესდა სამხედრო საქმეთა მეცნიერებით, რომლის დროს ის წარმოუდგენლად სწრაფად დაეუფლა სამხედრო საქმეს და საერთო აღიარება მოიპოვა არა მარტო აშშ-ს სარდლობაში როგორც გენერალმა და სარდალმა.

IV.

ჯონ შალიკაშვილი არის კორეის, ვიეტნამის, ერაყ-ქუვეითის ომების ვეტერანი. შემდეგ იგი გახდა აშშ-ს მეშვიდე არმიის სარდალი გერმანიაში, რასაც მოყვა ჯონ შალიკაშვილის დანიშვნა ნატოს შეიარარებული ძალების მთავარსარდლად ევროპაში. და ბოლოს კი ჯონ შალიკაშვილი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარარებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე.

.V

მიუხედავათ ამგვარი წარმატებებისა აშშ-ში და საერთაშორისო არენაზე, ჯონ შალიკაშვილი განსაკუთრებულ გულთბილობას ამჟღავნებს საქართველოს, განსაკუთრებით კახეთისადმი, სადაც შალიკაშვილების მთავარი სადგომი არსებობდა. 1611 წელს მეფე ლუარსაბს შალიკაშვილები სათავადო ღირსების წიგნში აქვს შეტანილი, ხოლო "ქართლის ცხოვრებაში" (ბატონიშვილი ვახუშტი: "აღწერა სამეფოთა საქართველოსა", თბილისი 1873 წელი, ტომი IV., გვ.1887) ნათქვამია: "შალიკაშვილი: მთავართა შორის უწარჩინებულესი და შემძლები".

VI.

ჩვენ ნორმალურ მოვლენად გვესახება, რომ ასე სახელმოხვეჭილი გენერალი და საზოგადო მოღვაწე როგორც ჯონ შალიკაშვილია, ყოველ რიგით მოქალაქის მსგავსად, მიისწრაფვის იქითკენ, რომ მის ეროვნულ ძირებს ჩაწვდეს, თუმცა იგი უკვე ამერიკელია თავისი მეობით და, ამდენად, ამერიკელის, როგორც "დიდი" ერის თვალხედვით ხედავს საქართველოს დღევანდელ რთულ აწმყოსა და მომავალს,რომლის დროს გვაძლევს, უთუოთ, მეტად საყურადღებო რჩევა-დარიგებას:

VII.

"რუსეთი ანგარიშგასაწევი ძალაა. ეჭვგარეშეა, იგებს ის ქვეყანა, რომელსაც კარგი მეგობრობა შეუძლია. ჩემი რჩევაა, რომ მარტო ცუდს ნუ გაიხსენებთ. გახსოვდეთ, თქვენს შორის ბევრი კარგიც იყო. რაც მთავარია, აუცილებლად უნდა მონახოთ გასაღები რუსეთთან. დამერწმუნეთ, ისე ვერავინ დაგეხმარებათ, როგორც რუსეთი".

VIII.

აქ ჩვენი მორიდებული შენიშნა: ჩვენში შეურაცხოფასაც კი იწვევს რჩევა, რომ ჩვენ, ქართველობას, საქართველოს თურმე "...ისე ვერავინ დაგვეხმარება, როგორც რუსეთი"!..

რას უნდა ნიშნავდეს ეს?.. ვითომ ჩვენ, ქართველობა ინვალიდები ვართ, რომ დახმარება გვესაჭიროება?.. როგორ ჩვენ, ქართველობა, საქართველო თავისთავად არაფერს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოვადგენთ და ამდენად დამხმარებლის სამაგიეროდ დახმარების გაწევა საერთოდ არ შეგვიძლია არც რუსეთის და არც სხვისათვის?..

IX.

სხვა სიტყვებით: სანამდე უნდა გვქონდეს ხელი გაწოდებული "დიდი" თუ "პატარა" სახელმწიფოებისადმი, რომ ჩვენი ლუკმა პურის მოთხოვნილება დავიკმაყოფილოთ?.. ვითომ "დახმარება" ურთიერთ დახმარებას არ გულისხმობს, და ამ გვარი ურთიერთ დახმარებისათვის არ უნდა ვიზრუნოთ ჩვენ რუსეთთან ურთიერთობაშიც?.. ჩვენ დავეხმარებით რუსეთს მისი ინტერესების შესაბამისად თუ ის ჩვენ დაგვეხმარება ჩვენი ინტერესების შესაბამისად?.. და განა ასეთი მეგობრული, ურთიერთ სასარგებლო ურთიერთობის დამყარება რუსეთსა და საქართველოს შორის რატომ არის, რატომ უნდა იყოს შეუძლებელი თუ რუსეთი ხელს აიღებს საქართველოზე ისევ იმპერიულ გაბატონებაზე?..

X.

აი, საკითხი, რომელსაც უნდა ჩაუფიქრდეს რუსეთი, რომ შესაძლებელი გახდეს ჯონ შალიკაშვილის რჩევა-დარიგების განხორციელება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში.

კარლო ინასარიძე
ლევილი, 2002 წლის 21 დეკემბერი

---

# "გინების კორიანტელი პარლამენტში"

I.

ქართულენოვან "უცნაურ" გაზეთს, რომელსაც ინგლისური სახელმწიფოება "ჯორჯიან ტაიმს-ი" ეწოდება, შესაბამისად "უცნაურ" ცნობებსაც გვაწვდის ყოველკვირეულად, რომლის აზრით, საქართველოს პარლამენტში "გინების კორიანტელია", როგორც ამ გაზეთის 2002 წლის 019(181) ნომერში ვკითხულობთ.

"პოლიტიკოსები ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების თანამდევ ცემა-ტყეპას, ლანძღვა-გინებას და გზების გადაკეტვას ნორმალურ მოვლენად აღიქვამენ", წერს გაზეთი, და ამის მაგალითად მოჰყავს ბატონ **კობა ამირხანაშვილის** სიტყვები, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრი ყოფილა ჯერ "მოქალაქეთა კავშირის" ფრაქციიდან, შემდეგ "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ფრაქციიდან და ახლა საქართველოს პარლამენტის წევრი ყოფილა, როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი. მიუხედავად საქართველოს პარლამენტის ამჟღარი "არაჩვეულ" დეპუტატის რეპუტაციის მქონდე პიროვნებისა, საინტერესოდ გვესახება მისი აზრი "გინების კორიანტელის" შესახებ ჩვენს პარლამენტში:

II.

"... რაც მახსოვს, ყოველთვის იყო ერთმანეთის ლანძღვა-გინება, მაგრამ ამ შემთხვევაში არის ერთი მტკივნეული მომენტი, რაც დაკავშირებულია მოქალაქეთა კავშირთან, პარტიასთან, რომლის დამფუძნებელი და წევრი ვარ. დღეს ეს მამასახლისად გადაქცეულ ადამიანები ერთმანეთთან დაპირისპირებულ ძველ ბანაკებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ეს ომი მიმდინარეობს იმ ადამიანებს შორის, ვინც მოქალაქეთა კავშირის სახელით მოიღეს ხელისუფლებაში, მიიღეს თანამდებობები, გაიკეთეს პოლიტიკური კარიერა და ფინანსური საფუძველიც შეიქმნეს. სწორედ მათშორის მიდის ჩხუბი და ცემატყეპა... ამ პარტიამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა და თვითლიკვიდაცია უნდა გამოაცხადოს...", - ამბობს კობა ამირხანაშვილი.

III.

აქ მოყვანილია შემდეგ **გიგი წერეთლის** აზრი, რომელიც "ინტერესის ნაწერის მომენტში ჯერ კიდევ პარლამენტის ვიცე-სპიკერი" ყოფილა; აქ მოყვანილია აგრეთვე ფრაქციის "ოცდამეერთე საუკუნის" თავმჯდომარის - **ვახტანგ ბოჭორიშვილის** – აზრი "მოქალაქეთა კავშირის" შესახებ; შემდეგ **ირაკლი მინდელი,** ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარე, - ამბობს, რომ მოქალაქეთა კავშირში "...ერთმანეთს ხოცავენ!" **ნოდარ გრიგოლაშვილი** კი "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" წარმომადგენელი, - ამბობს, რომ "...საქართველოს მოქალაქეების ერთმანეთთან დაპირისპირება რუსების ოცნებაა და შესაბამისად სამშობლოს ღალატია!" და ბოლოს **ირაკლი ბათიაშვილი, "ახალი მემარჯვენეების"** სახელით, ამბობს: მონათმფლობელური წხობილება საქართველოში იმათ დროს იყო, ვინც აქამდე იყო ხელისუფლებაში და მათივე მიზეზით დღემდე გრძელდება. ფულიც კარგად აქვთ ნაშოვნი და ბევრი სხვა სიკეთეც!"

IV.

ვფიქრობთ, თუ "რა ხდება" საქართველოს პარლამენტში მარტო "გინების კორიანტელით" არ იძლევა სრულ სურათს, რადგან საქართველოს პარლამენტში, როგორც არაერთხელ ითქვა, 15-16 ფრაქცია ყოფილა, რომლის უცნაურ სურათს "რა ხდებას" ავტორიც - ხატავს, როცა პარლამენტში ქაოსის შექმნაში კობა **ამირხანაშვილი** – ამჟამად დამოუკიდებელი დეპუტატი"; - "**ვახტანგ ბოჭორიშვილი** – ფრაქცია 'ოცდა მეორე საუკუნის' თავმჯდომარე", "**გიგი წერეთელი** - ინტერვიუს ნაწერის მომენტში ჯერ კიდევ პარლამენტის ვიცე-სპიკერი"; "**ირაკლი მინდელი** – ფრაქცია 'სოციალისტის' თავმჯდომარე; "**ნოდარ გრიგოლაშვილი** – 'მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის'"; "**ირაკლი ბათიაშვილი** - 'ახალი მემარჯვენეები'"- ერთმანეთს ეჯიბრებიან.

V.

როგორც ვხედავთ, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს პარლამენტში არა მარტო "გინების კორიანტელთან", არამედ სულ ცოტა ფრაქციათა და ამით

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა გაუფასურებასთან, რომლის დროს, როგორც ჩანს, თვით პარლამენტის წევრებმაც კი არ იციან თუ რომელი დეპუტატი რომელ ფრაქციას და ამით რომელ პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნის... იმ დროს, იმ წუთში, როცა იგი მას ელაპარაკება!...

VI.

"რა ხდება?" ჩვენც, ამ ცნობის ავტორის მსგავსად ვაყენებთ კითხვას და დავძენთ: სად არის ქართველი ერისათვის ასე დამახასიათებელი პოლიტიკური კულტურა?.. სად არის ქართველი ერისათვის ასე დამახასიათებელი პოლიტიკურ პარტიათა სისპეტაკე, რომელიც გამოავლინა ჩვენმა ხალხმა 1918 წლის 26 მაისს, როცა საფუძველი ჩაუყარა ჩვენს დიდ ეროვნულ დღესასწაულს - 26 მაისს - და ამით საქართველოს რესპუბლიკური ხანის საწყისს?.. ვითომ ზოგიერთი პარლამენტარიც კი 26 მაისის "ოქროს თაობის ღირსეული მემკვიდრე არ არის?..

VII.

რა თქმა უნდა "ქართული ტემპერამენტი", როგორც სჩანს, საქართველოს პარლამენტშიც მჟღავნდება. მაგრამ ეს "ვინების კორიანტელს" პარლამენტშიც უნდა იწვევდეს?.. და ამგვარი პოლიტიკური "ვაი-კულტურა" – თავის მხრივ – ხომ არ იწვევს "ოპორტუნიზმს" – ხელთათმანივით შეიცვალო პოლიტიკური პარტია თუ დაჯგუფება - თუ ამგვარი შეცვლა "სასარგებლოა", "სარგებლიანია" პიროვნულად, მაგრამ არა პოლიტიკურად?..

VIII.

აი, ამგვარი კითხვები და ეჭვები გამოიწვია ჩვენში ქალბატონ მარიამ ბაქრაძის ცნობამ "რა ხდება?.." ქვესათაურით: "ვინების კორიანტელი პარლამენტში"!.. ჩვენ კი დაუჯერებლად მიგვაჩნია, რომ აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს კანონმდებლობითი ორგანოში – პარლამენტში- შესაფერი, შესატყვისი პასუხისმგებლობით აღჭურვილი დეპუტატები არ გვყავს, რომლებიც მათ პირად ინტერესებზე მაღლა, საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ აყენებენ?.. თუმცა თითო-ოროლა " შავი ცხვარი" ყველგან მოიძებნება. მაგრამ შეუძლებელია, შეუძლებლად მიგვაჩნია ამ გამონაკლისთა განზოგადოება. გვჯერა, გვინდა დავიჯეროთ, რომ დღესაც საქართველოს პარლამენტში 1918-1921 წლების ოქროს "თაობის" ღირსეული მემკვიდრე დეპუტატებია.

**კარლო ინასარიძე**
**პარიზი, 2002 წლის 28 აგვისტო**

## ჩვენი პრობლემაა არა მარტო რუსეთი?..
## (ანალიზი)

I.

განვიხილეთ რა აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს საგარეო პოლიტიკა ამ მე-20 საუკუნის მიწურულსა და 21-ე საუკუნის საწყისში, ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს პრობლემაა **რუსეთი**; ახლა კი გვსურს გავამუქოთ ეს საკითხი იმ გამზომილებით, რომ საქართველოს, ქართველი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის პრობლემა არა მარტო რუსეთი.

II.

ჩავუფიქრდეთ: როგორ მესძლო რუსეთმა საქართველოში მცხოვრები ოსების და ჩვენი ძმების აფხაზების ექსტრემისტული ნაწილი ქართველების წინააღმდეგ ამხედრება იარაღითაც კი?.. როგორ შეძლო რუსეთმა აფხაზეთში მცხოვრები სომხების ამხედრება ქართველების წინააღმდეგ იარაღის ძალითაც კი?.. როგორ მესძლო რუსეთმა ჩრდილოკავკასიელთა ექსტრემისტული ნაწილის, განსაკუთრებით ჩეჩნების იარაღის ძალით ამხედრება საქართველოს წინააღმდეგ თვით საქართველოში, ე.ი ჩვენს აფხაზეთში?.. როგორ დააბრმავა ეს ჩვენი კავკასიელი თანამოქალაქეები და მეზობლები რუსეთმა ისე, რომ საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრენ იარაღის ძალით და ამით შეეცადენ – შეგნებულად თუ შეუგნებლად – რუსეთის იმპერიული ძალების გაძლიერებას კავკასიაში და საქართველოს ტერიტორიულ დაქუცმაცებას?..

III.

და, ვითომ ჩვენ, ქართველობამ, საქართველომ ხელი ხომ არ შევუწყვეთ რუსეთს იმაში, რომ ჩვენი მეზობლები საქართველოს შიგნით და გარეთ აემხედრებია საქართველოს წინააღმდეგ და საჭირო იარაღითაც აღეჭურვა?.. სხვა სიტყვებით, ჩვენი პრობლემაა არა მარტო რუსეთი, არამედ ოსი თუ აფხაზი ექსტრემისტებიც, რომლებიც, რუსული ხიშტის წყალობით, ჩვენზე, ე.ი. საქართველოზე გაბატონებას ლამობენ და ნაწილობრივ უკვე ახორციელებენ ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში?..

IV.

და ამის ისტორიულ ექსკურსად ხომ არ გამოდგება 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა რუსეთის მიერ, როცა რუსეთმა საქართველოს ტერიტორია დაუნაწილა ჩვენს მეზობლებს, რომლის შედეგად დამოკიდებული საქართველოს 91 100 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიიდან მხოლოდ 69 700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია დაუტოვა, და თვით რუსეთმაც სოჭი და მისი რეგიონი მიითვისა თითქოს რუსეთის ტერიტორია აკლდეს?..

V.

კავკასიის ერებისა და ეროვნების ექსტრემისტები იმავე ხის მოჭრას ხომ არ ცდილობენ, რომლის

ტოტზე თვითონ ზიან, როცა ლამობენ საქართველოს სახემწიფო ტერიტორიის დაქუცმაცებას და ამით საქართველოს, როგორც კავკასიის საყრდენი სახელმწიფოს, დასუსტება-დანგრევას?..

VI.

ამდენად, ჩვენი, ქართველი ერის, საქართველოს პრობლემა მარტო რუსეთი არ არის, რადგან რუსეთი, აგერ უკვე ორას-წლოვანი იმპერიული გამოცდილებით, ოსტატურად იყენებს "დივიდე ეტ იმპერა-ს"="დაანაწილე და იბატონე-ს" იმპერიულ პოლიტიკას საქართველოსა და მთელი კავკასიის მიმართ, რაშიც რუსეთს ხელს უწყობენ ისევ კავკასიელი ექსტემისტები, რომელთა როლს, ამჯერად, საქართველოში ასრულებენ აფხაზი თუ ოსი ექსტრემისტები.

VII.

და რა გამოსავალია ამ თითქოსდა გამოუვალ მდგომარეობიდან? - ჩვენ, ქართველობამ, საქართველომ უნდა შესძლოს საერთო ენის გამონახვა არა მარტო რუსეთთან, არამედ ყველა ჩვენ მეზობელ დიდ და პატარა ერებთან და ეროვნებებთან, რომელთა ცენტრია, თურქეთის გვერდით, რუსეთი. ეს კი მეტად რთული პრობლემაა, რადგან რუსეთი, დემოკრატიული რუსეთიც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ თავისუფლდება აწ უკვე დრომოჭმულ იმპერიულ ნოსტალგიიდან, და ისევ ლამობს პოსტბოლშევიკური იმპერიის შექმნას, რომლის შემადგენელ ნაწილად ნაგულისხმევია, როგორც ჩანს, საქართველოც.

VIII.

როგორც ვხედავ, "საერთო ენის" გამონახვას რუსეთსა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის ხელს უშლის მხოლოდდამხოლოდ რუსეთი, რადგან იგი ისევ ცდილობს ჩვენს "ჩაკეტვას" მხოლოდდამხოლოდ რუსეთის სახელმწიოფუებრივი ინტერესების სფერში. ამგვარი "ჩაკეტვა" საქართველოს აწ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოსი ეწინაათმდეგება არ მარტო

საერთაშორისო სამართლის ნორმებს, არამედ თვით რუსეთის ისტორიულ გადაწყვეტილებას, რომელიც მან მიიღო და ცხოვრებაში გაატარა 1991 წლის 27 დეკემბერს, როცა რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის პრეზიდენტებმა სსრკ-ას შემადგენლობიდან გამოიყვანეს ეს ქვეყნები, და ამით სსრკ-ა დაშალეს და "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა" შექმნეს, რომელშიც საქართველო შეიყვანეს.

IX.

სსრკ-ას დაშლის დღიდან უკვე ათი წელიწადი გავიდა, მაგრამ რუსეთი, როგორც ჩანს, მაინც ვერ ურიგდება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ფაქტს თუ ჩვენ ისევ რუსეთის ზეგავლენის ქვეშ არ მოვექცევით. ეს კი დიამეტრიულად ეწინაალმდეგება საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს: საქართველო (ანუ კოლხეთი თუ იბერია) ეკუთვნოდა და ეკუთვნის ევროპის არეს,რაც გრძელდება დღესაც "ინფორმაციის ეპოქაში". ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო, როგორც ევროპული სახელმწიფო, ღია უნდა იყოს ყოველმხრივ პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად და სოციალურად. ამდენად, რუსეთმა – თუ მას სურს განავისუფლდეს იმპერიული ნოსტალგიისაგან – ხელი უნდა აიღოს რუსეთის პოსტბოლშევიკური იმპერიის შექმნაზე და გახდეს ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფო როგორც, ვთქვათ, საფრანგეთი, ინგლისი თუ გერმანია, რითაც გზა გაეხსნება ანალოგიურ ნორმალურ ურთიერთობასაც საქართველოსა და რუსეთს შორის,რაც – თავის მხრივ – სასარგებლოა ორივე მხარისათვის პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კოლტურულად, სოციალურად.

X.

ნორმალური, მეგობრული ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, გასაგებია, ხელს შეუწყობს კავკასიის ერებსა და ეროვნებებს შორის ნორმალური, მეგობრული ერთიერთობის დამყარებასაც, რადგან რუსეთი ბოლოსდაბოლოს შეიგნებს, რომ მას არავითარი სარგებლობა არ ექნება იმისაგან, რომ განაგრძოს

კავკასიაში ხელოვნური, ე.წ-ლი ეთნიკური კონფლიქტების გაღვივება და ამით ხელი შეუწყოს კავკასიაში "სტაბილური არასტაბილური" მდგომარეობის განგრძობას.

XI.

და აქ გვაძლევს რჩევას ქართული წარმოშობის დიდი ამერიკელი არა მარტო სამხედრო მოღვაწე ჯონ შალიკაშვილი: "რუსეთი ანგარიშგასაწევი ძალაა. ეჭვგარეშეა, ივებს ის ქვეყანა, რომელსაც კარგი მეზობლობა შეუძლია. ჩემი რჩევაა, რომ მარტო ცუდს ნუ გაიხსენებთ. გახსოვდეთ, თქვენს შორის ბევრი კარგიც იყო. რაც მთავარია, აუცილიებლად უნდა მონახოთ გასაღები რუსეთთან დამერწმუნეთ, ისე ვერავინ დაგეხმარებათ, როგორც რუსეთი". ("ალია"3.11.200).

XII.

უთუოთ, მეტად საყურადღებო რჩევაა. მაგრამ ვითომ საქართველო მხოლოდდამხოლოდ რუსეთზე უნდა იყოს მიჯაჭული, ვინაიდან "ისე ვერავინ დაგვეხმარება, როგორც რუსეთი?.."შერშეთ, დასახმარებელი ჩვენ რა გვაქს?.. ვითომ ჩვენ ქართველობა ინვალიდები ვართ, რომ ყავარჯენი მოგვცეს რუსეთმა, რომ ფეხზე წამოვდგეთ?.. ვითომ საქართველოს რუსეთი უფრო სჭირია, ვიდრე რუსეთს საქართველო?.. რუსეთის სამოწყალო ჩვენ რა გვაქს?..

XIII.

აი, ის არის სწორედ პრობლემა, რომ რუსეთის პოსტბოლშევიკურ ხელმძღვანელობასაც, როგორც სჩანს, არ ესმის, რომ საქართველოს ისევე ესაჭიროება რუსეთი როგორც მეზობელი, როგორც რუსეთს ესაჭიროება საქართველო; და ეს არის, ეს უნდა იყოს ის ბაზა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა, და ამისათვის არ უნდა ვიზრუნოთ ჩვენ, რომ რუსეთი დაადგეს სწორედ ამგვარი კეთილმეზობლური ერთიერთობის დამყარების გზა საქართველოსთან ურთიერთობაში?..

XIV.

ამდენად ჩვენი პრობლემაა არა მარტო რუსეთთან ერთიერთობა, არამედ კავკასიის ერებთან და ეერონებებთან, მას ზევით, **მსოფლიო** ყველა ქვეყანასთან ურთიერთ-სასარგებლო კავშირების დამყარება, რომლის სანიმუშო მაგალითია, თუ გნებავთ, საქართველო-აშშ-ს ურთიერთობა, რაც ურთიერთ სარგებლობას ეყდნობა ერისა და პიროვნების თავისუფლების სფეროშიც?...

ვისურვოთ, რომ რუსეთიც ამ ჰუმანიტარულ გზას დაადგეს!..

**კარლო ინასარიძე**
**ლევილი, 2002 წლის 21 დეკემბერი.**

# " კალაშნიკოვის ენა " ჩეჩნეთში

I.

"კალაშნოკოვის ენა" – ასეთ სათაურს აძლევს გერმანელი მიმომხილველი – ქრისტიან ნეფი – მის ცნობას ჩეჩნეთის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია 2002 წლის ჟურნალ "შპიგელ-ის" 44-ე ნომერში, რომელშიც გაანალიზებულია ჩეჩნეთის დღევანდელი მდგომარეობა რუსეთის პოსტბოლშევიკური იმპერიალიზმის პირისპირ. აქვე, ეს საერთაშორისოდ აღიარებული ყოველკვირეული ჟურნალი, აღწერს დიდმპყრობელ-შოვინისტების განუწყვეტელ ლტოლვას კავკასიის ერებისა და ეროვნებების დასაპყრობად და გვაწვდის ასეთ სურათს:

II.

**1559 წელს** რუსეთმა შექმნა პირველი სიმაგრე – ტარკი – ჩეჩნეთში;

**1707 წელს** ჩეჩნები გაილაშქრენ რუსების წინააღმდეგ და გაანადგურეს სიმაგრე ტარკი;

**1829 წლიდან** რუსეთმა დაიწყო ომი კავკასიაში და კავკასიიდან განდევნა აჯანყებულები და მოსახლეობის განდევნა გახდა რუსეთის პოლიტიკის ინსტრუმენტი კავკასიაში;

**1834-1864 წლეებში** შამილის ომი რუსეთის წინააღმდეგ;

**1917 წლის დეკემბერში** სტალინმა მიმართა "მშრომელ მაჰმადიანურ მოსახლეობას და კავკასიის მთიელებს: თავისუფლად გაფურჩქნეთ თქვენი ეროვნული ცხოვრება და თვითმყოფადობა";

**1918 წლის მარტში** რუსეთმა დაამყარა ჩეჩნეთში საბჭოთა ბატონობა;

**1922-1924 წლები:** ჩეჩნები და ინგუშები მიიღებენ ავტონომიური ოლქის სტატუსს; 1934-1936 წლებში კი ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსს;

**1929-1930 წლეეში** ჩრდილოეთ კაკასიაში გაჩაღდა პარტიზანული ბრძოლები წითელი არმიის წინააღმდეგ;

**1943-1944 წლებში** ერთ მილიონზე მეტი ყარაჩაელები, ჩეჩნები, ინგუშები,ბალყარებელბი და სხვა ეროვნების შვილები განდევნილ იქნა კავკასიიდან და დაასახლეს შუა-აზიაში. ჩეჩენთა და ინგუშთა საბჭოთა რესპუბლიკა გააუქმეს;

**1957 წლის იანვარი:** ჩეჩნებისა და ინგუშების რეაბილიტაცია, მათი რესპუბლიკის აღდგენა და სამშობლოში დაბრუნება;

**1991 წლის 7 სექტემბერი:** ჩეჩნეთი აცხადებს მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას;

**1991 წლის 27 ოქტომბერი:** გენერალ **ჯონხარ დუდაევი** არჩეულ იქნა ჩეჩნეთის პრეზიდენტად ამომრჩეველთა ხმების 80-ი პროცენტით;

**1994 წლის 11 დეკემბერი:** რუსეთის 40-ათასი ჯარი შევიდა ჩეჩნეთში;

**1996 წლის 21 აპრილი:** გენერალი დუდაევი მოკლეს რუსებმა;

**30 აგვისტო, 1996 წელი:** რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომი. რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის უშიშროების საბჭოს მრჩეველი გენერალი ლებედი ჩეჩნეთის შტაბის უფროს მასხადოვთან ხელს აწერს საომარი მოქმედების შეწყვეტას.

**1997 წლის 12 მაისი:** საზავო ხელშეკრულება ელცინმა და მასხადოვს შორის;

**1999 წლის 2 აგვისტო:** დაღესტანში შეიჭრენ 1200 ისლამისტი შამილ ბასაევის მეთაურობით. დაიწყო რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი.

**1999 წლის 31 აგვისტოდან 16 სექტემბრამდე:** თავდასხმები რუსეთის ტერიტორიაზე, რომელსაც მოყვა 305 მოკლული და 500 დაჭრილი; ატენტატები მოსკოვში; რომელსაც მოყვა 210 მოკლული. მაგრამ ჩეჩნების მონაწილეობა ამ თავდასხმებში ვერ იქნა დამტკიცებული.

**2000 წლის 6 აპრილს:** რუსეთის ხმისუფლება შეჩერდა ევროპის საბჭოში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო ჩეჩნეთში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

**2000 წლის 12 ივნისი:** რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ნიშნავს მუფტ ახმედ კადიროვს დროებით მმართველად ჩეჩნეთში;

**2002 წლის 18 აპრილი:** პუტინი დამთავრებულად აცხადებს "საშხედრო ბრძოლას" ჩეჩნეთში;

**2002 წლის 11 სექტემბერი:** რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ემუქრება საქართველოს საომარი მოქმედების გაფართოებით პანკისის ხეობაში, სადაც, მისი თქმით, იმალებიან ჩეჩენი მებრძოლები.

აი, სტენოგრაფიული ექსკურსი ჩეჩნეთის ისტორიული ბედისა რუსეთის ბრჭყალებში, როგორც ამას აღწერს ჟურნალი "შპიგელ"-ი.

III.

**ქრისტიან ნეფე** შემდეგ ცნობაში -"კალაშნიკოვის ენა"- წერს:

რეასაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ, მოახსენა გენერალ **ლებედმა** რუსეთის პრეზიდენტს **ელცინს, შეთანხმების მიღწევა ასლან მასხადოვთან** საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებდა რუსეთის ჯარის გაყვანას ჩეჩნეთიდან და მოლაპარაკებებს ჩეჩნეთის მომავალი სტატუსის შესახებ და რუსეთის მხრიდან დახმარებას ჩეჩნეთის განადგურებული ქალაქებისა და სოფლების მშენებლობაში.

მაგრამ რუსეთის ნაციონალისტებმა 1996 წლის 21 აპრილს საომარი მოქმედების შეწყვეტა ჩეჩნეთში მონათლეს "კაპიტულაციათ". ამასობაში ბორის ელცინი შეცვალა პუტინმა, რომელმაც მოინდომა "ჩეჩნეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა" და დაიწყო რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი, რომელიც დამთავრებულად გამოაცხადა 2002 წლის 18 აპრილ.

IV.

**ასლან მასხადოვი არის ხალხისაგან არჩეული ჩეჩნეთის პრეზიდენტი,** რომლის საგარეო საქმეთა მინისტრი - **ილია ახმადოვი** - მიმდინარე წლის დასაწყისში მიღებულ იქნა აშშ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროში, რასაც რუსეთმა უწოდა "არამეგობრული აქტი". პრეზიდენტს ასლან მასხადოვის კაბინეტის ვიცე-პრემიერმინისტრი - **ახმედ საკაევი** - მიღებულ იქნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, და ინგლისშიც. ბერლინში კი ჩეჩნეთის ყოფილი ვიცე-პრემიერი - **აბამოსლიმოვი** - შეხვდა გერმანიის კანცლერის პარტიის დეპუტატებს. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა რუსეთში: 2002 წლის ივნისში ჯერ კიდევ ყოველი მეორე რუსი იყო მოლაპარაკებების მომხრე ჩეჩნეთის ხელმძღვანელობასთან; დღეს კი თვით ლიბერალი **ბორის ნემცოვი** ამბობს: "ჩვენ უნდა მოვკლათ ტერორისტები, თუ არა ისინი მოაღწევენ ერთ დღეს კრემლამდეც". კრემლიდან შორს არ იყვნენ ტერორისტები გასულ კვირაში; - დასძენს ქრისტიან ნეფე -.

V.

ამგვარად, მოსკოვის რეაქცია ჩეჩნეთისა და თვით ჩეჩნეთის პრეზიდენტის - **ასლან მასხადოვის** – მიმართ და "მოლაპარაკებები ბატონ მასხადოვთან იწარმოებს მხოლოდ მაშინ, როცა იგი ხელებაწეული წარსდგება პროკურორის წინაშე", - თქვა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა.

ასეთია "კალაშნიკოვის ენა" არა მარტო ჩეჩნეთში,

კ.ი., "შპიგელ" , 44-2002, გვ. 132-133.

## თავისუფლება გამოწვევაა

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება გამოწვევაა, განუწყვეტელი ღვთლვა, თავისთავის ხრული კონტროლი, შეიძლება თავისუფლებისათვის თავგანწირვაც კი... თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და ზოგჯერ გმირულად."

ჟორჟ ლეფებრი(1874-1959)

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocation, heroiquement."

Georges Lefebre(1874-1959)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პუბლიცისტიკა

## ქართული ეროვნული საბჭოს 85 წლისთავი

**1917 - 22 ნოემბერი - 2002**

I.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომელიც არჩეული იქმნა 1917 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ , თბილისში, 2002 წელს შეუსრულდა 85 წელი.

რა მიზანს ემსახურებოდა ეროვნული საბჭო?- საქართველოს ეროვნული საბჭოს პოლიტიკური მოღვაწეობის საბოლოო მიზანი იყო "26 მაისის დიადი იდეის " განხორციელება .

II.

საქართველოს ეროვნული საბჭო წარმოიშვა, შეიქმნა 1917 წლის თებერვლის დემოკრატიულ რევოლუციისა და იმავე წლის ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ. 1917 წლის 19 ნოემბერს,მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილება, რომელმაც 22 ნოემბერს აირჩია ეროვნული საბჭო. საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 88 წევრი – საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიიდან 51-ი დელეგატი; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან 11-ი დელეგატი; საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიიდან 10-ი დელეგატი; რადიკალ-დემოკრატებმა ეროვნულ საბჭოში წარგზავნეს 1-ი კაცი; უპარტიოებმა 2-ი კაცი და ე.წ-ლ "ალიონისტების" პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ეროვნული საბჭოში წარგზავნა 4-ი კაცი. საქართველოს ეროვნული საბჭო შევსებულ იქნა აგრეთვე საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით. საქართველოს ეროვნული საბჭოს თავჯდომარედ კი არჩეულ იქნა ნოე ჟორდანია.

III.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის უმაღლესი წერტილია 1918 წლის 26 მაისი, როცა ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ, ქართველი ერის სახელით, თბილისში, მთავრობის სასახლეში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით საქართველოს სახელმწიფო ისევ-გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ე.ი. მსოფლიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიგებში ჩადგა, როგორც "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა". ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ დიდი პოლიტიკური სიბრძნე გამოიჩინა საქართველოს ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ ნოე ჟორდანიამ, როცა ეროვნული საბჭოს მოღვაწეობა მჭიდროთ დაუკავშირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენას და საქართველოს იმდროინდელი შინაგანი ძალების ისეთ გაწონასწორებას, რომ – საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებით – საქართველომ, ქართველმა ერმა თავიდან აიცალა სამოქალაქო ომი და მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენის გზას დაადგა.

IV.

საქართველოს დემოკრატიული პარტიების ამგვარი პოლიტიკური ხაზის განსაზღვრა მოცემულია თვით „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში",რომელიც, საქართველოს ყველა დემოკრატიული პარტიისა და დაჯგუფების ერთსულოვანი გადაწყვეტილებითა და საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენლების თანხმობით, გამოაცხადა ეროვნული საბჭოს თავჯდომარემ ნოე ჟორდანიამ – 1918 წლის 26 მაისს. აქ, სხვათა შორის , ვკითხულობთ:

V

„მრავალი საუკუნეთა განმაელობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო." „ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წელს, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის".

VI.

მე-7-დე მუხლში კი, ეროვნული საბჭოს შესახებ, ნათქვამია:

"დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე". ამგვარად დამოუკიდებელი საქართველოს დროებითი მთავრობა, საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, პასუხისმგებელი იყო ეროვნული საბჭოს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII.

და ეროვნული საბჭოს მოქმედება რომ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის ნება-სურვილს ეყრდნობოდა, ეს დაადასტურა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებმა, რომლის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შესავალში ვკითხულობთ: "საქართველოს დამფუძნებელი კრება, - არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, - ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს".

VIII.

აი, ის დიდი და მაგალითის მომცემი დამსახურება საქართველოს ეროვნული საბჭოსა, რომელმაც შეგვიქნა, ისევ-აღვიდგინა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, და საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლიის სუბიექტი, ისევ გამოვიდა საერთაშორისო არენაზე. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა – ჯერ- 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა დე ფაქტო და დე იურე, ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად, მაგრამ შემდეგ ლენინის მთავრობამ დაარღვია საბჭოთა რუსეთ-საქართველოს აღნიშნული ხელშეკრულება და იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო. მაგრამ, საბჭოთა რუსეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის ძალადობის აქტით,
საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპობილ იქნა ფაქტიურად, ხოლო
იურიდიულად საქართველო განაგრძობდა არსებობას, და ფაქტიურადაც მაშინ გახდა დამოუკიდებელი და სუვერენებული, როცა მოიხსნა ძალადობის აქტი.

IX.

და ამისათვის იბრძოდა საქართველო, მთელი ქართველი ხალხი, საქართველოს ეროვნული მთავრობა, - საქართველოს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებითა და დავალებით, 1921 წლის მარტიდან, როცა საქართველოს მთავრობამ დატოვა საქართველოს ტერიტორია. და ეროვნული საბჭო ისევ გახდა ქართული პოლიტიკური ძალების შემართებელი ორგანო, როცა ამისი შესაფერი საერთაშორისო პირობები შეიქმნა; დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ, ნოე ჟორდანიას თავჯდომარეობით, საფრანგეთის დედაქალაქში, - "ძმობა, ერთობა, თავისუფლების" მსოფლიო ცენტრში, - გადაწყვიტა საქართველოს ეროვნული საბჭოს მოღვაწეობის განახლება, რომ ემიგრაციის ყველა მიმართულების პარტიას, დაჯგუფებას თუ ცალკეულ პირებს შეექმნათ ერთიანი ფრონტი 26 მაისის იდეის ისევ-განხორციელებისათვის.

X.

დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობისა და საქართველოს ეროვნული მთავრობის პარიზში დაბინავების შემდეგაც, წარმოებდა მოლაპარაკებები საქარღველოს პოლიტიკურ პარტიებსა და დაჯგუფებებს შორის საერთო ეროვნული პოლიტიკური ცენტრის შექმნის შესახებ. 1922 წლის მარტში, მაგალითად, პარიზში, საქართველოს დამფუნძნებელი კრების თავჯდომარის –კარლო ჩხეიძს– თავჯდომარეობით, შესდგა გაერთიანებული კონფერენცია, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო სამმა პოლიტიკურმა პარტიამ: სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ.
საერთო ფრონტი არსებობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, სანამ საფრანგეთის ოკუპაცია მოხდებოდა. ქართული ეროვნული ფრონტის მოქმედება შეწყდა მხოლოდ ოკუპაციის დროს, ე.ი. როცა საფრანგეთი დაიპყრო ჰიტლერის ჯარებმა.
მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ, სათანადო დაკლარაციით, მიმართა პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა წარმომადგენლებს ერთიანი პოლიტიკური ფრონტის აღდგენის მიზნით. ამ საქმეს თავჯდომარეობდა პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი. ეროვნული ფრონტის შექმნისა და მთავრობასთან თანამშრომლობის აქტიური მონაწილეები იყვნენ დავით სხირტლაძე, ივანე ზურაბიშვილი, და გიორგი გვაზავა, ეროვნულ - დემოკრატები, სოსო მდივანი, სოციალისც-ფედერალისტი, საქართველოს ელჩი თურქეთში, და ილია ნუცუბიძე - სოციალისტ-რევოლუციონერი.

ეროვნული საბჭოს პირველი ყრილობა ჩატარდა 1951 წლის 20-21 ოქტომბერს, პარიზში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიებმა, "თეთრი გიორგის"
ორგანიზაციამ და სხვა პოლიტიკურმა დაჯგუფებებმა.

ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა ჩატარდა 1952 წლის 4 ოქტომბერს, რომელიც სამი დღე გაგრძელდა.

ქართული ეროვნული საბჭოს მესამე ყრილობა კი ჩატარდა 1954 წლის გაზაფხულზე, ლევილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI.

განსაკუთრებული მნიშვნელობის გახდა ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ჩატარდა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში 1952 წელს და რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის, "თეთრი გიორგის", ახალითაობის დემოკრატიული გაერთიანების და სხვა პოლიტიკური დაჯგუფების დელეგატებმა. საქართველოს მთავრობის დავალებით კი, საქართველოს ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა – ევგენი გეგეჭკორმა. ეროვნული საბჭოს გახსნას პირადათ მიესალმა საქართველოს მთავრობის თავჯდომარე და საქართველოს პრეზიდენტი - ნოე ჟორდანია, რომელმაც თავის მოკლე მისასალმებელ სიტყვაში, სხვათა შორის, აღნიშნა რომ "ცოტა ილაპარაკეთ და ბევრი გააკეთეთ", რის შემდეგ მან წარმატება უსურვა ეროვნული საბჭოს ყრილობას და, დასწრეთა ტაშის გრიალში, დატოვა სხდომათა დარბაზი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მეორე ყრილობა გაგრძელდა სულ სამი დღე, რომელსაც ესწრებოდა ცხრა დაპყრობილ ერთა წარმომადგენლები. ეროვნული საბჭოს ყრილობამ აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი ცხრა კაცის შემადგენლობით.

XII.

ეროვნული საბჭოს ყრილობის მიერ არჩეულმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გააჩაღა მუშაობა როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროში. საშინაო სფეროში ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ცდილობდა ყველა პოლიტიკური პარტიისა და დაჯგუფების, ყველა პირის ერთიან ეროვნულ ფრონტში გაერთიანებას. საგარეო სფეროში კი ცდილობდა ამიერკავკასიის, მთელი კავკასიის და, საერთოდ, საბჭოთა კავშირში მოქცეული ყველა დაჩაგრული ერისა და ეროვნების საერთო ფრონტში გაერთიანებას თვით რუსი ერის დემოკრატიული ძალების ჩათვლით. და ამ მეტად რთული ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი ითამაშეს საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელმა ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტთან, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრმა - ნოე ცინცაძემ, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა –ნიკო ურუშაძემ,ახალი თაობის დემოკრატიული გაერთიანების თავჯდომარემ - გიორგი წერეთელმა, და სხვებმა, რასაც მოჰყვა შეთანხმება - ერთი მხრივ - საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ერების წარმომადგენლებსა და - მეორე მხრივ - ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტს შორის, რის შედეგად დაჩაგრული ერების წარმომადგენლები და ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლები გახდენ თანასწორუფლებიანი პარტნიორები, რასაც მოჰყვა რადიო "განთავისუფლების" ჩამოყალიბება 1952 წლის ბოლოს. 1953 წლის 17 აპრილს კი მუშაობა დაიწყო რადიო "განთავისუფლების" ქართულმა რედაქციამ და ამით ეთერში გაისმა თავისუფალი ქართული სიტყვა.

XIII.

აქ ერთი ეპიზოდი, რომელიც ნათელჰყოფს თუ როგორი პრინციპულობითა და ეროვნული შეგნებით წარმოებმა მოლაპარაკებები ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტსა და ეროვნული საბჭოსა და ამით დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს შორის: ქართული ეროვნული დელეგაციის წევრმა, დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, რადიო "განთავისუფლების" დამაარსებელმა და მთავარმა რედაქტორმა –რაჟდენ (მიშა) არსენიძემ, -როცა ზოგიერთებმა "თანასწორუფლებიანობის"და "პარტნიორობის" პრინციპის მიჩქმალვას შეეცადენ, - საჯაროთ განაცხადა, რომ ის მეორე მსოფლიო ომის დროს ძროხებს წყესავდა, რათა თავი აერიდებია ფაშიზმთან რაიმე კავშირის დამყარების შესაძლებლობისგანაც კი, და ახლა - თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში - თუ ვინმე შეეცდება - ამერიკულ კომიტეტსა და დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს შორის "თანასწორუფლებიანობის" პრინციპის შებღალვა-მიჩქმალვას, ის ისევ მზადაა ასეთ პოლიტიკურ კურსს ისევ ძროხების წყესვა ამჯობინოს.

XIV.

და, მართლაც, საბოლოოდ მიღებულ იქნა თანასწორუფლებიანობისა და პარტნიორობის პრინციპი ამერიკულ კომიტეტსა და დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს შორის, რომლის საყრდენი გახდა ე.წ-ლი "პარიზის ბლოკი", რომელშიც გაერთიანებული იყვნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის,მთიელების, უკრაინის, ბელორუსიის, "იდელ-ურალის",კაზაკების თუ თურქესტანელების დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები,და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "პარიზის ბლოკის" უცვლელი თავჯდომარე გახდა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი - ნოე ცინცაძე - რომელმაც საერთოდ, დიდი როლი ითამაშა ამერიკულ კომიტეტსა და დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს შორის პოლიტიკური მოლაპარაკების დროს, რასაც მოჰყვა არა მარტო რადიო "განთავისუფლების" დაარსება, არამედ, მას ზევით, დაჩაგრულ ხალხთა საერთო ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XV.

საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ერების წარმომადგენლებისა და ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტს შორის თანამშრომლობის განვითარება-გაძლიერებას დასაბამი მისცა ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის –დინ ეჩესონის– "მიმართვამ ქართველი ხალხისადმი", რომელიც მან წარმოსთქვა რადიო "ამერიკის ხმით" ქართული რედაქციის გახსნაზე, 1951 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 33-ე წლისთავზე, და რომელშიც, სხვათა შორის, თქვა:
"ბევრი მსმენია თქვენი თვალწარმტაცი ქვეყნის, მისი ბუმბერაზი მთებისა და ბარაქიანი მიწის, შტამბეჭდავი ისტორიული ძეგლების, ქართველი ერის შესანიშნავი ხასიათისა და ურყევი სულისკვეთების შესახებ.
არც თუ ბევრ ამერიკელს ხვდა წილად ბედნიერება სწვეოდა საქართველოს, თუმცა თქვენი ქვეყანა კარგადაა ცნობილი ჩვენში. საქართველოს სახელი უნებლიედ მოგვაგონებს არგონავტებს, რომლებიც ოქროს საწმისის საძებნელად გაემგზავრენ კოლხეთს, აგრეთვე პრომეთეს, რომელმაც ცეცხლი მისცა კაცობრიობას, რათა ადამიანი ყოფილიყო თავისუფალი. მსოფლიოს კარგად ახსოვს, თუ რამდენი ბრძოლა გადაგხდათ თქვენ, ქართველებს თავისუფლების
პრინციპების დასაცავად. და რაოდენი სიმამაცით იცავდით თქვენი ბრწყინვალე საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თქვენს უძველეს კულტურასა და რელიგიას. ხშირად ყოფილხართ თქვენ დაპყრობილი, თუმცა არასოდეს მომხდარა თქვენი დამონება. საუკუნეების მანძილზე, თქვენ შესძელით საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და არასოდეს შენელებულა თქვენი სურვილი – დაგეცვათ საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებები. ჩვენ, ამერიკელები, აღფრთოვანებული ვართ თქვენი ურყევი სულისკვეთებით. ჩვენი სახელწიფო დაარსდა თვითეული პიროვნების თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე; ჩვენი შვილები შეეწირენ და დღესაც იბრძვიან ამ პრინციპების დასაცავად." ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა –დინ ეჩესონმა– განაგრძო:
"ამერიკელი ხალხისა და მისი მთავრობის საბოლო მიზანია მშვიდობის დამყარება მთელ მსოფლიოში, როცა აღარ იქნებიან ძლიერნი და სუსტნი, ბატონები და ყმები, როცა თვითეული ადამიანი შესძლებს იცხოვროს და იშრომოს თავისუფლებისა და ბედნიერების, ყოველგვარი სიდუხჭირისა და შიშის გარეშე, და როცა ყველასათვის იქნება გარანტირებული რელიგიის თავისუფლება. ასეთია მომავლის ჩვენებური ჭვრეტა, და ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ გაიზიაროთ იგი ჩვენთან ერთად. ამერიკელი ხალხის სახელით, გულითადათ მოგესალმებით თქვენ ქართველებო."
აი, ამონაწერები ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის –დინ ეჩესონის სიტყვიდან, რომელითაც მან მიმართა ქართველ ხალხს, 1951 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის 33-ე წლისთავზე და რომელიც ქართველ ერს ეცნობა რადიო "ამერიკის ხმით"

XVI.

და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა, 1776 წლის 14 ივლისს, უცხო კოლონიური ბატონობის ალკვეთის შედეგად, -"თვითეული პიროვნების თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველი", თუ საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევოლუციის მონაპოვარი –"ძმობა, ერთობა, თავისუფლება", "მესამე დასმა",1893 წელს, გააპოხიერა ეროვნულადაც, როცა მის სამოქმედო პროგრამად გაიხადა –"ნივთიერი ქეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნების", რასაც 1918 წლის 26 მაისს შეესხა ხორცი, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა – ქართველი ერის დიდი , დიდი უმრავლესობის ნებასურვილის შესაბამისად, ქართველი ერისა, რომლის დემოკრატიული პარტიები და პოლიტიკური დაჯგუფებები სწორედ საქართველოს ეროვნულ საბჭოში გაერთიანდა და ერთიანი ძალღონით პოზიცია-ოპოზიციის დემოკრატიულ ფერხულში ჩაებენ.

XVII

ასეთი დიადი წარსული გააჩნია საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომელმაც თავისი მოღვაწეობა განაახლა ემიგრაციაში - როგორც ქართულმა ეროვნულმა საბჭომ – მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაარღვია რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება და იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო.

და როცა საქართველომ დამოუკიდებლობა და სუვერენობა აღადგინა 1991 წლის
9 აპრილს და საქართველო ისევ გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ამასობაში –1991 წლის 27 დეკემბერს– სსრკა დაიშალა, რის შედეგად ქართულმა ეროვნულმა საბჭოს უცხოეთში ცვლილება შეიტანა თავის სამოქმედო პროგრამაში (1996 წელი, 27 აპრილი) და მიზნად დაისახა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის გამტკიცებისათვის ყოველგვარ ხელშეწყობა ლეგალური გზით; და რომ, ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში, პარიზში, თავისთავს დაშლილად გამოაცხადებს, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII.

ჩვენ გვწამს, რომ პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო; ამისათვის კი საჭიროა ერთობა მრავალფეროვნებაში, რაც დემოკრატიის საფუძველია საერთოდ. და, აი, ამისათვის იბრძვის ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში, აღნიშნავს რა საქართველოს ეროვნული საბჭოს 85 წლისთავს.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 22 ნოემბერი 2002 წ

# “თავისუფლების იმპერიის”გლობალისაცია?..

I.

“მიუხედავათ იმისა, რომ აშშ-ის შემქმნელი მამები, პირველყოფლისა თომას ჯეფერსონი, “თავისუფლების იმპერიის” შექმნაზე ფიქრობდენ, ამერიკელები ისევდაისევ გაურბოდენ გადაებარებიათ იმპერიული როლი საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს დღესაც ძალაშია. მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრიდან ამერიკა დგას ახალი რეალობის პირისპირ. სხვა ერები ამერიკაში ხედავენ სამართლიანად იმპერიას, თუმცა არაფორმალურს, რადგან ნაციონალურ სახელმწიფოებმა მომავალშიც უნდა უზრუნველჰყონ მათი ხალხების უშიშროება. ამგვარად, არსებობს ამერიკული სტრატეგია, რომელიც თანამედროვე მდგომარეობას შეესაბამება დღეს, როცა მთავარი საშიშროება ტერორიზმიდან გამომდინარეობს, რასაც შეიძლება სახელმწიფოები ფლავენ, საიდანაც ისინი მოქმედებენ. ამდენად, არსებობს სტრატეგია, რომელიც ამერიკას იმპერიული როლის შესრულებას არ ანიჭებს? ” – აყენებს კითხვას საზოგადოებრივი სამართლის პროფესორი ნიუ-იორკის ბარდ კოლეჯში – ჯეიმს ჩეიზი, და პასუხობს:

II.

“დღევანდელ მსოფლიოში მოსალოდნელი არ არის, რომ ისეთმა დიდმა სახელმწიფომ, როგორიცაა აშშ, მარტო იმოქმედოს, რომ მისი მოქალაქეების უშიშროება უზრუნველჰყოს... ორივე მსოფლიო ომში ამერიკა დასასრულში ჩაება და სურდა რაც შეიძლება ნქარა თავი აერიდებია რაიმე ვალდებულების აღებას. მიუდავათ იმისა, რომ ნატო ცივი ომის დამთავრების შემდეგაც არსებობს, მისი მისია გარკვეული არ არის.” “ომი ტერორისზმის წინააღმდეგ არ ცნობს სახელმწიფო საზღვრებს... ამაშია გართულების საშიშროება, როცა ამერიკის ჯარები როგორც ინტერნაციონალური პოლიცია ომოქმედებს, რომელიც სახელმწიფოს საშიშროების ყოველ ცლას ალკვეთს მოკავშირეების დახმარებით თუ მათ გარეშე”.

III.

ამიტომ, განაგძობს ჯეიმს ჩეიზი, “ამერიკამ დღეს ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ სხვა სახელმწიფოების უშიშროებას არ დაემუქროს. ჩინეთი შემდეგი კანდიდატია, რომელსაც შეუძლია ამერიკის ჰეგემონიას შეედავოს. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მომავალ თაობაში. ევროპის კავშირს შეუძლია აშშ ეკონომიკურად გამოიწვიოს, მაგრამ ამას არ უნდა მოყვეს სამხედრო კონფლიქტი.”

IV.

ამგვარად, “როგორ შეუძლია შეერთებულ შტატებს ისე მოქმედება, რომ საშიშროება არ შეუქმნას სხვა სახელმწიფოებს? შეუპოვარი პოლიტიკა იქნებოდა თუ ამერიკა მსოფლიოს ახალ ინტერნაციონალიზმში შეიყვანდა. ინტერნაციონალური პოლიციური ძალები არ უნდა იყოს ამერიკული, მაგრამ მხარი დაუჭიროს ამერიკამ, რომ მოქმედ-უნარიანი იყოს. მხოლოდ აშშ-ს გააჩნია ტექნოლოგია და რესურსები, რომ ასეთი იტერნაციონალური ჯარები ეფექტური გახდეს.” “ეს კი მოითხოვს გამჭრიახ საგარეო პოლიტიკას, რომ აშშ-მა ჰეგემონია დაიცვას სხვების დამუქრების გარეშე,” – დასძენს, სხვათა შორის, პროფესორი – ჯეიმს ჩეიზი.

V.

აღნიშნულ ამონაწერებიდანაც ნათელი ხდება თუ “რატომ ამერიკას სიამოვნებით არ სურს იყოს იმპერია”. სულ ცოტა, არ სურს იყოს იმპერია, როგორიც იყო რომის იმპერიის თუ ბრიტანეთის იმპერიის მსგავსი. იმპერიებისადმი ამგვარი სიძულვილი განპირობებულია აშშ-ს შექმნის ფაქტით: აშშ წარმოიშვა ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც 1776 წლის 4 ივლისი გახდა არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის მანიფესტის გამოცხადების თარიღი, არამედ ყოველი ერის კოლონიურ მდგომარეობიდან განთავისუფლების სიმბოლო; ხოლო აშშ-ს კონსტიტუციამ აღიარა ადამიანის “ბედნიერება” ადამიანის უფლებათა სიძირკვლად. რაც საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ “თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის” იდეაში ჩააქსოვა, რომელიც კაცობრიობის საერთაშორისო ფასოვანებად იქცა.

VI.

და “თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის” სა-ერთა-შორისო ფასოვანება უფრო ფართო ცნება გახდა, როცა “მესამედასელებმა” ადამიანის უფლებათა სფერო სოციალური განზომილებით გააფართოვა, რაც გამოიხატა ცნებაში - “ნივთიერ კეთილდღეობა, როგორც ღირსების ადამიანის

ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა" ("მესამე დასის" სამოქმედო პროგრამა, 1893 წლის 7 თებერვალი). აქ კი ერის თავისუფლება და პიროვნების თავისუფლება ერთ ცნებაშია მოქცეული, რომლის ბაზაა "ნივთიერ კეთილდღეობა". ამდენად, ადამიანის "ბედნიერება" (4 ივლისი,1776 წელი), "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობა" (1789 წელი,14 ივლისი) და "თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა" (1893 წელი, 7 თებერვალი) - ერთი მთლიანობაა, რომლის ცხოვრებაში გატარებას ცდილობს - "თავისუფლების იმპერია" - ამერიკის შეერთებული შტატები ეკონომიკური და ამით პოლიტიკურ-კულტურული გლობალიზაციის მეშვეობით, თუმცა აშშ "სიამოვნებით" არც არის და არც სურს იყოს "იმპერია" იმგვარი რანგით, როგორც იყო, ვთქვათ რომის თუ ბრიტანეთის იმპერიები:

**VII.**

**ამდანათ, როგორც ჯეიმს ჩეიზი ამბობს, - ამერიკამ უფრო მეტი მოთმინება უნდა გამოიჩინოს, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი დღემდე, როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს. პარადოქსულად ჟღერს ეს აუცილებლობა სწორედ იმ დროს, როცა აშშ ერთადერთ გაბატონებულ ძალას წარმოადგენს. "ამგვარი პარადოქსის პირობებში ცხოვრება და შესაბამისი პოლიტიკა განავითარო, არის ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი გამოწვევა 21-ე საუკუნეში:"**

**VIII.**

**"თავისუფლების იმპერიაზე" კი როგორც აღვნიშნეთ, ფიქრობდენ აშშ-ს შემქნელი მამები,პირველ ყოვლისა, თომას ჯეფერსიანი (1743-1826), რომელმაც შექმნა, ამერიკის კონტინენტალური კონგრესის დავალებით, აშშ-ს "დამოუკიდებლობის მანიფესტი", რაც გამოცხადდა 1776 წლის 4 ივლის; ხოლო თომას ჯეფერსონის ინგლისურ სამართალზე, რესპუბლიკურ იდეაზე და განათლების ინდივიდუალიზმზე ორიენტირებულმა სახელმწიფო მოღვაწეობამ, - როგორც აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა და 1801-1809 წლებში აშშ-ს პრეზიდენტმა, - მიიყვანა იგი, მის თანამოაზრეებთან ერთად, "თავისუფლების იმპერიის" იდეალამდე.**

**IX.**

ამგვარად, "**თავისუფლების იმპერია**", საერთაშორისო მაშტაბით, – ეს არის კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ-გაგონილი და არნახული ფუნქცია, რომლის ჩირაღდანმა, დიახ, ჩირაღდანმა ჩვენამდეც, საქართველომდეც მოაღწია; და - ვინ იცის? - შეიძლება 4 ივლისის, 14 ივლისისა და 7 თებერვლის ჰუმანიტარულმა იდეებმა კრემლამდეც მიაღწიოს, და შევძლოთ ჩვენ არა მარტო აშშ-თან და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება, არამედ თვით პოსტბოლშევიკურ რუსეთთანაც, რაც იქნებოდა " თავისუფლების იმპერიის" გლობალიზაციის, სულ ცოტა, დასაწყისი.

**კარლო ინასარიძე**
**მიუნხენი, 2002 წლის 19 დეკემბერი**

# ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მემატიანე

**გურამ შარაძე: ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი II, თბილისი, 2001 წელი, 759 გვ.**

1.

პროფესორმა გურამ შარაძემ, სხვათა შორის, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მემატიანემ, კიდევ ერთი ახალი წიგნით გაგვახარა გასულ 2001 წელს. ეს არის მეორე ტომი რამდენიმე ტომად მოხაზული ნარკვევებისა - "ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია"; და , აი, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ამ მეორე ტომის შესახებ გვსურს საუბარი, თუმცა უნდა გამოვტყდე , ჩვენ უფრო ვისურვებდით, რომ ამ ისტორიულ ნარკვევთა საერთო სათაური იყოს არა "**ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია**", არამედ "**ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ჟურნალისტიკის ისტორია**", რადგან გასული ორასი წლის განმავლობაში, რაც რუსეთმა დაიპყრო საქართველო, საქართველოს გააჩნდა მხოლოდ **პოლიტიკური** ემიგრაცია, რაც არსებითად განსხვავდება სხვა ქვეყნებისა და ერების ემიგრაციისაგან, ვთქვათ, სომხების ემიგრაციისაგან, რომელთაც, ქართველებისაგან განსხვავებით, გააჩნდათ და დღესაც გააჩნიათ სომხური დიასპორები სხვადასხვა ქვეყნებში თვით საქართველოშიდაც კი, რომლებიც, არსებითად, მოცემული სახელმწიფოს მოსახლეობის ორგანული ნაწილია. მაგრამ ეს სხვათაშორის.

2.

ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის ეს მეორე ტომი შეიცავს 1926-1939 წლების ექვსი ჟურნალ-გაზეთის ისტორიას, ჟურნალ-გაზეთებისა, რომლებიც გამოდიოდა პარიზში, საფრანგეთის დედაქალაქში, სადაც თავმოყრილი იყო ქართული ემიგრაციის დიდი უმრავლესობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჩათვლით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ - აწ უკვე დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოში - კიდევ არ არის აღკვეთილი ბოლშევიკური, ე.ი. ყალბი, შეგნებულად ყალბი ასახვა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის დროს 1918 წლისს 26 მაისი გახდა საქართველოს რესპუბლიკური ხანის საწყისად. და ამით გახდა ჩირაღდანი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისა რუსეთის 117 წლის განუკითხავი ბატონობის შემდეგ; და ამ ხანის ტრაგიკული რაობის ამსახველია გურამ შარაძის "ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის" ეს მეორე ტომი.

3.

იმის შემდეგ, როცა ბოლშევიკებმა რუსული ხიშტით დაიპყრეს დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის 11 თებერვლიდან 17 მარტამდე, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ბათომში მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, გახიზნულიყო უცხოეთში და იქედან განეგრძო ბრძოლა ბოლშევიკ-დამპყრობლების წინააღმდეგ.

"ამ მიზნის განსახორციელებლად, - ნათქვამია "ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის" ამ მეორე ტომის შესავალში, - ემიგრაციაში მოხვედრის პირველი დღეებიდან მათ შექმნეს და ბრძოლის მთავარ იარაღად გამოიყენეს თავისუფალი დემოკრატიული პრესის პრინციპებზე დამყარებული მრავალფეროვანი და ფრიად საყურადღებო ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა, რომელიც ჩვენში გამეფებული სამოცდაათწლიანი კომუნისტური რეჟიმის და უმკაცრესი ცენზურის გამო სრულიად უცნობი იყო ქართული საზოგადოებისათვის."

4.

ამ "ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის" მეორე ტომში განხილულია გაზეთი "მამულიშვილი", რომელიც 1926-1928 წლებში გამოდიოდა პარიზში და იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ე.წ-ლი "რეზო გაბაშვილის დაჯგუფების" ორგანო და გამოდიოდა თვით რეზო გაბაშვილის რედაქტორობით. ამ გაზეთიდან მოყვანილ მრავალ საგულისხმიერო სტატიებიდან, ყურადღების ცენტრში დგას საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენის საკითხი, რომლის საილუსტრაციოთ შეიძლება აღვნიშნოთ "კრიტიკა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ", რომელშიც გაზეთი "მამულიშვილი" – აკრიტიკებს რა ირაკლი (კაკი) წერეთლის მიდგომას ამ საკითხისადმი, - წერს:

"გარეგნულად წერეთლის წიგნაკი თითქოს მარტო ჟორდანიას წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ არსებითად ყველას გვეხება... წერეთლის აზრით, არსებობს ორი მეთოდი ეროვნული ბრძოლისა. ერთი დემოკრატიული, მეორე - ნაციონალიტური... მისის მიხედვით უნდა ღადგეს საერთო და სავალდებულო ხანა, რომელიც ქართულ დამოუკიდებლობას თავისით მოიტანს; წერეთლის თქმით, ამას დემოკრატიზმი ჰქვიან". "...ეროვნული განთავისუფლება რომ უამრავ ღონისთიებათა საშუალებით ხდება, რომელთა შორის "რკინასა და სისხლს" უკანასკნელი ადგილი არ უჭირავთ, ამაზედ თითქოს წარმოდგენა არა აქვს".

---

5.

აქ განხილულია აგრეთვე გაზეთი "დამოუკიდებელი საქართველო" – საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული ფრონტის ორგანო, რომელიც გამოდიოდა პარიზში 1926-1939 წლებში. რომლის რედაქტორები იყვნენ იოსებ გობეჩია, გრიგოლ ურატაძე და სამსონ ფირცხალავა თანამიმდევრობით. "როგორც ერწმუნდებით, - წერს პროფესორი გურამ შარაძე, - "დამოუკიდებელი საქართველო " მართლაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიათა გაერთიანებული ორგანო ყოფილა. რადგან მას სხვადასხვა დროს, მართალია, განსხვავებული პოლიტიკური მსოფლმხედველობის, მაგრამ ერთიანი ეროვნული ფრონტის პოზიციაზე მდგომი რედაქტორები ჰყოლია, კერძოთ ესერი იოსებ გობეჩია (1879-1962), სოციალ-დემოკრატი გრიგოლ ურატაძე (1878-1959) და სოციალისტ-ფედერალისტი სამსონ ფირცხალავა (1872-1952)".

6.

"ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის" ამ მეორე ტომშია აგრეთვე განხილული ჟურნალი "ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი"(1927-1931), ჟურნალი "ახალი ივერია" - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის პარიზის კომიტეტის ორგანო, და გაზეთი "საქართველო" - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ე.წ-ლი "ზურაბიშვილ-გვაზავას" დაჯგუფების ორგანო.

7.

ვფიქრობთ, "ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის" პირველი და მეორე ტომი. "მათში წარმოდენილი მასალებითა და მათი ანალიზით საერთო სურათს იძლევა ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის რაობას აღნიშნულ პერიოდში. ვგქერა, რომ ამ მასალათა და ანალიზთა მომდევნო ტომები ფართო ინფორმაციის წყარო გახდება მკითხველთა მასებისათვის. რომელთაც სურთ გაეცნონ ქართული პოლიტიკური ემიგრაცის ჟურნალისტიკის ისტორიას; და ამ დიდ სამამულიშვილო საქმეში მადლობის ღირსია მისი ავტორი, პროფესორი გურამ შარაძე.

ვუსურვოთ მას შემდგომი წარმატებები მის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2002 წლის 16 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცირე მნათობი "კაკაბაძე"

დანიელმა აღიარებულმა ასტრონომმა - რიხარდ ვესტმა - 2002 წლის 3 ნოემბერს - გვაცნობა, რომ 2002 წლის აპრილში "საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა" რიხარდ ვესტის მიერ აღმოჩენილ "მინორ პლანეტს-ას- (5270) 1979 კრ" - ოფიციალურად უწოდა მცირე მნათობი "კაკაბაძე", მსოფლიოში ცნობილი ქართველი მხატვრის - დავით კაკაბაძის - გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით.

აი, ამონაწერი რიხარდ ვესტის ამ წერილიდან:

Here is the dedication for the minor planet named after the famous Georgian painter David Kakabadze, and "donated" on the occasion of the 50 th anniversary of his death in May 2002.

The following text was suggested by Tamriko and me in early 2002 and, having gone through the required procedure, it was officially adopted by the International Astronomical Union (IAU) in April 2002. It was made public in Georgia by the end of that month.

**Minor Planet (5270) 1979 KR = KAKABADZE**

Discovered by R.M. West at la Silla on May 19,1979

Suggested dedication: "Named in honour of David Kakabadze (1889-1952), world-famous Georgian painter-avantgardist. Lived in Paris (1918-1927) where he held exhibitions together with Picasso, Braque and others. A multi-talent, he was also professor of physics and mathematics and an innovator in the field of cinematography."

აქვე ვაქვეყნებთ პროფესორ გურამ შარაძის წიგნიდან - "უცხოეთის ცის ქვეშ" (თბილისი, 1991 წელი) - ამონაწერს რიხარდ ვესტისა და მისი მეუღლის თამარ ჩოფიკაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გურამ შარაძე წერს:

"რაც მთავარია, არ დაგვავიწყდეს თამარა ჩოფიკაშვილი... მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, ინგლისურ ენის სპეციალისტია, "ინტურისტში" მუშაობდა თარჯიმნად და, ერთხელაც, დანიელი სტუმრის, ასტრონომ რიჰარდ ვესტისთვის რომ მიუმაგრებიათ. თარჯიმნობა სიყვარულში გადაზრდილა. ... ვესტს უთქვამს თამარისათვის - ორ წელიწადში ჩამოვალ და წაგიყვანო. ამ ხნის გამავლობაში არც წერილი, არც ტელეფონი... თამარიც უცდიდა თურმე... ორი წლის თავზე დანიელი ასტრონომი მართლაც ჩამოსულა თბილისში და შორეულ დანიაში წაუყვანია თამარი. მათ ორი ვაჟი ჰყავთ – ირაკლი და ნოდარი, დანიიდან ჟენევაში გადმოსულან, ხოლო ახლა, რამდენიმე წელია, მიუნხენში ცხოვრობენ... ქართველების სიძე თავის ერთ-ერთ მასწავლებლად და მეგობრად აკადემიკოს ევგენი ხარაძეს თვლის, ეს სიყვარული ქართველი მეცნიერისადმი, საერთოდ, საქართველოსადმი მან იმით გამოხატა, რომ მის მიერ აღმოჩენილ ერთ-ერთ ვარსკლავს "ხარაძე" უწოდა...ჩემი იქ ჩასვლა დაემთხვა მეტად საინტერესო ფაქტს: ამ ცოტა ხნის წინათ ვესტს ახალი პლანეტა აღმოუჩენია, ეს აღმოჩენა აღიარა მთელმა ასტრონომიულმა სამყარომ და სწორედ, ჩემი იქ ყოფნისას – 14 აპრილს მიიღო ვესტმა ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის დასტური, ახალი პლანეტის რეგისტრაციაში გატარების შესახებ. ჩვენთვის, ალბათ, ის უფრო საინტერესოა, რომ სიძემ "ყაზბეგი" უწოდა ახალ პლანეტას, რამეთუ თამარ ჩოფიკაშვილი მოხევეა და დაბადების დღეს ასეთი სიურპრიზი მოუმზადა ვესტმა საყვარელ მეუღლეს...

თამარა ჩოფიკაშვილი მიუნხენში დიდ პროპაგანდას უწევს ქართულ ენას, უვლის ქართულ წიგნებს... შეადგინა მიუნხენის სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და უნივერსიტეტში დაცულ ქართულ წიგნთა კატალოგი, ჰხავს 10-ზე მეტი სტუდენტი მიუნხენის უნივერსიტეტში, რომელიაც ასწავლის ქართულ ენას. ცნობილ დასავლეთგერმანელ ქართველოლოგ პროფესორ იულიუს ასფალგთან ერთად შეადგინა "ქართული ენის გრამატიკა"... თამარმა საიდუმლოდ გამანდო, ჩემი მეუღლე დანიურად თარგმნის "ვეფხვისტყაოსანს".

მე მათ გამომატანეს პლანეტა "ყაზბეგის" აღმოჩენის დოკუმენტი, რომელიც უნდა გადავცე ყაზბეგის რაიონის ხელმძღვანელობას, მოსახლეობას..."

ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები სახელმოხვეჭილ მეცნიერ რიხარდ ვესტსა და მის მეუღლეს თამარ ჩოფიკაშვილ-ვესტისა მათ პირად და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში შეილებ-შვილიშვილებთან ერთად.

კარლო ინასარიძე

მიუნხენი, 1. 12. 2002 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რადიო "თავისუფლების" 50 წლისთავი

## (მ ო გ ო ნ ე ბ ა)

1.

დღეს, როცა ჩვენ ვდღესასწაულობთ რადიო "თავისუფლების" 50 წლისთავს, ვფიქრობ, რადიო "თავისუფლება", რადიო "თავისუფალი ევროპის" მსგავსად, ალბათ, არის ერთადერთი რადიოსადგური მსოფლიო მაშტაბით, რომელმაც ამ მოკლე დროში შესძლო მისი მიზნის განხორციელება: საბჭოთა კავშირი დაშლილია და ყველა რესპუბლიკა არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებიც იმყოფებიან დემოკრატიზაციის პროცესში.კიდევ მეტი: "ცივი ომი" დამთავრდა და ატომიური ომის შესაძლებლობა შემცირდა. ეს კი არის დიდი წარმატება კაცობრიობისათვის და ჩვენ ვამაყობთ, რომ ხელი შეუწყვეთ ამ პროცესს იმფორმაციის თავისუფალი დინები

2.

პირველად გავეცანი რადიო "განთავისუფლებას" – ასე ეწოდებოდა იმ დროს რადიო "თავისუფლებას" – 1952 წლის სექტემბერში, მიუხენში, მაქსიმილიანის ქუჩაზე, სადაც იმყოფებოდა პატარა ბიურო. მე მქონდა აქ გასაუბრება რადიო "განთავისუფლების" წარმომადგენელთან, და ერთ პატარა "სტუდიაში" გასინჯულ იქნა ჩემი ხმა. ეს იყო ყველაფერი ამ დროს.

3.

პარიზში, სადაც თავშეფარი ჰქონდა საქართველოს მთავრობას ნოე ჟორდანიას მეთაურობით, იმის შემდეგ, რაც 1921 წლის 25 თებერვალს დაიპყრეს ბოლშევიკებმა დამოუკიდებელი საქართველო, - ცხარე ბჭობა მიმდინარეობდა პოზიციასა და ოპოზიციას შორის კერძო " ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომიტეტთან" თანამშრომლობის საკითხზე. საქართველოს მთავრობა უცხოეთში და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის უმრავლესობა იყო თანამშრომლობის მომხრე "ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკულ კომითეტთან", რადგან ჩვენ გვწამდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თვითონ იყო ერთდროს კოლონია, უკეთესად გაიგებდა ჩვენს მდგომარეობას, ვიდრე მსოფლიოს სხვა დიდი სახელმწიფო. ნოე ჟორდანიას მთავრობამ მოსალაპარაკლებად შექმნა დელეგაცია, რომელშიც შედიოდა ევგენი გეგეჭკორი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ნოე ცინცაძე, საქართველოს განათლების მინისტრი, ხოლო რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის მთავარ რედაქტორად დანიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი – რაჟდენ (მიშა) არსენიძე.

4.

მოლაპარაკები საბჭოთა კავშირში მოქცეული ხალხების წარმომადგენლებს შორის უცხოეთში, იყო მეტად რთული, მაგრამ საბოლოოდ მიღწეულ იქნა შეთანხმება: "ბოლშევიზმისაგან განთავისუფლების ამერიკული კომიტეტი" და პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლები გახდენ პარტნიორები. და ასე დაიწყო რადიო "განთავისუფლების" დაკომპლექტება, რაც განხორციელებულ იქნა მოკლე ხანში. მაგრამ რადიო "განთავისუფლების" წარმომადგენლობა იმედგაცრუებული დარჩა, რადგან არავის არ მოსვლია აზრად ელაპარაკა ხელფასზე."თქვენ მოგვეცით ჩვენ იმდენი ხელფასი, რამდენიც საჭიროა ბინისა და საჭმელისათვის"- იყო რაჟდენ არსენიძის პასუხი. მაგრამ რეა წლის შემდეგ, როცა მას გულის პრობლემები ჰქონდა - ის იყო უკვე 82 წლის - მითხრა: "ამერიკელები არიან დამნაშავე, რომ გულის ავადმხოფობა მაქვს!" როცა მე შევეკითხე - რატომ?, მან მიპასუხა: "ამერიკელებმა მომცეს დიდი ხელფასი, მე ვჭამე ბევრი და ამიტომ მაქვს გულის პრობლემები".

5.

მაგონდება ერთერთი პირველთაგანი კრება რედაქციისა. ამ დროს ქართული რადიორედაქციაში ვიყავით ხუთი კაცი: რაჟდენ არსენიძე, ნიკო იმნაიშვილი, დავით ურატაზე ილია კუჭუხიძე და მე.
ჩვენ გაგვაჩნდა რადიო "განთავისუფლების" პოლიტიკური სახელმძღვანელო; ჩვენ ვიცოდით, რომ მსმენელებს უნდა მივაწოდოთ ობიექტური იმფორმაცია; ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენ ვართ ანტიბოლშევიკები; მაგრამ, როგორც რაჟდენ არსენიძემ თქვა, ეს არის საკმარისი: ჩვენ უნდა ვთქვათ ჩვენს გადაცემებში რა გვსურს ჩვენ. არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიამ, რომელიც ლაპარაკობს დიდი და პატარა ერების თანასწორებაზე, - დაგვაკმაყოფილა ჩვენ. და-ბოლოს შევთანხმდით, ჩვენი გადაცემების ბაზად ვაღიაროთ "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამის დებულება: " ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა. თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნების". ("მესამე დასი", თბილისი, 1893 წლის 7 თებერვალი). ჩვენი გადაცემების ბაზა გახდა აგრეთვე "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" 1918 წლის 26 მაისისა, რაც შეიძლება შედარებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების 1776 წლის 4 ივლისის "დამოუკიდებლობის დეკლარაციასთან", და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციასთან, რომელიც მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს და რომელიც ეყრდნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვეიცარიის, საფრანგეთის 1791 წლის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა დემოკრატიულ ქვეყნების კონსტიტუციებს.

6.

რადიო "განთავისუფლებამ" გადაცემები დაიწყო 1953 წლის 1 მარტს, მაგრამ გადაცემები ქართულ ენაზე დავიწყეთ 1953 წლის 17 მარტს; და ამ დროს , ქართული გადაცემები წარმოებდა საღამოობით ოთხჯერ 15-წუთიანი პროგრამა, რაც ოთხჯერ მეორდებოდა დილით. შემდეგ ქართული პროგრამა გახდა ოც-წუთიანი, ნახევარ-საათიანი და ბოლოს ერთსაათიანი. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გადაგვეცა ინტერვიუები, რეპორტაჟები, საუბარი მრგვალ მაგიდასთან, და თვით მოკლე რადიოპიესებიც კი. ჩვენს "ჩანართებში" ("სპოტ") კი ჩვენ ელაპარაკობდით ყოველდღიურად იმფორმაციის თავისუფალ გავრცელებაზე, ერისა და პიროვნების თავისუფლებაზე. როგორც შემდეგ გაეიგეთ, ჩვენ გვქონდა დიდი წარმატება.

7.

მართლაც, ჩვენ გაგვაჩნდა შესაძლებლობა მიგვეღო ინტერვიუები ჩვენს ქართველ მეცნიერებისაგან, მაგალითად, პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთლისაგან, თუ მწერლებისაგან, როგორც, მაგალითად, გრიგოლ რობაქიძისაგან, რომლებიც ჩვენ გადავეცით ჩვენი რადიოთი. წლების შემდეგ ჩვენ უკვე გვქონდა დოკუმენტაცია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის შესახებ,რომელსაც საქართველოსთვის მართლაც "ფასდაუდებელი სამსახურია". და ინტერვიუების მიღება იმ დროს იყო ტექნიკურადაც რთული საქმე: ჩვენ თან უნდა გვეტარებინა მაგნეტოფონი "რევოქსი", რომელიც, მოწმობილობით, იწონიდა დაახლოებით 25 კილოგრამს. მაგრამ ჩვენ ვიყავით იდეალისტურად განწყობილნი ისე, როგორც რადიო "განთავისუფლების" ყველა წევრი, რადგან რადიო "განთავისუფლების" ხელმძღვანელებიც იყვნენ იდეალისტები.

8.

რადიო "განთავისუფლება" იმ დროს იყო ერთი დიდი ოჯახი, რომლის "მამის" სიმბოლო გახდა მისტერ რობერტ კელი, რომელიც იყო "რადიო განთავისუფლების კომიტეტის" წარმომადგენელი ევროპაში, რომლის მთავარი სადგომი იყო ნიუ-იორკში. რადიო "განთავისუფლების" პირველი თაობა შესდგებოდა მეტად მრავალფეროვან პიროვნებებისაგან, როგორც, მაგალითად, პროფესორი ვაიდლე, ვიქტორ ფრანკი, დოქტორ ტოროსიანი, ფატალი-ბეილი, არსენიძე, ქალბატონი ფონ ბოიკო, იუსუფ-ოღლი, და სხვები. ზოგჯერ ჩვენ ვახშმობდით ერთად ქალაქში ან სადილათ მივდიოდით ქალაქგარეთ კვირაძღეს. მახსოვს ერთი კვირაძღე, როცა რადიო "განთავისუფლების" ყველა თანამშრომელი ოჯახებით წავედით ავტობუსებით შლირზეეში. ჩვენ, ყველა მეტად ვამაყობდით, რომ ჩვენ ვისადილეთ ჰოლივუდის კინოვარსკვლავ მირნა ლოი-სთან, რომელიც იყო "რადიო განთავისუფლების კომიტეტის"პრეზიდენტის ჰოუვარდ სერჟანტის მეუღლე. ამ წამრტაც ბავარიულ ქალაქში იგრძნობდა "ჰოლივუდის ატმოსფერო"; ეს კი იყო იმდროს დიდი მოვლენა.

9.

ჩვენ დავტოვეთ ჩვენი "რომანტიკული" რადიო "თავისუფლების" შენობა ლილიენტალ-შტრასეზე, სადაც ახლა არის მიუნხენის "ოლომპიური ქალაქი" და, მოკლე ხნით, ვიყავით არაბელა-შტრასეზე. დაბოლოს რადიო "თავისუფლება" და რადიო " თავისუფალი ევროპა" გაერთიანდა და დავბინავდით ერთად ოეტინგენ-შტრასეზე, ნომერ 67-ში.ამ პროცესს მოყვა არა მარტო სახელწოდების შეცვლა, როცა რადიო "განთავისუფლება" გახდა რადიო "თავისუფლება", არამედ რადიო თავისუფალი ევროპისა და რადიო თავისუფლების სტატუსის შეცვლაც: ჩვენი დაფინანსება გადაიბარა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა. ჟურნალისთა ახალმა თაობამ შეცვალა ძველი თაობა, რის შედეგად შეიცვალა გადაცემების რაობაც: ჩვენი გადაცემების ცენტრში მოექცა იმფორმაციის თავისუფალი გავრცელება –ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად , რომელიც მიიღო გაერომ 1948 წლის 10 დეკემბერს: "ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად". და როცა "რკინის ფარდა" გაიხსნა 1989 წელში, ჩვენ ყველა განცვიფრებული ვიყავით, რომ რადიო "თავისუფლების" მისია უცბად იქცა რეალობად: საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველომ, 1990 წლის 9 აპრილს, ისევ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, და ჩვენს დედაქალაქში – თბილისში - უკვე არის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოც, ხოლო საქართველოს რესპუბლიკა არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი. რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის "სიზმარი" იქცა რეალობად.

10.

დაბოლოს, მსურს გავიმეორო ის სიტყვები, რომლებიც მე ვუთხარი რადიო "თავისუფლების" ეროვნებათა სამსახურის დირექტორს,როცა მე გავედი პენსიაზე:მე მსურს გამოვთქვა ჩემი დიდი მადლობა ამერიკის ხალხის, კონგრესის, მთავრობისა და რადიო "თავისუფლების" ხელმძღვანელობისადმი. თქვენ დაგვეხმარეთ ჩვენ მიგვეწოდებია ჩვენი ხალხისათვის ობიექტური ინფორმაცია დღევანდელი მსოფლიოს შესახებ. მე არასოდეს არ მქონია პრობლემები რადიო "თავისუფლების" ხელმძღვანელობასთან, რადგან მე ვიცოდი, რომ თქვენ ხართ უფრო"პრაგმატისტები" ვიდრე "დრატიციოლისტები"; ჩვენ კი ვართ უფრო "ტრადიციონალიტები" ვიდრე "პრაგმატისტები". მე ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან.

დღეს კი მე მსურს ვუთხრა ამერიკელ ხალხსა და თქვენ: გააძლიერეთ რადიო თავისუფალი ევროპისა და რადიო თავისუფლების მუშაობა. ინფორმაციის თავისუფალი დინება დღესაც ისევე მნიშენელოვანია, როგორც იყო "ცივი ომის" დროს. დაგვეხმარეთ შევქმნათ საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფო და პსაზოგადოება.

კარლო ინასარიძე
პარიზი 2003 წლის იანვარი



David Ouratadze  Razhden Arsenidse, Karlo Inasaridze,  Ilya Kutschuchidze



The Georgian Service after the blast, 1981

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დოკუმენტაცია

16.3.73

ქართული რედაქცია-რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დიმიტრი მარშანია

## რადიო"თავისუფლების" 20 წლისთავი:

(ჩვენი საჭირბოროტო საკითხები)

(მუსიკა)

წამყვანი: -

ჩვენი საჭირბოროტო საკითხი. მიკროფონთან არის დიმიტრი მარშანია: 1).

დიქტორი: რადიო "თავისუფლებას" შეუსრულდა 20 წლისთავი; და აი ეს ღირსშესანიშნავი თარიღია-დღევანდელი ჩემი საუბრის თემა.

ოცი წლის წინათ, 1953 წლის პირველ მარტს დაიწყო მუშაობა ჩვენმა რადიოსადგურმა "თავისუფლებამ"; ქართული გადაცემები კი ჩვენ დავიწყეთ იმავე წლის 17 მარტს; და დღეს, რადიო"თავისუფლების" ოცი წლისთავზე, - ვაყენებთ კითხვას: რამ გამოიწვია რადიო "თავისუფლების" დაარსება? და რა არის რადიო "თავისუფლება"?

პირველი კითხვის განსამარტავად - თუ რამ გამოიწვია რადიო "თავისუფლების" დაარსება -, ვფიქრობთ, საჭიროა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლის მოგონება: "ყოველ ადამიანს - ნათქვამია ამ დეკლარაციის მე-19 მუხლში - ყოველ ადამიანს აქვს რწმენისა და მისი გამოთქმის თავისუფლება; ეს უფლება შეიცავს უფლებას დაუბრკოლებლივ გაჰყვე საკუთარ რწმენას და თავისუფლად მოძებნო, მიიღო და გაავრცელო ინფორმაციები და იდეები ყოველი საშუალებით სახელმწიფო საზღვრების დამოუკიდებლად".

ასეა ნათქვამი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, რომელიც მიიღო და დაამტკიცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს და რომელსაც ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის მთავრობამაც.

მაგრამ, სამწუხაროთ, საბჭოთა მთავრობა უგულებელჰყოფს ინფორმაციათა და იდეების თავისუფალი დინების ცხოვრებაში გატარებას, რის ყველაზე უფრო ნათელი ფაქტია საბჭოთა კავშირში სხვაგვარადმოაზროვნეთა დაპატიმრებების, გადასახლების თუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოთავსების უამრავი ფაქტი. ამგვარად,

1). შენიშვნა: რადიო "განთავისუფლების" თანამშრომლები, გასაგები მიზეზების გამო, იყენებდენ ფსევდონიმებს. კარლო ინასარიძის ფსევდონიმები იყო, მაგალითად, განსაზღვრული დროის მონაკვეთში, დიმიტრი მარშანია, ოთარ კეთილაძე თუ დავით თაბორიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რადიო"თავისუფლების" დაარსების დროს, ამ ოცი წლი წინათ, საბჭოთა კავშირში სტალინური ფიზიკური ტერორი მძვინვარებდა ყველა მათ მიმართ, ვინც არ იზიარებდა სტალინურ შეხედულებებს, დღეს, მართალია, ფიზიკური ტერორი შენელებულია, მაგრამ არა აღკვეთილი; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტალინური ფიზიკური ტერორი ხრუშჩოვ-ბრეჟნევმა შეცვალეს"სულიერი ტერორით", რაც ნიშნავს სხვაგვარადმოაზროვნეთა დასჯას არა დახვრეტით, არამედ გადასახლებით, დაპატიმრებით თუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოთავსებით. და ესაა ჩვენი პასუხი ჩვენსმიერვე დასმულ კითხვაზე თუ რამ გამოიწვია რადიო "თავისუფლების" დაარსება: ეს გამოიწვია იმან, რომ საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერებსა და ეროვნებებს, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს არ გააჩნდათ და დღესაც არ გააჩნიათ - როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია ნათქვამი - რწმენისა და მისი გამოთქმის თავისუფლება; ინფორმაციების მოძებნის, მიღებისა და მათი ყოველი საშუალებით გარცელების თავისუფლება სახელმწიფო საზღვრების დამოუკიდებლად.

ხოლო, მეორე კითხვაზე - თუ რა არის რადიო"თავისუფლება" - ყოველთვის ვიძლეოდით პასუხს ჩვენს გადაცემებში:

"რადიო თავისუფლება არის - ვამბობდით და ვამბობთ ჩვენს გადაცემებში - თქვენი უცხოეთში მყოფი თანამემამულეების თავისუფალი ხმა! ჩვენი მიზანია ვემსახუროთ ერისა და პიროვნების თავისუფლების ლიალ იდეას, რომელიც არის თანამედროვე ცივილიზაციის უძვირფასესი განძი.

ჩვენ გვსურს მოგაწოდოთ ობიექტური ცნობები მსოფლიოში მომხდარ მნიშვნელოვან ამბებზე, განსაკუთრებით კი იმაზე, რასაც თქვენ გიმალავს ან ყალბათ გადმოგცემს საბჭოთა პრესა, რადიო და ტელეხედვა. ამით ჩვენ გვსურს დაგეხმაროთ თქვენ უკეთესად გაეცნოთ მსოფლიოში მომხდარ ამბების ვითარებას. ჩვენ ვცდილობთ გავაშუქოთ აგრეთვე ჩვენი ერის დღევანდელი მდგომარეობა".

ამგვარად, რადიო "თავისუფლება"არის რუპორი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისა, რომლებსაც არ გააჩნიათ ლეგალური საშუალება გამოთქვან თავიანთი აზრი "ცენტრის" პარტხელმძღვანელობის საშინაო და და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამიტომ, რა გასაკვირია ის, რომ ჩვენ ვცდილობთ მოგაწოდოთ თქვენ, პატივცემულო მსმენელებო, ის მასალები, რომლებიც "თვითგამოცემის" გზით ვრცელდება საბჭოთა კავშირში და აღწევს ჩვენამდეც.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რადიო "თავისუფლება" არის

საბჭოთა კავშირის და ამით საქართველოს მოქალაქეების რადიოსადგური, რომელიც იძლევა ობიექტურ ინფორმაციას მსოფლიოს ყოველ მნიშვნელოვან მოვლენის შესახებ და ამავე დროს ცდილობს გამოთქვას თავისი აზრი საბჭოთა ხელმძღვანელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ; აზრი, რომლის თქმა საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს სურთ, მაგრამ ამის საშუალება მათ წართმეული აქვთ პარტხელმძღვანელობის მიერ.

აღვნიშნავთ რა რადიო "თავისუფლების" ოცი წლის თავს, ჩვენ ვალდებულად ვთვლით ჩვენს თავს მომავალშიაც მოგაწოდოთ ობიექტური ცნობები მსოფლიოში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, უყურადღებოდ არ დავტოვოთ მოსკოვისა და საქართველოს პარტხელმძღვანელობის მოქმედება იმ მიზნით, რომ საქართველომ, საქართველოს მოქალაქეებმა მოიპოვოს უფრო მეტი თავისუფლება, როგორც ეროვნულ, ისე პიროვნულ სფეროში, ვინაიდან - ჩვენის აზრით - ერისა და პიროვნების თავისუფლებაა ის ღერძი, რომლის გარეშე შეუძლებელია ატომური ეპოქის მეტად რთული პრობლემების რაციონალურად და ჰუმანურად, ე.ი. ადამიანურად გადაჭრა! პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ბედს უნდა წყვეტდეს საქართველოს მოსახლეობა; საქართველოს ერთადერთი ცენტრი უნდა იყოს თბილისი და არა მოსკოვი. განა ყოველი ქართველი არ დაუჭერს ასეთ ეროვნულ საქმეს მხარს, როგორი პოლიტიკური მრწამსისაც არ უნდა იყოს ის?

წამყვანი: რადიო "თავისუფლების" ოცი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, თქვენ გესაუბრათ ჩვენი კომენტატორი - დიმიტრი მარშანია.

(მუსიკა)

=====================================

ნიკოლოზ ბარათაშვილი

'რა ხელს ჰყრის პატივს ნაში ბულბული,
გალიაშია დატყვევებული? -
ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?'

ნ.ბარათაშვილი

## ქართულ რედაქციაში მუშაობენ თუ მუშაობდნენ შემდეგი პირები:

1. **არსენიძე როჟდენ (მიშა)** – მუშაობა დაიწყო 1953 წლის იანვარში. მუშაობას თავი დაანება 1962 წლის სექტემბერში. გარდაიცვალა 1965 წ. მაისში.
2. **ურაგაძე დავით** – მუშაობა დაიწყო 1953 წლის იანვარში.
3. **კუჭუხიძე ილია** – მუშაობა დაიწყო 1953 წლის მარტში.
4. **იმნაიშვილი ნიკო** – მუშაობა დაიწყო 1953 წლის აპრილში. გარდაიცვალა 1963 წლის იანვარში.
5. **ინასარიძე კარლო** – მუშაობა დაიწყო 1953 წლის ივლისში.
6. **ინწკირველი ვალერიან (ვალიკო)** – მუშაობა დაიწყო 1956 წლის მაისში გარდაიცვალა 1958 წლის ოქტომბერში.
7. **იმნაიშვილი მიხო** – მუშაობა დაიწყო 1958 წლის მაისში.
8. **გორგოლიანი იოსებ (სოსო)** – მუშაობა დაიწყო 1963 წლის ოქტომბერში.
9. **კალანდაძე მედეა** – მუშაობა დაიწყო 1963 წლის აპრილში.
10. **პეტრიძე დავით** – მუშაობა დაიწყო 1963 წლის აპრილში.

## ქართული რედაქციის თანამშრომლები არიან თუ იყვნენ:

1. **ურაგაძე მედეა** – პარიზელი კორესპონდენტი. მუშაობა დაამთავრა 1966წ.
2. **ჩხენკელი ალექსი** – ნიუ-იორკელი კორესპონდენტი.
3. **ნაკაშიძე ნიკო** – თავისი ნაწილი სკრიპტებისა სერიიდან – "ქართველები უცხოეთში" – ფსევდონიმით "ანაზეულელი", "ანაზეული" და "იმერი", გარდაიცვალა 1966 წლის მაისში.
4. მამულაიშვილი ელენე – პარიზელი კორესპონდენტი – ფსევდონიმით "მარიამ შუაბნელი".

---

**ხალხური სიბრძნე**

'სჯობს მონობაში გადიდკაცებულს,
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!'

**ხალხური სიბრძნე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს მოსახლეობის აღწერა

2002 წლის იანვარში ჩატარდა საქართველოს მოსახლეობის აღწერა, რომლის დროს აღწერა ვერ ჩატარდა საქართველოს რუსეთისაგან დაპყრობილ ტერიტორიაზე, სახელდობრ ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლში. ამ აღწერის თანახმად საქართველოს მოსახლეობა 2002 წლის იანვარში უდრიდა, აფხაზეთისა და შიდაქართლის მოსახლეობის გამოკლებით, – ოთხ-მილიონ-ოთხას-ათას სულს - 4,4 მილიონ სულს. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა იმავე ტერიტორიაზე 8-ა პროცენტი ნაკლები იყო 1989 წლის აღწერასთან შედარებით.
საქართველოში 2002 წელს 50-ათასამდე ბავშვი დაიბადა და ამით პირველად 90-ანი წლების შუახანიდან შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაცემის ტენდენცია და შობადობის საერთო დონემ მატება დაიწყო.
საქართველოსათვის, ისევე, როგორც სხვა ტრანფორმაციის ქვეყნების უმრავლესობისათვის, სერიოზულ პრობლემად რჩება გარე მიგრაცია. უკანასკნელ წლებში საქართველოდან სხვადასხვა მიზეზით წასულთა ყოველწლიური რაოდენობა 50-80-ათას სულს უდრის.
ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ქართველთა რაოდენობა 2002 წელს, 1989 წელთან შედარებით, 69 პროცენტიდან 75-77 პროცენტამდე გაიზარდა. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2002 წელს, წინასწარი შეფასებით, სულ ცოტა 4 პროცენტით გაიზარდა.
საქართველოში 2002 წელს საშუალო ხელფასი უდრიდა 105 ლარს, მაშინ როდესაც საარსებო მინიმუმი შრომისუნარიან მამაკაცზე გაანგარიშებით დაახლოებით 120 ლარია.
საერთოდ საქართველოში ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები საგრძნობია, თუმცა ყოველივე ამის აღქმა და ადეკვატური დაფასება გარკვეულწილად იჩრდილება ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.
ეკონომისტი იოსებ არჩვაძე წერს, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში პოზიტიური ფაქტორები 2003 წელს არა მარტო შენარჩუნდება, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდება.

"ს.რ." – 1.1.2003 წელი

---

## აფხაზეთი საქართველოა

"აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. აფხაზეთში, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, აღორძინდა ახალი ქართული სახელმწიფო. დღეს მთელი აფხაზეთის ტერიტორია მოფენილია ქართული ეკლესიებითა და ქართული წარწერებით. აფხაზური ტექსტისათვის ჩვენ ვხმარობთ ქართულ ანბანს, ქართულ ტრანსკრიპციას, რაც სავსებით ეგუება და ეთანაბრება აფხაზურს."

პეტრე ჭარაია, აფხაზი მეცნიერი და
საზოგადო მოღვაწე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არ დავივიწყოთ "დასაშვები შემწყნარებლობა"

1.

არ დავივიწყოთ 'დასაშვები შემწყნარებლობა', ე.ი. ტოლერანტობა თანამემამულენო!.. – ასეთ მოწოდების ხასიათს ვაძლევთ ჩვენს კომენტარს, რომელშიც გვსურს შევეხოთ ისეთ მტკივნეულ პრობლემას, როგორიცაა რელიგიური შემწყნარებლობა, რაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის სფეროა, დეკლარაციისა, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო და დაამტკიცა 1948 წლის 10 დეკემბერს, და რომლის მე-19 მუხლში ნათქვამია:

2.

'ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად'.

3.

და ამგვარი ვალდებულება ჯერ იკისრა სსრკ-ს სახელმწიფომ და ამით ჩვენც, საქართველომ, ქართველობამ, და შემდეგ, როცა 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის' საფუძველზე, – დამოუკიდებელი საქართველოს მთელმა მოსახლეობამ აღიარა ეს უფლებები, რაც დაკანონებულია საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, სადაც ნათქვამია:

4.

"1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილი თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს."

5.

დამოუკიდებელი საქართველოს მეორე რესპუბლიკის კონსტიტუციის 1995 წლის 24 აგვისტოს ეს მე-19 მუხლი გამომდინარეობს საქართველოს პირველი რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 32-ე მუხლიდან, რომელშიც ნათქვამია:

'ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.'

6.

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკური ხანის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 32-ე მუხლი, და მისგან გამომდინარე, საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი უზრუნველყოფს <u>რელიგიურ შემწყნარებლობასაც</u>, უფრო ზუსტად, '<u>დასაშვებ შემწყნარებლობას</u>', რაც – თავის მხრივ – <u>ინტერპრეტაციას</u> მოითხოვს, რის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ ერთ მაგალითს აშშ-ს მართლმსაჯულების ისტორიიდან "აბსოლუტური თავისუფლების" შესახებ:

7.

"აბსოლუტური თავისუფლება" მოქმედების ყველა სფეროში არსებობს მხოლოდ რო-

გორც თეორიული ცნება. ამის კლასიკური მაგალითია დაპატიმრება ერთი კაცისა, რომელიც ხალხში ხელს აქნევდა და მისი ხელი მეორე კაცის ცხვირს მოხვდა. წარსდგა რა სასამართლოს წინაშე, ზრალდებული აღშფოთებული ამბობდა:

"- რატომ არ მაქვს მე უფლება, მოსამართლევ, თავისუფალ ქვეყანაში ჩემი ხელი გავაქნიო?"

რაზედაც მოსამართლემ უპასუხა:

"- თქვენი უფლება გააქნიოთ თქვენი ხელი, ხერ, მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორე ადამიანის ცხვირი. ათი დოლარი" ჯარიმა.

8.

და რატომ მოვიყვანეთ ეს ფაქტი არა მარტო რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ? - საქმე იმაშია, რომ ხელთ გვაქვს 2002 წლის ნოემბრის თვის თბილისში გამომავალი ფრანგულენოვანი გაზეთი 'ლა ვი ან ჟორჟი'='ცხოვრება საქართველოში', რომლის პირველსა და მეორე გვერდზე გამოქვეყნებულია ცნობები საერთო სათაურით:'საქართველო ითმენს რელიგიურ შეუწყნარებლობას', რომელშიც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

— ამ ზაფხულში, მამა ბასილ მკალავიშვილმა, ჩამოაყალიბა რუსთავში 'ჯვარის' ორგანიზაცია, რომელიც ძალადობას იყენებს 'იოჰოვას მოწმეების' წინააღმდეგ საქართველოს ხელმძღვანელობა ითმენს ამგვარ შეუწყნარებლობას;

- უკვე სამი წელიწადია საქართველოში ხშირდება შემთხვევები ძალადობისა არამართლმადიდებლური რელიგიური დაჯგუფებების წინააღმდეგ;

- 2002 წლის თებერვალში, მაგალითად, ბაპტისტური ეკლესიის მიერ გამოცემული ბიბლია დაწვეს თბილისში;

- მალხაზ სონღულაშვილის, ევანგელიური ეკლესიის მეთაურის აზრით, მთავრობა საკმარისად ახლოსაა ნაციონალისტებთან, რომ ხელი შეუწყონ ექსტრემისტების მანიპულაციას, რომ ამ გზით მოსახლეობის ყურადღება რეალურ მდგომარეობიდან რილიგიურ უმცირესობათა მდგომარეობაზე გადაიტანონ.

9.

აქ კი მივედით შემწყნარებლობისა და შეუმწყნარებლობის, ე.ი. ტოლერანტობისა და არატოლერანტობის 'შეხების წერტილებთან', რომლის დროს 'დასაშვები ტოლერანტობა' იწყება იქ, სადაც - მოყვანილ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ - 'სხვა ადამიანის' თუ სხვა 'იურიდიული პიროვნების' ცხვირი იწყება, რადგან, ვიმეორებთ, ჩვენი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც მეორე ადამიანის თუ მეორე იურიდიული პირის 'ცხვირი' იწყება!..

10.

როგორც ვხედავთ, შემწყნარებლობისა და შეუმწყნარებლობის ამგვარი 'შეხებითი პუნქტების' გარკვევა რთული საკითხია, რომლის თეორიული და პრაქტიკული გარკვევა ისევე შეუძლებელია ძალადობით ან წიგნების დაწვით, როგორც ამა-თუ-იმ მომხრეთა თუ მოწინააღმდეგეთა 'შესყიდვით', რაც არანაკლებ საშიშია დღეს საქართველოში, როცა ჩვენ პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სიძნელეების პირობებში ვიმყოფებით.

11.

ამდენად, ჩვენ დღეს, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა 2002 წლის 19 აგვისტოს,- ახალი კანონი კი არ გვჭირდება რელიგიური თავისუფლების შესახებ, არამედ საქართველოს კონსტიტუციის(1995 წელი, 24 აგვისტო) მე-19 მუხლის ცხოვრებაში გატარება,და ამით საქართველოში, საქართველოს მოსახლეობაში საუკუნოვანი ტოლერატობის გამოცოცხლება, რადგან

ჩვენ ვიცით, რომ 'არა პურითა ერთითა ცხოვრობს ადამიანი'; და, ამიტომ, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ 'დანაშვები შემწყნარებლობა' თანამემამულენო!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2002 წლის 21 ოქტომბერი
---------------------------

**თურქეთი და საქართველო დღეს**

1.

"თურქეთი და საქართველო" ისეთივე არსებითი საკითხია ჩვენთვის, როგორც "რუსეთი და საქართველო", რადგან ჩვენი სახელმწიფოებრივი "ყოფნა-არყოფნა" ამ ორი ჩვენი დიდი მეზობლების კეთილ ურთიერთობაზეც არის დამოკიდებული, რომლის დროს ჩვენ, საქართველო, ასე ვთქვათ, "ბუფერული სახელმწიფოს" როლს ვასრულებთ ამ ორ დიდ სახელმწიფოს შორის, რაც საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს, - სასარგებლოდ არ მეტყველებს.

2.

1921 წლის 11 თებერვლიდან 17 მარტამდე, მაგალითად, როცა რუსეთ მა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იარაღის ძალით დაიპყრო, თურქეთი, რუსეთ-საქართველოს ამ გამოუცხადებელი ომის დაწყებისას, - საქართველოს უჭერდა მხარს, როგორც ამას წერს თავის მოგონებაში -"ჩემი წარსული"(პარიზი, 1953 წელი) - ნოე ჟორდანია, მაგრამ, ომის მსვლელობაში, ჩვენი ეს ორი დიდი მეზობელი - რუსეთი და თურქეთი - შეთანხმდნენ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიდი ნაწილი დაიპყრო რუსეთმა, ხოლო მცირე ნაწილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თითქმის ერთი-მეოთხედი დაიპყრო თურქეთმა და ასე მაინაწილეს ჩვენმა მეზობლებმა საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო ტერიტორია, რომლის დროს რუსეთმა სოჭი და მისი რეგიონი თვით რუსეთს შეუერთა თითქოს რუსეთს ტერიტორია არ ყოფნის.

3.

და ეს უახლესი "არასასიამოვნო" ისტორიული ექსკურსი იმიტომ მომაგონდა ამჯერად, რომ აწ უკვე დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს ძალაუფლების "მეოთხე ხელისუფლება", ე.ი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბევრ ცნობას გვაწვდის "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის" შესახებ, მაგრამ "თურქეთ-საქართველოს" ურთიერთობა ისე აისახება, რომ თითქოს ჩვენი ტაო-კლარჯეთი, საქართველოს სახელმწიფოსა და ბაგრატიონთა საგვარეულო გული სრულიად მივიწყებულია [illegible] მოვიწყებული ჩანს აგრეთვე [illegible]ის ფაქტი, რომ თურქეთის უფლებამოსილების-ქვეშ მცხოვრებ ქართველობას არა მარტო არ გააჩნიათ ქართულ ენაზე სკოლები, არამედ ქართული გვარებიც კი შეუცვალეს.

4.

ამდენად, - ვდგევართ რა კეთილმეზობლური ერთიერთობის პოზიციაზე არა მარტო რუსეთთან, არამედ თურქეთთან ურთიერთობაში, აქაც უნდა ვიდგეთ ჩვენ, ქართველობა, საქართველო პოზიციაზე:"მოყვარეს პირში უთხარი..." რა თქმა უნდა, ეს ადვილი საქმე არ არის, როცა საქმე გვაქვს - ერთი მხრივ - 150-მილიონიან მოსახლეობასთან(რუსეთი) და - მეორე მხრივ - 60-მილიონიან მოსახლეობასთან(თურქეთი) და ჩვენ, ქართველობა, საქართველო სულ ხუთმილიონიან სახელმწიფოს წარმოვადგენთ. მაგრამ ძალა არა მარტო "შაშხანის ლულიდან" გამოდის, არამედ - დღევანდელ ატომურ ეპოქაში - "დიპლომატიაც" ძალაა, თუმცა, როგორც ამბობენ, "დიპლომატია ხმლის გარეშე ფასი არა აქვს!"

5.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ დიპლომატიას ხმლის გარეშეც ძალა აქვს, სულ ცოტა, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებაში მეზობელ დიდ სახელმწიფოებთან, ჩვენს შემთხვევაში, რუსეთთან და თურქეთთან, და ამგვარი მოდგომით გვსურს განვჭვრიტოთ, ამჯერად, თურქეთის პარლამენტის არჩევნები, რომელიც ჩატარდა 2002 წლის 10 ნოემბერს, და რომლის დროს, როგორც ხ. შრაიბერი და ბ.ცანდი წერს, - ადგილი ჰქონდა თურქეთის "მოქალაქეთა პუტჩს":

თურქეთის პარლამენტის სულ 550 დეპუტატიდან, ახალ პარლამენტში არჩეულ იქნა:
სამართლიანობისა და განვითარების პარტიიდან(ა-კ-პ)......363 დეპუტატი;
სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან(ცჰპ).........................178 დეპუტატი;
დამოუკიდებელთა პარტიიდან................................. 9 დეპუტატი.

"მოქალაქეთა პუტჩს" კი იმიტომ უწოდებენ თურქეთის პარლამენტის ამგვარ შედეგებს, რომ წინა პარლამენტში -
ნაციონალისტურ პარტიამ (მჰპ) ძიიდო ხმების..............18 პროცენტი;
"ანაპ"-ის პარტიამ.......................................13,2 პროცენტი;
მემარცხენე-ნაციონალურ პარტიამ (დსპ)..................22,2 პროცენტი.
ახლა კი, ყველა ეს ტრადიციული პარტიები, პარლამენტის გარეთ დარჩენ, რადგან მათ ვერ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 10 პროცენტი, რაც ლიმიტია.

6.

ამგვარად, 2002 წლის 10 ნოემბრის თურქეთის საპარლამენტო არჩევნებს უწოდებენ არა მარტო "მოქალაქეთა პუტჩს", არამედ "პოლიტიკური ლიკვიდაციის აქტს",რადგან ისლამისტი, "ზომიერი ისლამისტი" რეჯეპ ტაიპ ერდოგანი, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერი, მოულოდნელად გახდა თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერი. მაგრამ, ვინაიდან რ.ტ. ერდოგანი, მისი რადიკალური წარსულის გამო დასჯილი იყო, - ვერ გახდა პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად, რომ ჩვენს მეზობელ თურქეთს მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ეყოლება სრულიად ახალი მთავრობა, რომელიც კიდევ უფრო ენერგიულად შეეცდება წინ წარმართოს "ევროპის კავშირში" გაწევრიანების საქმე.

7.

და აქ უკვე კრიტიკული ხმები გაისმა ბრიუსელიდან, "ევროპის კავშირის" მთავარ სადგომიდან: ევროპის კავშირის კომისარმა - გიუნტერ ფერჰოიგენმა, მაგალითად, განაცხადა, რომ თურქეთმა ჯერ უნდა გაატაროს ცხოვრებაში რეფორმები: გაანთავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი, და აგრეთვე აღკვეთოს პატიმრების წამება,და დასჯილ იქნენ პოლიტიკურ პატიმართა მტანჯველები. რომანო პროდიმ, ევროპის კავშირის კომისიათა თავმჯდომარემ, კი განაცხადა, რომ ისლამისტური მიდრეკილებების გაძლიერებული პოლიტიკური სახელმწიფოს ამჯერად ევროპის კავშირში მიღება წარმოუდგენელია; საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა - ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა - ევროპის კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარემ, - თქვა:"თურქეთის მიღება ევროპის კავშირში იქნებოდა ამ კავშირის დასასრული".

8.

ამგვარად, თურქეთი ევროპის კავშირის სამიტზე 2002 წლის 12-13 დეკემბერს, კოპენჰაგენში, ვერ მიიღებს, ალბათ, ზუსტ თარიღს თუ როდის დაიწყება მოლაპარაკებები თურქეთთან ევროპის კავშირში მიღებისათვის. უკვე დიდიხანია მუშაობს ევროპის კავშირის ექსპერტები ისეთი მოდელის შესაქმნელად, რომლის ძალით შესაძლებელი გახდება "პრივილეგირებული მეზობლობის" ცნების შექმნა "ნოლ-

წევრთა" და "სრულ-წევრთა" შუაში. ყიხკარ დ'ესტენი კი უპირატესობას ანიჭებს "ფორმალურ პარტნიორობასა და კოოპერაციას" თურქეთთან ისე, როგორც უკრაინასთან.

არსებობს აგრეთვე გეგმები იმისა, რომ შექმნილ იქნას ფართესივრცოვანი ეკონომიკური ზონა რუსეთიდან დაწყებული ხმელთაშუა ზღვამდე, რომელშიც შოექცეოდა აღმოსავლეთის მეზობელი ქვეყნებიც, მაგრამ მათ არ ექნებათ ხმის უფლება ევროპის კავშირში, ე.ი. ბრიუსელში.

9.

ამასობაში, თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი - ჰილმი ოცკოკი - დაიცისტური, ე.ი. ქემალ ათათურქის, თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის მემკვიდრეობის მეთვალყურე, - უკვე ესტუმრა ვაშინგტონს, სადაც იგი მიიღო აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა - დონალდ რამსფელდმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა - კოლინ პაუელმა, ვიცეპრეზიდენტმა - რიჩარდ ჩენეიმ და უშიშროების მრჩეველმა - კონდოლეცა რაისმა. ვაშინგტონის მიმართვაა: ექსპერიმენტები საჭირო არ არის თურქეთში.

10.

ჩვენთვის, საქართველოსათვის კი დიდი დადებითი მოვლენა იქნება თუ თურქეთი გახდება "ევროპის კავშირის" სრულუფლებიანი წევრი; მაგრამ საქართველო თუ ეღირსება "პრივილიგირებული მეზობლის" ან "ფორმალური პარტნიორობისა და კოოპერაციის" სტატუსს, ესეც დიდი დადებითი მოვლენა იქნება საქართველოსათვის. მაგრამ ჯერჯერობით ყველა აღნიშნული შესაძლებლობა "გეგმაა", რომლის განხორციელება ადვილი საქმე არ არის, თუმცა რაიმე გზა უნდა გამოინახოს, რომ თურქეთი ეკონომიკურადაც დაუკავშირდეს ევროპას, რაც, გასაგებია, ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, დაკავშირებას ნატოსთან და ევროპის კავშირთან, რაც - თავის მხრივ - დადებითად იმოქმედებს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების გამოჯანსაღებაზე.

11.

ამდენად, კეთილმეზობლური ურთიერთობა თურქეთთან საქართველოსათვის ისევე არსებითია, როგორც კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთთან - როგორი რთული და ეკლიანი არ უნდა იყოს ამ ჩვენს დიდ მეზობლებთან თანამშრომლობა.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 2002 წლის 15 ნოემბერი

---

## ვითომ "...საქართველოში ხველაფერი დალპა?.."

I.

ხელთ მაქვს 2002 წლის 24 ივნისის ქართული ყოველდღიური გაზეთი "24 საათი", რომელშიც, სხვა მრავალთა შორის, გამოქვეყნებულია რადიო "თავისუფლების" სპეციალურად გაზეთ "24 საათისათვის" დაწერილი ცნობა სათაურით -"ვისი ინტერესები დგას იარაღის უკანონო ბიზნესის უკან", რომელშიც, სხვათა შორის, ბატონი კობა ლიკლიკაძე წერს:

II.

"საქართველოსთან მიმართებაში ყველაზე ცუდი პროგნოზიც კი, თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით მართლდება. ნარკოტიკული ნივთიერებების, კონტრაბანდისა და

ცრეფიკინგის პარალელურად, საქართველო ამჯერად იარაღის უკანონო ბრუნვის თვალსაზრისითაც იმკვიდრებს მოწინავე პოზიციებს. საამისოდ საქართველოში ყველა ხელსაყრელი პირობაა შექმნილი – არამოტივირებული, ხშირად, კრიმინალური წარსულის მქონე ოფიცერთა კადრების, კორუმპირებული პოლიციის, პროკურატურისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სახით. ის ფარსი, რაც ამ დღეებში იარაღის უკანონო ბრუნვის მორიგ ფაქტთან დაკავშირებით, .. მთელი მოსახლეობის თვალწინ თამაშდება, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველოში ყველაფერი დალპა".

III.

"...რომ საქართველოში ყველაფერი დალპა", ამის დასადასტურებლად ავტორს მოყავს ორი ფაქტორი: სსრკ-ას დაშლის შემდეგ უპატრონოდ დარჩა სამხედრო საწყობები, და – მეორე – კავკასიაში გაღვივებული ე.წ-ლი ეთნიკური კონფლიქტები. და ასეთი განუკითხაობის აღმოსფეროს დაკანონებას, – ამბობს ავტორი, – ხელს უწყობს "...თავად სახელმწიფოს მეთაური"; და მოთხრობილია [illegible] თუ ვის ახლენს დანაშაულობათა მიჩქმალვას: თვით საქართველოს პრეზიდენტი იმიტომ, რომ "...ჯერ არ დამდგარა სიმართლის თქმის დრო".

IV.

რა თქმა უნდა, ძნელია იმის თქმა თუ რადენად .. საქართველოს მმართველობა, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება ... -რის ან არ არის კორუმპირებული. მაგრამ ბატონ კობა ლიკლიკაძის სუმარული ბრალდება საქართველოს პრეზიდენტისა და მმართველობა-კანონმდებლობა-მართლმსაჯულების ცალკეულ პიროვნებათა წინააღმდეგ, ვფიქრობთ, შორდება არა მარტო იურიდიულ, არამედ მორალურ საზღვრებსაც კი, როცა რადიო "თავისუფლების" სახელით ეგი წერს, –"საქართველოში ყველაფერი დალპა".

V.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვსურს, რომ ანალოგიური უხეში ბრალდება წავუყენოთ გაზეთს "24 საათს" და მის კომენტატორს, ბატონ კობა ლიკლიკაძეს, რადგან ეს იქნებოდა ლანძღვა-გინების ლანძღვა-გინებით პასუხი, რაც ჟურნალისტიკის არა მარტო იურიდიულ, არამედ მორალურ საზღვრებსაც კი სცილდება. მაგრამ ვის მოდის საერთოდ აზრად ისეთი უმსგავსობა, რომ დაიწყოს იმის მტკიცება თითქოს <u>საქართველოში ყველაფერი დამპალია?..</u>

VI.

და თუ საქართველოში დღეს, 2002 წელს, ყველაფერი დამპალია, მაშინ როგორ შეძლო გაზეთმა "24 საათმა" და მისმა კომენტატორმა – კობა ლიკლიკაძე, რომ ისინი გადაურჩენ ამ ლპობის პროცესს და ჯანსაღები დარჩენ?.. თუ ფიქრობენ ისინი თვითონ ყოველგვარი კრიტიკისაგან დაცულნი არიან, რადგან მათ გააჩნიათ შეუზღუდველი უფლება გაავრცელონ სხვაზე ყოველგვარი უმსგავსობა, ვინაიდან მათ პასუხს ვერავინ ვერ მოთხოვს?.. და სწორედ ეს ხომ არ არის ჟურნალისტური იურიდიული ნორმების უხეში დარღვევა, რაც არა ნაკლებ დასაგმობია, ვიდრე მმართველობითი, კანონმდებლობითი თუ მართლმსაჯულებითი ზოგიერთ მოხელეთა ორგანოების მიერ სახელმწიფო წესრიგის დარღვევა?..

VII.

ამგვარი კომენტარის სამაგიეროდ, ჩვენ გვსურდა წერილის მიწერა გაზეთ "24 საათისა" და მისი კომენტატორის – კობა ლიკლიკაძის – სახელზე, მაგრამ ამ გაზეთში ჩვენ "24 საათის" მისამართიც კი ვერ აღმოვაჩინეთ, რამაც კიდევ უფრო დაგვაეჭვა, რადგან ყოველი ბეჭდვითი ორგანოს ვინაობის ამსახველი ცნობა უნდა გააჩნდეს, რომ ჩვენ, მკითხველებს საშუალება გვქონდეს გავიგოთ თუ ვინ დგას ამ ორგანოს უკან, რომ ასეთ უმსგავსობას აქვეყნებს?..

VIII.

როგორც იქნა ხელში ჩაგვივარდა გაზეთ "24 საათის" 24 აგვისტოს ნომერი 2002 წლისა, სადაც ვკითხულობთ, რომ გაზეთ "24 საათის, ამ ყოველდღიური გაზეთის გამომცემელია, როგორც ამ გაზეთში ვკითხულობთ, "სამაუწყებლო კომპარია 'რუსთავი 2'", ე.ი. – თუ არა ვცდებით – ტელევიზია "რუსთავი 2"; და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენი ეს კომენტარი სრულიად ახალ განზომილებას ღებულობს, რადგან ტელევიზია "რუსთავი 2" არა მარტო საქართველოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა, როცა "რუსთავი 2-ის" პოპულარული ჟურნალისტი – გიორგი სანაძე – გაურკვეველ ვითარებაში მოკლულ იქნა თავის ბინაში 2001 წლის 26 სექტემბერს, რასაც ჩვენმა ჟურნალმა –"მებრძოლ საქართველომ"– არაერთი კომენტარი უძღვნა – ვდგევართ რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების დაცვის სადარაჯოზე.

IX.

და თუ "24 საათი", როგორც აღვნიშნეთ, "სამაუწყებლო კომპანია 'რუსთავი 2-ის'" გამოცემაა, მაშინ გაზეთი "24 საათი" და ტელევიზია "რუსთავი 2" ეთოსით, გამოთქმით ნათესავები ხომ არ არიან?..

X.

რა თქმა უნდა, ჩვენ რა უნდა გვქონდეს ამა-თუ-იმ მასობრივი ინფორმაციის უწყებათა წინააღმდეგ თუ ისინი ინფორმაციის თავისუფლებას ქადაგებენ!.. მაგრამ, აღნიშნულ კონკრეტულ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, – ინფორმაციის თავისუფლების უგულებელჰყოფა, აბუჩად აგდება არ არის, როცა გაზეთი "24 საათი" სუმარულად, განზოგადოებულად ამბობს, რომ "...საქართველოში ყველაფერი დალპა?.."

ამიტომ გვსურს შევძახოთ ამგვარ გაზეთსა და ამგვარ ჟურნალისტებს: არა, ბატონო, საქართველო არასოდეს არ ლპებოდა და არასოდეს არ დალპება. თქვენ ეს, უთუოთ, იცით, უნდა იცოდეთ, და თუ ეს ასეა, რატომ ავრცელებს ასეთ უმსგავსოებას?..

კარლო ინასარიძე
ლევილი, 2002 წლის 21

---

## “ამერიკის ყველა ომი არის ჯვაროსნული”

### რობერტ დ.კაპლანის ინტერვიუ

I.

აშშ-ს მიმომხილველმა – რობერტ დ. კაპლანმა – ინტერვიუ მისცა დიდ ფრანგულ გაზეთს "ლე ფიგარო-ს", რომელიც გამოქვეყნდა ამ გაზეთის 2002 წლის 10-ი აგვისტოს ნომერში სათაურით:"ამერიკის ყველა ომი არის ჯვაროსნული".

II.

ამ ინტერვიუს საბაბი გახდა რობერ დ. კაპლანის ახალი წიგნი –"პოლიტიკური მეომრები", რომელიც დაიბეჭდა ნიუ-იორკში 2001 წელს და გადაითარგმნა მრავალ ენაზე.

რობერტ დ. კაპლანი, რომელიც 49 წლისაა, უკვე სამი-ათეული წელიწადია მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში და მიდის დასკვნამდე, რომ "...პოლიტიკა არის ბინძური საქმე, რომლის დროს ზოგჯერ პრინციპები ჯიბეში უნდა შეინახო ცხვირსახოცის ქვეშ. მართალია, აშშ-ს მისია უნდა იყოს წინ წაწიოს თავისუფლება, მაგრამ ადამიანის უფლებებზე ლაპარაკმა არ უნდა მიგვიყვანოს უ-

ტიმატუმამდე. მოკლედ რომ ვთქვათ, რობერტ დ.კაპლანი რეალიზმს უჭერს მხარს საერთაშორისო პოლიტიკაში, რომლის დროს, ზოგჯერ, დიქტატურასთან თანამშრომლობა დასაშვებია, რადგან ალტერნატივა შეიძლება მეტად საშინელი იყოს. დასავლური დემოკრატიის ცხოვრებაში გატარების ცდამ ირანში იმდენად გამოუთხარა საფუძველი შაჰს, რომ საბოლოო ჯამში გამოიწვია აიატოლა ხომეინის გაბატონება.

"ფიგაროს" კორესპონდენტის – ჟან-ჟაკ მეველის შეკითხვაზე,– ამერიკა ჩათრეულია პატარ-პატარა ომებში მსოფლიოს მრავალ კუთხეში, რომ ანარხია იქნას თავიდან აცილებული, – და მოიყვანა ავღანეთის, ფილიპინების და შეიძლება ერაყის მაგალითი, – რობერტ დ. კაპლანმა დაუმატა: "საჭიროა სხვა პატარა სახელმწიფოთა მაგალითის მოყვანა. კოლუმბია და საქართველო შეიძლება მოექცეს ამგვარი სახელმწიფოების სიის დასაწყისში... მე-21 საუკუნე სინამდვილეში დაიწყო ტყუპი ცათამჯენებზე თავდასხმით 2001 წლის 11 სექტემბერს. 11-ტ სექტემბერმა ფარდა ახადა ერთ ილუზიას...გონიერება კი არ მართავს ისტორიას, არამედ ირაციონალიზმი, ძალადობა, ალტკინება".

შეკითხვაზე, რომ ფილოსოფოსი ფრანსის ფუკიამა ამბობს "ისტორია მთავრდება იმ გაგებით, რადგან დემოკრატიისა და საბაზრო მეურნეობის მოქიშპე არ ჩანს ჰორიზონტზე, – რობერტ დ.კაპლანმა უპასუხა:
ფუკიამა მართალია: დემოკრატიასა და საბაზრო მეურნეობას არ გააჩნია მოქიშპე. მაგრამ დემოკრატია არ არის ყოველთვის გარანტია; ავიღოთ მაგალითად ჰიტლერის არჩევა კანცლერად, ან გენერალ მუშარაფის ხელისუფლებაში მისვლა პუტჩით, თუმცა იგი ლიბერალურია, ვიდრე მისი არჩეული წინამორბედი – ავაზ შარიფი. კაპიტალიზმი არ არის არავითარი ფასოვანების მატარებელი. ის არ არის კარგი ან ცუდი. ავიღოთ მაგალითად ნარკოტიკებით ვაჭრობა თუ რუსული მაფია, ესენია თავისებური მემკვიდრეები კაპიტალიზმისა. კაპიტალიზმი იფურჩქნება ყველგან, მაგრამ ეს არ არის კომპასი. კაპიტალიზმი ოპორტუნისტულია; მას არ აქვს მორალი".

ეხება

სხვა მრავალთა შორის, რობერტ დ. კაპლანი საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემასაც: "ომი ტერორიზმის წინააღმდეგ" არის თავისებური "ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ". ხოლო აშშ-ს შედარებისას რომის იმპერიასთან უპასუხა: "სად არის ჩვენი კოლონიები?" და იქვე ამბობს:

"შეერთებული შტატები არის ერთი ქვეყანა როგორც სხვა მსგავსნი". ჩვენ კი ვამბობთ: აქ მიჩქმალულია აშშ-ს შექმნის 1776 წლის 14 ივლისის "დამოუკიდებლობის მანიფესტი" და მისგან გამომდინარე აშშ-ს კონსტიტუციის დედა-ძარღვი, რომელიც "ბედნიერებას"="ჰეპინეს-ს" აღიარებს ადამიანის ღირსების ფასოვანებას, რის დღევანდელ გამომჟღავნებათ გვევლინება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც უკვე აღიარებულია გაეროს წევრ-სახელმწიფოთა მიერ როგორც სა-ერთა-შორისო ფასოვანება.

კ.ი.,"ფიგარო", 11.8.2002 წ.

## წასაბაძი მაგალითი

### ქართველი ახალგაზრდა ფერმერები შვეიცარიაში

1.

'ქართველი ახალგაზრდა ფერმერები შვეიცარიაში' – ასეთი სათაური იმიტომ მივეცითამ ჩვენს ცნობას, რომ ბოლშევიკებმა ისე 'გაცვითეს' პროპაგანდისტულად ისეთი კეთილშობილი გამოთქმა – 'მუშათა და გლეხთა'-, რომ, ალბათ, დრო არის საჭირო 'საბჭოურ' გამოთქმებს ისევ დავუბრუნოთ მათი პირველადი

მნიშვნელობა, რომლის დროს მუშახა და გლეხს ისევ დაუბრუნდება მათი კეთილშობილური სახელწოდება; და აქეთკენ მიგვითითებს ცნობა, რომელიც გამოქვეყნებულია 2002 წლის 31 აგვისტოს 'ციურიხზეე-ცაიტუნგენ-ის' მე-14 გვერდზე, რომელშიც ვრცელი რეპორტაჟით გამოქვეყნებული ახალგაზრდა ოთხი ქართველი გლეხის, ე.ი. ფერმერების შესახებ, რომლებიც პრაქტიკას გადიან შვეიცარიაში.

2.

რეპორტიორი ურს ფიცვე აღწერს 24-ი წლის ილია ზერიძის, 71-ი წლის ალექსანდრე ხოცრევანიძის(!) და მისი შვილიშვილის - ირაკლის - პრაქტიკულ შრომა-მოღვაწეობას შვეიცარიის მთიან რეგიონებში:

ილია ზერიძეს- ასპინძაში, რომელიც მდებარეობს 1100-ს მეტრზე ზღვის დონედან, თურქეთის საზღვართან, მდინარე მტკვრის სანაპიროზე, — გააჩნია ოთხ ჰექტარზე ცოტა მეტი მიწა, რომელთაგან სამი ჰექტარი იჯარითაა აღებული სახელმწიფოსაგან; ყავს აგრეთვე ორი ძროხა, ერთი ხარი, ერთი ხბო, 10-ი ცხვარი და 20-ი კურდღელი; ამას გარდა გააჩნია მცირე მიწის ნაჭერი კარტოფილის მოსაყვანად და ხეხილი; და ყველაფერი ეს ყოფნის მას და მის მშრომლებს თავი ირჩინონ, ე.ი. აქ გლეხობა იწევს იმდენ მოსავალს, რომ - ასე თუ ისე - თავი ირჩინონ.

3.

მიწის პრივატიზაციის შედეგად, თითოეულ ოჯახს მისცეს 1,25 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა; დანარჩენი მიწა კი სახელმწიფოს ხელშია და სახელმწიფოსაგან ყოველ გლეხს შეუძლია მიწა მიიღოს იჯარით, რომლის დროს ერთი ჰექტარის იჯარა უდრის ხუთიდან-ათ ფრანკამდე, რაც საქართველოს პირობებში ცოტა არ არის. ილია ზერიძე 2002 წლის აპრილიდან - ოთხი თვე ცხოვრობდა და მუშაობდა კიგერის ოჯახში, შვეიცარიის მთიან რეგიონში, სოფელ ვაილერ მონტ-ში, რომელიც მდებარეობს 1475 მეტრზე ზღვის დონედან. რუდი და ეველინა კიგერი არიან უკანასკნელი ამ მთიან რეგიონის გლეხებიდან რომლებიც აქ მთელი წლის განმავლობაში ცხოვრობენ; მათ აქვს 18 ჰექტარი საკუთარი და იჯარით აღებული მიწა და ასუქებენ ხბოებს; ჰყავთ აგრეთვე ცხვრები და თხები. 'მაგრამ, - ამბობს კიგერი - სახელმწიფოს მიერ პირდაპირი ფულადი დახმარების გარეშე, ჩვენ ვერ შევძლებდით არსებობას'.

4.

ალექსანდრე ხოცრევანიძე(!) ამუშავებს 25 ჰექტარ მიწას, ყავს 30-ი ძროხა, ერთი ხარი, ხბოები და აგრეთვე რამდენიმე ცხვარი. ამზადებს ყველს, განსაკუთრებით სულგუნს. მისი შვილიშვილი - ირაკლი - ცხოვრობს კამილიოს ოჯახში და სურს გადაიბაროს ბაზუამისის ფერმა, რომლისთვისაც სწავლობს საოჯახო ფერმის წარმოებას. ლუის კამილიოს ეკოლოგიური ფერმა მდებარეობს 1190-ი მეტრი ზღვის დონედან; იგი ამუშავებს 24 ჰექტარ მიწას მისი მეუღლისა და სამი ბავშვის დახმარებით.

5.

ქართველი ახალგაზრდა ფერმერები პირდაპირ ამბობენ, - წერს ურს ფიცვე, - რომ მათ სოფლის მეურნეობის მანქანებისათვის ფული არ აქვთ, და რომ ყველაფერს ხელით აკეთებენ. 20-ი წლის ირაკლი კი ოპტიმიზმის განსახიერებაა და ამბობს, რომ როცა ბაზუაჩემს არ შეეძლება ფერმის წარმართვა, 'მე, ჩემს ოჯახს არ მივატოვებ. მანამდე ფულს გამოვიმუშავებ, რომ მეტი მიწა, შინაური საქონელი და მანქანები ვიყიდო'.

6.

და ასეთ ახალგაზრდა გლეხებს უწევს დახმარებას შვეიცარიის 'იფად' - 'ინტერნაციონალური ფონდი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის' და 'დეზა' -'შვე-

იცარიის დირექცია განვითარებისა და ერთობლივი მუშაობისათვის', რომელთა ადმინისტრაციაში ჩარეულია შვეიცარიის მთიანი გლეხების ერთობა, რომლის წინანდელი დირექტორი რეგულარულად მოგზაურობს კავკასიაში.

7.

გასულ წელს ჩამოყალიბდა ხაქართველოს მთიანი რეგიონის ასოციაცია, რომლის სტრუქტურა წააგავს შვეიცარიის მთიანი რეგიონების ერთობის სტრუქტურას. ასპინძაში კი უფრო ადრე ჩამოყალიბდა რეგიონალური განვითარების ორგანიზაცია. ყველა ამ ორგანიზაციის მიზანია დახმარება გაუწიოს ადგილობრივ მოსახლეობას თავიანთი ბედი თვითონ აიღონ ხელში; მაგალითად, ირიგაცია მოსარწყავი მინდვრებისა თვითონვე შეაკეთონ და თესლი დროულად მოამზადონ.

8.

აღნიშნული ოთხი ახალგაზრდა ფერმერის პრაქტიკის ფინანსიური მხარე გადაიხადა შვეიცარიის 'ლეზას-პრო ექტმა', რაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოს მთიან რეგიონებში, - დასძენს ურს ფიშერ.

აქვე ავღნიშნავთ აგრეთვე, რომ როცა ჩვენი ფერმერი ილია ბერიძე გაეცნო რუდი და ელვინა გიგერის 'ხზოების სასუქს', შენიშნა გულუბრყვილოდ: სად არის თქვენი ხზოებიო, რითაც იმაზე მიუთითა, რომ საქონლის ჯიში შვეიცერიაში ისეთია, რომ შვეიცარიული ხზო თითქმის ჩვენებურ ძროხას უტოლდება სიდიდით; ამიტომ გადმოგვცემენ ანტიკური ისტორიკოსები, რომ - როცა არისტოტელეს ანტიკურ კოლხეთში ყოფილა - უთქვამს: კოლხური, ე.ი. ქართული ძროხები ტანით პატარეებია, მაგრამ სამაგიეროთ აქვთ მსუყე რძე, სხვა სიტყვებით, უფრო უკეთესი ხარისხის რძე.

კ.ი., 'ციურიხზეე-ცაიტუნგენ', 31.8.2002 წ.

---

**აშშ მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას**

I.

თეთრი სახლის პრესის მდივანმა სპეციალური განცხადება გააკეთა 2002 წლის 25 აგვისტოს იმის გამო, რომ რუსეთის ავიაციამ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და ამის სელჰყო საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას. ამ განცხადებაში ნათქვამია:

"შეერთებული შტატები მეტად აღშფოთებულია, რომ სარწმუნო წყაროებით რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალებმა უმიზეზოთ დაბომბა საქართველოს ჩრდილოეთითმდებარე სოფლები 2002 წლის 23 აგვისტოს, რომელსაც მოყვა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

საქართველოს მთავრობამ და უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სასაზღვრო მეთვალყურეებმა ევროპაში დაადასტურეს ეს საჰაერო თავდასხმა. შეერთებული შტატები მწუხარებას გამოთქვამს ადამიანების სიცოცხლის დაკარგვის და საქართველოს სუვერენობის ხელყოფის გამო.

შეერთებული შტატები მეტად მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, და მიესალმა რუსეთის ფედერაციის ამგვარ განცხადებას. მაგრამ გუშინდელი თავდასხმა და მისი უარყოფა რუსეთის მთავრობისაგან, უარყოფს რუსეთის ამგვარ განცხადებას და აძლიერებს არსებულ დაძაბულობას რუსეთსა და საქართველოს შორის, ისევე როგორც თანამშრომლობით შეთანხმებებ რეგიონალური უშიშროების პრობლემის მოგვარების საქმეში.

საქმის ამგვარი გაგებით, ჩვენ ისევ მოგიწოდებთ სასწრაფოდ პოლიტიკურად მოაგვაროთ კონფლიქტი ჩეჩნეთში, რაც ხელს შეუწყობს სტაბილურობას როგორც

რუსეთში, ისე საქართველოში, და წინ წავწევს ჩვენს ღონისძიებებს ვერბმოლოთ ტერორიზმს და დავამყაროთ სიმშვიდე ვაკვასიაში."

II.

აშშ-ს სენატორმა – ჩაკ ჰაგელმა – ნებრასკის შტატ იდან, კი განაცხადა: "მე მეტად ამაღელვა ამ ცნობამ. ეს არის მეტად სერიოზული მოვლენა. რუსეთმა უნდა განმარტოს – რა მოხდა. ისეთი, რომ დაებომბა საქართველო. მნიშვნელოვანია, რომ ეს მდგომარეობა არ გამწვავდეს. საქართველოს სალხი არის ჩვენი მეგობარი, და ის არის რთულ მდგომარეობაში დემოკრატიული საზოგადოების აშენების პროცესში, რადგან მის საზღვარზეა არასტაბილური არე როგორიც ჩეჩნეთია".

"საქართველოს და აშშ-ს მთავრობებს სურთ ერთობლივად მოაგვარონ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა. საქართველოს მთავრობა მოქმედებს აშშ-ს მთავრობასთან, რომ მოაგვაროს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები ამ რეგიონში. მაგრამ ამგვარი სახის ინციდენტები ხელს უშლის ურთიერთობას რუსეთს, საქართველოსა და აშშ-ს შორის. თანამშრომლობა ჩვენს ერებს შორის კრიტიკულია ომის წარმოებისას ტერორისზმის წინააღმდეგ", – დასძენს სენატორი ჩაკ ჰაგელი.

III.

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ვ. ბუშმა, 2002 წლის 14 სექტემბერს, პრესის ბრიფინგზე, შეეხო რუსეთის პრეზიდენტის – ვლადიმირ პუტინის – ულტიმატუმს საქართველოს მიმართ, რომელშიც დაიცვა საქართველო, რადგან საქართველოს გააჩნია მეტად მცირე დრო, რომ გამოამჟღავნოს მისი უნარიანობა ანტიკრიმინალური ელემენტების აღკვეთის საქმეში პანკისის ხეობაში. "მე ვუთხარი პრეზიდენტ პუტინს, – თქვა აშშ-ს პრეზიდენტმა, – რომ მან უნდა მისცეს საშუალება საქართველოს განახორციელოს ჩვენი საერთო მიზანი, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, მიზანი, რომელიც მნიშვნელოვანია რუსეთისათვის, მიზანი, რომელიც მნიშვნელოვანია შეერთებული შტატებისათვის...მე მიუთითე პუტინს მისცეს საშუალება საქართველოს ჯარებს გააკეთონ თავიანთი საქმე".

კ.ი.-აფპ, 2002 წლის 25 აგვისტო

ვიწყებთ დემოკრატიის ანბანს?..

ადგილობრივი მმართველობის არჩევნები საქართველოში

1.

2002 წლის 2 ივნისს საქართველოში ჩატარდა ადგილობრივი მმართველობის არჩევნები, რომელმაც ნათელი გახადა, რომ ჩვენ, ე.ი. საქართველოს მოსახლეობა ვიწყებთ თუ უკვე დავიწყეთ დემოკრატიული არჩევნების ანბანი, რაც გამომჟღავნდა ამ არჩევნების ორგანიზაციულ უსუსურობაში, რის მიზეზი, როგორც ჩანს, თვით საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სიდუხჭირეში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ჯერ შევჩერდეთ არჩევნების თვით ფაქტზე:

2.

ადგილობრივი მმართველობის არჩევნებში, მაგალითად, ჩვენს დედაქალაქ თბილისში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 49 პროცენტმა, როგორც ამას იტყობინება "ბერლინის ქართული საზოგადოების ცნობის ფურცელი"(2002 წელი, ივ-

ლის-აგვისტო), რომელიც გამოდის ბერლინში. პარტიათა და დაჯგუფებათა ხმების თანაფარდობა ასეთ სურათს იძლევა თბილისის ადგილობივ მმართველობაში:
ლეიბორისტულმა პარტიამ მიიღო ხმების 25,5 პროცენტი და ჰყავს 16 დეპუტატი;
ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო ხმების 23,75 პროცენტი(15 დეპუტატი);
"ახალ მემარჯვენეებმა" მიიღეს ხმების 11,36 პროცენტი(6 დეპუტატი);
"ყვანიას ჯგუფმა" მიიღო ხმების 7,27 პროცენტი(4 დეპუტატი);
"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"....7,13 პროცენტი(4 დეპუტატი);
"აღორძინებამ" მიიღო ხმების 6,34 პროცენტი(3 დეპუტატი);
"ერთობამ" მიიღო ხმების 4,13 პროცენტი(2 დეპუტატი).
ამგვარად, თბილისის ადგილობრივ მმართველობაში სულ წარდგენილია შვიდი პარტია და დაჯგუფება სულ ოცდა-ორი პარტიული სიიდან, რომელთა უმრავლესობამ ვერ გარდალახა ოთხ-პროცენტიანი ლიმიტი და თბილისის საკრებულოში ვერ გაიყვანეს თავიანთი დეპუტატები.

3.

ადგილობრივი მმართველობის არჩევნების შესახებ კი "ცნობის ფურცელი" წერს: "ლეიბორისტები", მაგალითად, არჩევნებს აწარმოებდნენ ლოზუნგით:"განდევნეთ ქურდები მთავრობიდან!" და პირდებოდნენ ამომრჩევლებს "თავისუფალ" სამედიცინო დახმარებასა და უფასო სწავლას.
"ნაციონალურ მოძრაობას დემოკრატიისა და რეფორმებისათვის", ე.ი. მიხეილ სააკაშვილის პარტიას ირონიურად უწოდებდნენ "ოლიგარხების პარტიას".
"მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ამომრჩევლები უწოდებდნენ "ლუდის მეფის" გოგი თოფაძის პარტიას.
"ერთობა" კი არის საქართველოს კომპარტიის ყოფილი პირველი მდივნის - ჯუმბერ პატიაშვილის პარტია, რომელიც იყო კანდიდატი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები.

"საქართველო და თბილისი შევარდნაძისა და მისი კლანის გარეშე" - იყო რადიკალური რეფორმების მომხრე,ყოფილი იუსტიციის მინისტრის სააკაშვილის საარჩევნო ლოზუნგი, რომლის წინააღმდეგ გაილაშქრა "მოქალაქეთა კავშირის" შევარდნაძის ერთგულმა ფრთამ - მაპალაძის მეთაურობით, რომელმაც სააკაშვილს უწოდა "სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს."

4.

მხოლოდ თელავში მიიღო ხმების უმრავლესობა "მოქალაქეთა კავშირმა." არჩევნების მეთვალყურეთა გაერთიანებამ კი დაადგინა საარჩევნო სიებში ათასობით ყალბი მონაცემების შეტანა, საარჩევნო უბნების ცუდი ორგანიზაცია, რის შედეგად "ცნობის ფურცელი" არჩევნებს უწოდებს "არჩევნების კარუსელს!" ზოგიერთ ქალაქებში არჩევნები არც კი ჩატარებულა. ასე,მაგალითად, ორ ივნისს, ქალაქ რუსთავში, 25 კაცმა ავტომობილიდან მოიპარა საარჩევნო ბიულეტენები; ზუგდიდში კი გამჭვირვალე საარჩევნო ურნები დაანგრიეს შეიარაღებულმა პირებმა. ქალაქ ქუთაისში საერთოდ არ იქნა მიტანილი საარჩევნო ბიულეტენები, რის შედეგად საარჩევნო უბნები დაკეტილ იქნა. თბილისში კი თითქმის ყველა 394-ტ საარჩევნო უბანში ადგილი ჰქონდა საარჩევნო კანონის დარღვევებს.

5.

ევროპის საბჭოს ოც-კაციანი დელეგაციის ცნობაში ნათქვამია, რომ არჩევნები კარგად არ იყო მომზადებული, რის შედეგად არჩევნებს დემოკრატიული ხასიათი არ ჰქონდა, და იქვე ნათქვამია:"საქართველოს ახლანდელი პოლიტიკური კულტურა საკმარისი არ არის უფრო სწრაფი დემოკრატიული განვითარებისათვის საქართველოში." იქვე აღნიშნულია, რომ აფხაზეთსა და "სამხრეთ ოსეთში", ე.ი. შიდა ქართლში არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულა. აჭარაში კი ასლან აბაშიძემ სრუ-

ლიად გამოთიშა საქართველოს არჩევნების მეთვალყურეები, და ამის ნათელი სურათი მოგვცა არჩევნებმა ბათომში,"სადაც აბაშიძის პარტიამ გადალახა ოთხპროცენტიანი ჯებირი და თითქოს ამომრჩეველთა 96-მა პროცენტმა ბათომის მერად აირჩია ახლან აბაშიძის შვილი - გიორგი აბაშიძე," - წერს ყურნალი "ცნობის ფურცელი", რომელიც გამოდი ბერლინში, და დასძენს:

6.

"მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივი მმართველობის არჩევნები საქართველოში ნამდვილი არჩევნები არ იყო, ერთი ნათელი გახდა: ადამიანებმა, რომლებმაც სიძნელეებით მათი ხმა მისცეს ახარჩევ კანდიდატებს, ამით დაადასტურეს მათი სურვილი დემოკრატიული წესყობილების დამყარებისადმი და მათი უნარიანობაც ამ მიმართულებით; და ეს აცნობეს მათ მთავრობასა და მსოფლიო საზოგადოებრიობას სრულიად ნათლად."

7.

გასაკვირია მხოლოდ, რომ საქართველომ, ქართველმა ხალხა ამ თითქმის ერთი საუკუნის წინათ - 1918-1921 წლებში -, კერძოთ 1919 წლის საქართველოს დამფუძნებელი კრების, ე.ი. პარლამენტისა და ადგილობრვი მმართველობის არჩევვნებში გამოამჟღავნეს მაღალი "პოლიტიკური კულტურა", რაც გახდა საქართველოს "პატარა_ოქროს_ხანის" საფუძველი, და რატომ ვერ შევძელით ქართული პოლიტიკური კულტურის იხევ აღორძინება თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, დღეს, 2002 წელში, საქართველოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში?.. ვითომ ჩვენ, ქართველობამ, საქართველოს მოსახლეობამ მივივიწყეთ საქართველოს, ქართველი ერის დემოკრატიული საძირკვლები, რომლის საფუძველია "პირველდასხელთა" და "მესამედასხელთა" გზისმაჩვენებელი მრწამსი - "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნდეს!" და "ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა?.."

8.

და როგორ ამბობს ნოე ყორდანია, საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე?.. -"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წარმომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრევლი, მებრძოლი." და ჩვენ არ უნდა ჩავუფიქრდეთ ამ გზისმაჩვენებელ მრწამს, რომ ამგვარი მრწამსითა და შეგნებით ჩავატაროთ არა მარტო ადგილობივი მმართველობის ორგანოების,არამედ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებიც?.. ვითომ ვივიწყებთ დემოკრატიის ანბანს?..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 2002 წლის 29.. აგვისტო

---

**თავისუფლება**

'თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა სადარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა!'

ილია.

## მსოფლიო ქვეყნების სამხედრო ხარჯები

**Dépenses militaires**
(en milliards de dollars)
* Chiffres de 2000




დიაგრამა

2001 წლის 11 სექტემბრიდან, როცა აფეთქებულ იქნა ისლამისტ ტერორისტებისაგან ნიუ-იორკში მსოფლიო ვაჭრობის ტყუპი ცათამბჯენი, – დაიწყო სამხედრო ხარჯების კიდევ უფრო ზრდა არა მარტო მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებში. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტი კი უთანაბრდება მსოფლიოს 20-ი სახელმწიფოს სამხედრო ხარჯებს მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების სამხედრო ხარჯების ჩათვლით.

2000-ს წელში, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტი უდრიდა..............374 მილიარდ დოლარს;
რუსეთის........................ 60 " " ;
ჩინეთის........................ 42 " " ;
იაპონიის....................... 40,4 " " ;
დიდიბრიტანეთის................. 34 " " ;
საუდის არაბეთის................ 27,2 " " ;
საფრანგეთის.................... 25,3 " " ;
გერმანიის...................... 21 " " ;
ბრაზილიის...................... 17,9 " " ;
ინდოეთის....................... 15,6 " " ;
იტალიის........................ 15,5 " " ;
სამხრეთ კორეის................. 11,8 " " ;
ირანის......................... 9,1 " " ;
ისრაელის....................... 9 " " ;
ფორმოზას....................... 8,2 " " ;
კანადას........................ 7,7 " " ;
ესპანეთის...................... 6,9 " " ;
ავსტრალიის..................... 6,6 " " ;
ჰოლანდიის...................... 5,6 " " ;
თურქეთის....................... 5,1 " " ;
სინგაპურის სამხედრო ბიუჯეტი უდრიდა – 4,3 მილიარდ დოლარს.

ამგვარად, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები 2000-ს წელში აღემატებოდა მსოფლიოს ოცი ქვეყნის, მათ შორის მსოფლიო უდიდესი ქვეყნების სამხედრო ხარჯებს, რაც აიხსნება ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური სიძლიერით და მსოფლიო უშიშროების პასუხისმგებლობით საერთოდ, – ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში,რის მცირე განჩრეობათ შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ს დახმარება საქართველოს მიმართაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჟ.ი.,"ლე პუანტ", 19.7.2002 წ.

# ქართველთა ყოფაცხოვრება უცხოეთში

## ქართველთა ასოციაციის 70 წლისთავი აშშ-ში

2002 წლის 19 ოქტომბერს, ნიუ-იორკში, ბოტანიკური ბაღის ღია დარბაზში აღინიშნა ქართველთა ასოციაციის 70 წლისთავი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. საზეიმოდ მორთულ დარბაზში თავმოყრილ საზოგადოებას გულთბილი სიტყვებით მიესალმა ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე აშშ-ში ქალბატონი ნინო ჯაფარიძე, რომელიც – თავის მხრივ – მიესალმა კონსტანტინე სიდამონ ერისთავს, "საქართველოს ამერიკელი მეგობრების"საზოგადოების პრეზიდენტს, გენერალ მალხაზ ჯონ შალიკაშვილს, ამერიკის ყოფილ ელჩს საქართველოში კენეთ იალოვიცს, საქართველოს ელჩს აშშ-ში ლევან მიქელაძეს, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას შვილს რეჯებ ჟორდანიას, ცნობილ არქიტექტორს ოთარ ზალდასტანიშვილს, რეჟისორს რეზო ჩხეიძეს, და საზოგადოებას გააცნო აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წერილი,რომელიც მან 13 აგვისტოს გამოგზავნა აშშ-ს ტეხასის შტატიდან, რომელშიც იგი წერს:

"ფრიად სასიამოვნოა ჩემთვის დაარსებიდან 70-ე წლისთავი მივულოცო ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსებულ ქართულ ასოციაციას. ამერიკის ძლიერება ეთნიკურ განსხვავებაშიც უნდა ვეძებოთ. ამერიკაში მცხოვრები ქართველები ამაყობენ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობით, წინაპრებით და მშობლიური ენით, ამასთანვე, ისინი ამერიკელობითაც ამაყობენ. ჩვენი ქვეყნის გამარჯვებასა და წინსვლას ხელს უწხობს თქვენი ტრადიციები, ოჯახებისადმი სიყვარული, ენტერპრენიორობა, მისწრაფება ბრწყინვალე განათლებისაკენ, და რაც მთავარია, ტრადიცია, რომლის თანახმად მეზობელი მეზობელს ეხმარება. გაფასებს იმისათვის, რომ ინარჩუნებთ მდიდარ წესჩვეულებებს, რომლებსაც ამერიკელებს უზიარებთ. ძალზე მნიშვნელოვანია ვიამაყოთ ჩვენი მემკვიდრეობით და შტამომაელობით და ამასთანავე პატივი ვცეთ იმ იდეალებს, რომლებზეც ამერიკის შეერთებული შტატები აღმოცენდა. მე მივესალმები თქვენი ორგანიზაციის წევრებს და ვაფასებ მათ მძიმე შრომას. ლორაც მიერთდება და საუკეთესო სურვილებს გიძღვნით ამ საგანგებო ზეიმზე". პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

აშშ-ში ქართველთა ასოციაციის 70 წლისთავის შესრულების საზეიმო შეკრებას დაესწრო, როგორც აღვნიშნეთ, გენერალი ჯონ შალიკაშვილი, რომელიც იყო ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე; მან, სხვათა შორის, თქვა: ნება მიბოძეთ გამოვხატო თუ რაოდენ გახარებული ვარ ამ წუთებში თქვენთან ერთად. მინდა ყველას მოგილოცოთ 70-ე წლისთავი. მე ვიცი რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ორგანიზაცია. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩვენ ძალზე რთული პერიოდი გავიარეთ და ახლა შეგვიძლია ცოტათი დავშვიდდეთ.

ქართველთა მოძღვარმა ამერიკის შეერთებულ შტატებში – მამა ალექსიმ კი, თავის მხრივ, განაცხადა: თქვენ წარმოიდგინეთ, ზუსტად 10 წლის წინათ დავიწყეთ ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარება მანჰეტენზე მე-2 წუჩაზე საკათედრო ტაძარში, მაშინ სულ რაღაცა 5-10 კაცი იდგა წირვაზე და ეხლა ბოლო წლებს თუ შევადარებთ, ეს ათმაგად გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ არა მარტო საქართველოში, აქაც იზრდება სულიერება.

მამა ალექსიმ აღნიშნა აგრეთვე, რომ ღვთისმსახურება ქართველი მრევლისათვის ტარდება არა მარტო ნიუ-იორკში, არამედ აშშ-ს დედაქალაქ ვაშინგტონშიც, სადაც მოღვაწეობს მამა მიქაელი. "სულ მალე, -როგორც მამა ალექსიმ თქვა, - გავხსნით ქართულ ეკლესიას".

ამ შესანიშნავ თავყრილობაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ასოციაციის 70 წლისთავის აღნიშვნისას, დამსწრეთა საერთო აღიარება ჰპოვა ბატონ ნიკო ნადირაშვილის ოსტატობამ, რომელმაც ქართული სალამური აამღერა, ხოლო ქალბატონ მედიკო სიხარულიძის ქალთა ტრიომ – ეს საიუბილეო შეხვედრა დააგვირგვინა.

დამსწრე, ნიუ-იორკი. 19.10.2002 წ.



## აგვისტოს აჯანყების 78 წლისთავი ლევილში

28-29 აგვისტოს აჯანყების 78 წლისთავი ქართულმა სათვისტომომ საფრანგეთში აღნიშნა 2002 წლის 15 სექტემბერს ლევილის ქართულ მამულში, რასაც მრავალი ქართველი დაესწრო.

კვირას, 15 სექტემბერს, დილის 11 საათზე, ქართველობამ თავი მოიყარა დაბა ლევილის ეკლესიაში, სადაც პარიზის წმინდა ნინოს მოძღვარმა, დეკანოზმა არჩილმა ჩაატარა ღვთისმსახურება 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში დაღუპული მებრძოლების სულის მოსახსენებლად. ამის შემდეგ მლოცველები ეკლესიიდან გაემართნენ ლევილის ქართველთა სასაფლაოსაკენ, სადაც განისვენებენ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის მრავალი მებრძოლი, თვით 1924 წლის აგვისტოს აჯანყებულთა ჩათვლით, რომლებმაც თავი შეაფარეს საფრანგეთს. ქართველთა პანთეონში კი მამა არჩილმა ჩაატარა ღვთისმსახურება, რომლის დროს განსაკუთრებით შეჩერდა პანთეონის მთავარ აკლდამასთან, შემდეგ კი დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას აკლდამასთან და 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა აკლდამებთან, თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილის აკლდამასთან, ჩოლოყაშვილისა, რომელიც იყო აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

შუადღეზე კი, ლევილის ქართული მამულის შატოს სალონში გაიმართა სადილი, რომელსაც თამადობდა ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე საფრანგეთში, ბატონი ტარიელ ზურაბიშვილი. ბატონმა ტარიელმა და სხვა თანამესუფრეებმა არაერთი საგულისხმიერო სიტყვასადღეგრძელო წარმოსთქვეს, რომელშიც ხაზგასმით იქნა აღნიშნული 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების დიდი მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის საქმეში.

ბატონმა კარლო ინასარიძემ, მაგალითად აღნიშნა ხაზგასმით, რომ 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად. ამით საქართველო გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი, ევროპის საბჭოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი. ამის შედეგია ის, რომ ჩვენ უკვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაგვაჩნია საელჩოები და ჩვენს დედაქალაქ თბილისშიც არსებობს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საელჩოები, რომელთა მეშვეობით საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩაბმულია მსოფლიოს საერთო ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სავალალოა მხოლოდ, რომ პარიზში, მაგალითად, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ნორმალური ურთიერთობების დამყარება საქართველოს საელჩოსა და პარიზის ქართულ სათვისტომოს შორის, რის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ დღეს, როცა ჩვენ აღვნიშნავთ 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების 78 წლისთავს, საქართველოს საელჩოს წარმომადგენლობას ვერ ვხედავთ აქ, ჩვენს ამ ეროვნულ თავყრილობაზე, რაც დიდ ნაკლად მესახება. მან მოუწოდა ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელობას საფრანგეთში და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებს პარიზში, რომ საერთო ძალით შეუწყონ ურთიერთობის გასრულყოფილებას ერთმანეთს შორის, რომ უცხოეთში მცხოვრებმა ქართველობამ ერთად ავღნიშნოთ ჩვენი ეროვნული დღესასწაულები უცხოეთში, რომლის გვირგვინია ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაული 26 მაისი თუ 1924 წლის 28-29 აგვისტოს აჯანყების წლისთავი, რომელსაც ავღნიშნავთ დღეს, 2002 წელს. ერთობა მრავალფეროვნებაში ამისაკენ მოგვიწოდებს ჩვენ 26 მაისის "ოქროს თაობა," რომელმაც 1918 წლის 26 მაისით საქართველოს ისტორიაში ჩაწერა "პატარა ოქროს ხანა," რომლის ღირსეულ მემკვიდრეებად უნდა ჩავთვალოთ ჩვენ ჩვენი თავი, რომ მტერსა და მოყვარეს ვაჩვენოთ, რომ ჩვენ პოზიცია და ოპოზიცია ერთად ვართ, რომ გარდავლახოთ ის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სიძნელეები, რომელთა წინაშე ჩვენ ვდგევართ დღეს.

"დამსწრე",

ლევილი, 2002 წლის 15 სექტემბერი

## გამოფენა „მესამე ასაკი" პარიზში

2002 წლის 15 მაისიდან 22 მაისამდე, პარიზში, საქართველოს საელჩოს მთავარ დარბაზში ჩატარდა ქართველ მხატვართა გამოფენა, რომელიც დიდი წარმატებით მიმდინარეობდა ერთი კვირის განმავლობაში და მრავალი მნახველი მიიზიდა.

გამოფენა ჩატარდა საქართველოს საელჩოს მფარველობის ქვეშ, რომელსაც ცენტრში ედგა ქართული საზოგადოება – "მესამე ასაკი" -, რომელიც დაარსებულ იქნა საქართველოში 1997 წლის ივლისში და

რომელშიც გაერთიანებულია ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა სენიორები, დამსახურებული პიროვნებები.

„მესამე ასაკის“ ამ ასოციაციის მიზანი არის დახმარება გაუწიოს სენიორ შემოქმედებით პიროვნებებს თავიანთ მოღვაწეობასა და პროფესიული ეროვნული კულტურის მემკვიდრეობის დაცვაში.

თვით ამ „მესამე ასაკის“ წარმომადგენელთა შემოქმედების გამოფენა კი მეტად მრავალფეროვანია: ირაკლი ოჩიაური, მაგალითად, თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის ტილოებს გვაწვდის ფერების რეალისტურ ბრწყინვალებაში; სამაგიეროდ მანანა თუმანიშვილის „შემოდგომა ქართლში“ თუ თამაზ ნუცუბიძის „გობელანი“ გვიბიძგებს უფრო ასლოვან გამოსახვიდან ალეგორიულ და უსაგნო გამოსახვის სფეროში შევიჭრათ, სადაც ფერებშია გახვეული გამოსახვის ფორმა-შინაარსი ისეთნაირად, რომ ფორმას გააჩნია შინაარსობრივი ფორმა და შინაარსს ფორმალური შინაარსი, რაც თანამედროვე მხატვრობის (და არა მარტო მხატვრობის) გასაღებად შეიძლება ჩაითვალოს. ეს კი თვალსაჩინოთ ხდის ამ გამოფენის მრავალფეროვანებასა და მრავალფენოვანებას, რაშიც გამოსჭვივის ტრადიციონიზმისა და მოდერნიზმის თითქმის ყველა ასპექტი, რაც ჩვენი სენიორი ხელოვანების მარად ახალგაზრდულ შემოქმედებაზე მეტყველებს. და განა თვით სენიორ ხელოვანთა ასოციაციის სახელწოდებაც - „მესამე ასაკი“ - ამგვარი განსჯისაკენ არ გვიბიძგებს, რაც შეიძლება მაგალითის მიმცემი გახდეს ევროპის სხვა ერების სენიორ ხელოვანებისათვისაც?...

ამგვარი განჭვრეტა ამ გამოფენისა დავინახეთ ჩვენ საქართველოს ელჩის ბატონ გოჩა ჩოგოვაძის საგალუსხმიერო სიტყვაში,რომლითაც მიმართა მან ჯერ ფრანგ სტუმრებს ფრანგულად და შემდეგ ქართველობას ქართულად, რასაც ტაშით შეეგება დამსწრე საზოგადოება. ამდენად, განსაკუთრებული მადლობის ღირსია აგრეთვე ქალბატონი ეთერი შავგულიძე, რომელმაც ამგვარი შთამაგონებელი გამოფენა გამართა პარიზში, საქართველოს საელჩოში, საქართველოს დამოუკიდებლობის 84-ე წლისთავთან დაკავშირებით.

კ.ი. , პარიზი, 2002 წლის 15 მაისი

ადამიანი და პირუტყვი
--------------------

"რა არის ადამიანი,
თუ მისი მთავარი ფასოვანება და სანატრელი ჟამი
სხვა არაფერია თუ არა ძილი და ჭამა? - პირუტყვი
მეტი არაფერი."

უილიამ შექსპირი(1564-1616)
--------------------------

"Wath is a man
Jf his chief good and markest of his time
Be but to sleep and feed? - a beast no more."

<u>William Shakespeare(1564-1616)</u>

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Leuville-sur-Orge




## ლ ე ვ ი ლ ო ბ ა

## ლევილის ქართული მამულის 80 წლისთავი

I.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ, ქართველმა ხალხმა, თითქმის ხუთასი წლის დაქუცმაცებელი ცხოვრების შემდეგ, -ისევ აღადგინა ერთიანი და განუყოფელი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – თავის, თითქმის, მთელ ისტორიულ ტერიტორიაზე, და საქართველო ისევ გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. მაგრამ საბჭოთა რუსეთმა – ჯერ- 1920 წლის 7 მაისს, რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ხელი აიღო მის შინაურ საქმეებში ჩარევაზე, მაგრამ – შემდეგ – 1921 წლის თებერვალს მოულოდნელად დაესხა თავს საქართველოს და იარაღის ძალით დაიპყრო ჩვენი სამშობლო. ამის შედეგად, საქართველოს ეროვნული მთავრობა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, წამოვიდა უცხოეთში, 1921 წლის 17 მარტს, და შეეხიზნა საფრანგეთს, პარიზს, საიდანაც განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის ისევაღდგენისათვის.

II.

ნოე ჟორდანიას ეროვნულმა მთავრობამ დაუყონებლივ გადადგა ნაბიჯი, რომ შესაფერი ეროვნული კერა შეექმნა უცხო მიწაზე არა მარტო ეროვნულ მთავრობის, არამედ, საერთოდ, ყველა პოლიტიკურ ემიგრანტისათვის, რის შედეგად ეროვნულმა მთავრობამ 1922 წლის 24 ივნისს ნიკოლოზ ჯაყელის და ბენია ჩხიკვიშვილის სახელზე იყიდა ლევილში, პარიზიდან 30 კილომეტრის დაშორებით, ლევილის შატო, დაახლოებით, ხუთი ჰექტარი მიწით, სადაც თავი მოიყარა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთმა ნაწილმა. აქვე, ამ ქართულ მამულში დაარსებულ იქნა ქართული სტამბა, წიგნთსაცავი, და, რაც მთავარია, ლევილის ქართული მამული გახდა უცხოეთში მყოფი ქართველ ლტოლვილების კერა, რაც თავის ეროვნულ ფუნქციას ასრულებს დღესაც, ქართული მამულის მეოთხმოცე წლის თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

1928 წლის 30 აპრილს, როცა ბენია ჩხიკვიშვილი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს დაიღუპა, შეიქმნა "ქართოლი კერის სოსიეტე" შვიდი წევრისაგან. ესენი იყვნენ:
– საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია,
– საქართველოს ელჩი საფრანგეთში აკაკი ჩხენკელი,
– საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილი,
– საქართველოს დამფუძნებელი კრების თავჯდომარის მოადგილე, პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი,
– საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი,
–საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერი სამსონ ფირცხალავა,
და – საქართველოს ფინასთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი.
მათ ერთობლივ ხელწერილში, რომელიც დაწერილია პარიზში, 1928 წელს,30 აპრილს,ნათქვამია:

IV.

"ოც და ათი აპრილი ათას ცხრაას ოცდა რვა წელი. პარიზი. ჩვენ ქვემოთ ამისი ხელის მომწერნი: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, სამსონ ფირცხალავა და კონსტანტინე კანდელაკი - ვაძლევთ ამ ხელწერილს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას იმაში, რომ:

1. მამული, მდებარე ს-ლ ლევილში (Leuville/Orge), საფრანგეთში, სენის და უაზის დეპარტამენტში, ცნობილი სახელწოდებით "Chateau de Leuville",რომელიც შეძენილია საჯარო ვაჭრობაზე 10 თებერვას 1927 წ. საზოგადოების "Foyer Géorgien"-ის მიერ, რომლის წევრი ვართ ჩვენ ზემოთაღნიშნულნი პირნი, ნაყიდი არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ფულით და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს; სახელდობრ, მიწა ზომით დაახლოებით ხუთი ჰექტარი, სადგომი სახლი, სამეურნეო შენობები, ავეჯი, ინვენტარი და სხვა ყოველივე, რაც აღნიშნულ მამულში იმყოფება, გარდა იმ საგნებისა, რაც იქ მდგურთა მიერ საკუთარის ხარჯით არის შეძენილი.
2. ყოველგვარი შემოსავალი აღნიშნულ მამულიდან და ყოველგვარი განკარგულება მამულის შესახებ ეკუთნის სავსებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და ჩვენ ვალდებულნი ვართ დავემორჩილოთ ყოველივე მის განკარგულებას მამულის შესახებ,

   ე.ი. მამულის ან რაიმე ამის ნაწილის ექსპლოატაციის შესახებ, გაქირავების, გაყიდვის, გადაცემის შესახებ და სხვა, და საზოგადოების "Foyer Géorgien "-ის დადგენილებებში არნიშნულ მთავრობის დადგენილებების თანახმად ვიმოქმედოთ.
3. არც ჩვენ პირადათ და არც ჩვენს მემკვიდრეებს უფლება არა გვაქვს ვისარგებლოთ აღნიშნულ მამულით ან იმის შემოსავლით გარეშე საზოგადოების "Foyer Géorgien"-ის დადგენილებისა.
4. ჩვენ მოვალენი ვართ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოთხოვნილებისამებრ დავდოთ ყოველგვარი ხელშეკრულება გარეშე პირებთან თუ დაწესებულებთან ამ მამულის შესახებ, დაცვით ამასთანავე "Foyer Géorgien"-ის წესდებისა, და დავემორჩილოთ მთავრობის მოთხოვნილებებს, როგორც ეს აღნიშნულია ზევით მუხლ 2-ში, გარდა ყოველ გვარი ხარჯი მამულზე გაწეული ჩვენ პირადათ არ უნდა გვეკისრებოდეს, არამედ ანაზღაურებული უნდა იქნას თვით მამულის შემოსავლისა ან მთავრობის მიერ.
5. უზრუნველსაყოფად მთავრობის უფლებისა აღნიშნულ მამულის სრულ საკუთრებაზე ჩვენ ვიძლევით საზოგადოების "Foyer Géorgien" – ის სახელზე ვექსილს თითოეული ჩვენგანი ოცდა ხუთი ათასი ფრ. (Fr 25.000) ; "Foyer Géorgien" – ი ამ ვექსილს საქართველოს დემოკრათიულ რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნილებით საჭიროების დროს გადასცემს მთავრობას ან მის მიერ ნაჩვენებ პირს; ხოლო თუ რომელიმე ჩვენგანი თავს დაანებებს "Foyer Géorgien" – ის წევრობას ან იმ შემთხვევაში თუ მამული სხვა პირზე გადავიდა ამის მიხედვით საზოგადოებიდან გასული პირი ან ყველა ჩვენ განთავისუფლებულნი ვართ ვექსილიდან და ყოველგვარ მოვალეობიდან მთავრობის და "Foyer Géorgien"-ის წინაშე.

1. ნოე ჟორდანია
2. აკ. ჩხენკელი
3. ნ. რამიშვილი
4. ექვთიმე თაყაიშვილი
5. ევგენი გეგეჭკორი
6. ს. ფირცხალავა
7. კ. კანდელაკი".

[illegible]
[illegible]. ჩვენ [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] საქართვე-
ლოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის [illegible]
[illegible], რომ:

1. მამული, მდებარე ს.-ფ. ლევილში (Leu-
ville [illegible]), საფრანგეთში, [illegible]
[illegible] "Chateau
de Leuville", რომელიც [illegible]
[illegible] 10 აგვისტოს 1927 წ. [illegible]
"Foyer Géorgien"-ის [illegible]
[illegible] ჩვენ [illegible]
[illegible] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლი-
კის მთავრობის [illegible] საქართველოს დემოკ-
რატიული რესპუბლიკის [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible].

2. [illegible]
[illegible]
[illegible] საქართველო-
ს დემოკრატიული მთავრობის [illegible] ჩვენ [illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible] «Foyer Géorgien»-ის [illegible]

3. [illegible] «Foyer Géorgien»-ის [illegible].

4. [illegible] «Foyer Géorgien» [illegible].

5. [illegible] «Foyer Géorgien»-ის [illegible] (F. 25000); «Foyer Géorgien»-ი [illegible] «Foyer Géorgien»-ის [illegible]

[illegible] Foyer Géorgien-[illegible]

1. [illegible]

2. [illegible]

3. [illegible]

4. [illegible]

5. [illegible]

6. [illegible]

7. [illegible]

V.

აი, სრული ტექსტი, აღნიშნული შვიდი პირისაგან ხელმოწერილი ხელწერილისა . რომელიც განსაზღვრავს ქართული მამულის იურიდიულ სტატუსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეს ლევილის ქართული მამულის , ეროვნული კერის ბატონპატრონია ორი ორგანო რომელთა წესდება, ე.ი უფლება-მოვალეობა განსაზღვრულია იურიდიულად და დადასტურებელია სათანადო ფრანგული ორგანოების მიერ. ეს ორი ორგანოა:

1. "მესაკუთრეთა ასოციაცია", რომელშიც შედიან აღნიშნული შვიდი პირის მემკვიდრეები.
2. "Foyer Géorgien" – ის საზოგადოება, რომელიც ადმინისტრაციული, ე.ი. მმართველი ორგანოა ქართული კერისა.

VI.

და-ბოლოს. ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ, რომ ლევილის ქართული მამულის საქართველოსათვის გადაცემა-არგადაცემა მხოლოდ-და-მხოლოდ აღნიშნული შვიდი მესაკუთრის მემკვიდრეების უფლებამოსილება არის.

შესრულდა რა ლევილის ქართული კერის 80-ე წლისთავი, ლევილობა აღნიშნულ იქნა 2002 წლის 24 ივნის ვიწრო წრეში.

კ.ი., ლევილი 2002 წლის 24 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შარაგზით საქართველოსაკენ

გერმანელმა თომას აბემ გერმანიიდან შარაგზით წაიყვანა საქართველოში, მისი ქართველი ცოლით, და აღწერს მის მოგზაურობის დეტალებს განსაკუთრებით საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში, კერძოთ აჭარაში; თომას აბემ მის ამ ცნობას აქვეყნებს "ბერლინის ქართული საზოგადოების ცნობის ფურცელში" (2002 წელი, ივლისი-აგვისტო, ნომერი 92), რომელშიც, სხვათაშორის, წერს:

"საქართველოში თითქმის შემოსავლის წყარო გახდა ნახმარი ავტომობილის ყიდვა გერმანიაში ან პოლანდიაში და მათი საქართველოში გაყიდვა ცოტაოდენი მოგებით. და, ვინაიდან მე და ჩემს ქართველ მეუღლეს ნახმარი გაზის რუმელის წაღება გვსურდა საქართველოში, გადავწყვიტეთ შარაგზით წავსულიყავით საქართველოში. ვინაიდან ამასობაში საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზა სავალდებულოა აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, პრაქტიკულად დარჩა ერთი შარაგზა: ავსტრია-იტალია-პატრასი საბერძნეთში; და საჭიროა მხოლოდ ორი საძღვრის – საბერძნეთ-თურქეტისა და თურქეთ-საქართველოს – გადალახვა", - წერს თომას აბემ და განაგრძობს:

"გავუდექით ამ ოთხი-ათას-კილომეტრიან შარაგზას და, სიძნელეების გარეშე, გადავკვეთით თურქეთის საზღვარზე, თუმცა ჩემს ცოლს, როგორც "გურჯისტანის" მოქალაქეს, უნდა ჰქონდა ვიზა, რაც ღირდა ოფიციალურად 15 ევრო ან 15 დოლარი, მაგრამ გადაგვახდევინეს ოცი დოლარი და გვითხეს ხუთი დოლარი ავტომობილისათვისო... ავტომობილის თურქეთში შეყვანისა და თურქეთიდან საქართველოში გადაყვანისათვის შეგვავსებიეს ფორმულარი, რაც ღირდა ხუთი-ათასი თურქული ლირა; მესაზღვრემ კი მოგვთხოვა 15 ევრო; გამოირკვა, რომ ფულის გადასახურდავებელ კიოსკში ხუთი-ათასი-ლირა ღირდა დაახლოებით 4-ი ევრო, თუმცა მებაჟეს ჩვენი ავტომობილი არც კი უნახავს."

"უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი გერმანული პასპორტის ჩვენებ ჩემი მოგზაურობა მეტად გააადვილა: ნორმალური ქართველისათვის (და, ალბათ, ყველა ევროპის კავშირის არამოქალაქეებისათვის) სასაზღვრო გადასახადები უმოწყალოა; თვით ე.წ. "კომპუტერის სერვისისათვის" საზღვარზე უნდა გადაიხადო 5-ი დოლარი – პიროვნული და ავტომობილის ცნობების სარეგისტრაციო."

"სამი დღის შემდე მივაღწიეთ სარფამდე, საქართველოს საზღვრამდე... საზღვარზე გადასვლა თურქეთის მხრიდან იყო ადვილი, მაგრამ როცა საქართველოში შევედით, კონტრასტი იყო წარმოუდგენელი: საქართველოს საზღვარზე პასპორტი უნდა მიაწოდო მესაზღვრეს ვიწრო ხვრელით; მესაზღვრემ რომ დაგინახოს, უნდა დაიღუნო რომ შენი სახე ნახოს. "კომპუტერ-სერვისი" აქ ღირს სამი დოლარი თითეულ პირზე და ათი დოლარი ავტომობილისათვის. ამასგარდა ჩემ ცოლს გადაახდევინეს კიდევ დამატებით ათი დოლარი, რადგან ის თითქმის ერთი წლის განმავლობაში საქართველოში არ ყოფილა... ამის შემდეგ ჩვენ მივედით მუნდირიან მესაზღვრეებთან, რომლებმაც ჩვენი ავტომობილი ზერელეთ გასინჯეს და ოცი დოლარი გადასახადი მოგვთხოვეს. ჩემს შეკითხვაზე "ეს უკვე საბაჟოა", მებაჟემ მითხრა: "საბაჟო კიდევ მოვაო". და როცა მებაჟეს ქვითარი მოვთხოვე, მან მითხრა, რომ ჩვენ ქვითარს არ ვიძლევით; და უცბათ ოცი დოლარის სამაგიეროთ გადაგვახდევინა ათი დოლარი... შემდეგი გაჩერება იყო საბაჟო. აქ პირველად ჩვენ გადაგვახდებინეს 8 ლარი და 45 თეთრი ავტომობილის დაზღვევისათვის, თითქოს ჩვენი ინტერნაციონალური დაზღვევა საქართველოში უვარგისია... შემდეგ მოგვთხოვეს ავტომობილის საქართველოში შეტანის ბაჟი – 900 ლარი... საბაჟოს მთავარ კარიბჭესთან კი მებაჟემ გვითხრა თავისუფლად შეგვიძლია საბაჟოდან გასვლა თუ გადავიხდით კიდევ 30-თ ევროს... ამგვარად საბაჟოს მოწმობითა და სხვა ქაღალდებით აღჭურვილნი გავედით საბაჟოს ჭიშკარიდან, თუმცა ხუთი დოლარი მაინც მოგვთხოვა "კომპუტერის-სერვისთან" – მჯდომ მუნდირიანმა პოლიციელმა, მაგრამ მან ვერაფერი მიიღო ჩვენგან, როცა ვუთარით "ნოუ-მანი"... ამასგარდა, საჭირო გახდა საბაჟოს მოწმობათა დამტკიცება შესაბამის ბიუროში, რომელიც საზღვრიდან ორასი მეტრით დაშორებული იყო და მასში ორი მოხელე იჯდა სამოქალაქო ტანსაცმელში, რომელთა უკან მოსჩანდა საარჩევნო პლაკატი ზურაბ აბაშიძისა. მათ ბეჭედი დაარტყეს ჩვენს მოწმობებს და მოგვთხოვეს ჯერ 45 დოლარი, მაგრამ შემდეგ დაუწიეს ფასი 15-ტ დოლარამდე."

"მოკლედ რომ ვთქვათ, აჭარაში ჩვენ გავიარეთ 70 კილომეტრი და პოლიციამ გაგვაჩერა ხუთჯერ... აჭარის საზღვიდან თბილისამდე ჩვენ კი ვიმგზავრეთყოველგვარი სიძნელეების გარეშე". - დასძენს გერმანელი მოგზაური თომას აბე.

კ.ი. - "ცნობის ფურცელი", ბერლინი, 2002 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 26 მაისი კუმუბოურში

### ვითომ დაძმობილდებიან ეწერი და კუმუბოური?

26 მაისი, ჩვეულებისამებრ, არა მარტო პარიზში და მთელს უცხოეთში, სადაც ქართველობა იმყოფება, დიდი ეროვნული შეგნებითა და აღფრთოვანებით აღინიშნა, არამედ, რა თქმა უნდა, თვით საქართველოს გულში, ჩვენს დედაქალაქს -თბილისში- და საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბა-სოფლებშიც, გარდა იმ ტერიტორიებისა, რომლებიც იმყოფება აწ უკვე "დემოკრატიული" რუსეთის ოკუპაციის ქვეშ, როგორც, მაგალითად, ჩვენი აფხაზეთი და შიდა ქართლი; თუმცა რუსეთისაგან დაპყრობილ საქართველოს ამ ტერიტორიებზეც ქართველობამ, სულ ცოტა, ოჯახებში სადღესასწაულო ვითარებაში აღნიშნეს 26 მაისი – ჩვენი ეს დიდი ეროვნული დღესასწაული.

და, ამჯერად, განსაკუთრებით გვსურს ავღნიშნოთ 2002 წლის 26 მაისის დღესასწაული სოფელ კუმუბოურში, ვანის რაიონში, სადაც ეს ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაული ვითომ გახდა საბაბი საქართველოს ორი სოფლის – კუმუბოურის (ვანის რაიონი) და ეწერის (ჭიათურის რაიონი) დაძმობილებისა, რაც ჩატარდა სადღესასწაულო ვითარებაში?.

26 მაისს დილით, სოფელ კუმუბოურს ეწვია სამკაციანი დელეგაცია სოფელ ეწერიდან, რომლებიც გულთბილად მიიღო კუმუბოურის მოსახლეობამ, მოიყარა რა თავი "ნეფისჯვარზე", სადაც უკვე განლაგებულია კუმუბოურის ღვთისმშობლის სიონის პატარა ეკლესია, სამრეკლო ზარით, რომელიც დამზადებულ იქნა გერმანიაში, ქალაქ პასაოში და ჩამოტანილ იქნა კუმუბოურში; აქვეა განლაგებული საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი მეორე მსოფლიო ომში კუმუბოურელ-ლომინათელ დაღუპულთა წარწერით, და აქვეა აგებული ჩვენი ეროვნული დროშის ანძა, რომლის ალამი დამზადებულ იქნა პარიზში, დალოცვილ იქნა პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში დეკანოზ არჩილის (დავრიშაშვილი) მიერ და 26 მაისს აფრიალდა კუმუბოურში.

26 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავი წირვა-ლოცვა კუმუბოურის სიონის ხვთისმშობლის ეკლესიაში ჩაატარა მამა ანდრიამ (პაიკიძე), რომლის დროს ყველა მლოცველმა თავი ვერ მოიყარა ეკლესიის შიგნით და გარედან უსმენდენ მამა ანდრიას წირვას, რომელსაც აცილებდა მგალობელთა გუნდი. შემდეგ მამა ანდრიამ პარაკლისი გადაიხადა საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალთან და კუმუბოურის ერთმა გოგონამ და ერთმა ჭაბუკმა ანძაზე ააფრიელეს ჩვენი ეროვნული ალამი, რასაც ტაშის ცემით შეხვდა კუმუბოურელები და სუფელ ეწერიდან ჩამოსული სტუმრები – ბატონ ზაურ სარალიძის მეთაურობით.

26 მაისის ოფიციალური დღესასწაულის დამთავრების შემდეგ, სადილი გაიმართა მიშა (მიშიკო) ინასარიძეს ოჯახში; ეზოში გაშლილ სუფრას თამადობდა ბატონი გიული წერეთელი, რომელმაც, მრავალ ქართულ ტრადიციულ სადღეგრძელოთა შორის, წამოაყენა წინადადება სოფლების კუმუბოურისა და ეწერის დაძმობილებისა, რის "სულიერ საყრდენად" თამადამ აღიარა "ღვთიშობლის ხატი", რომელიც ბატონმა ზაურ სარარიძემ გადასცა კუმუბოურის ღვთისმშობლის სიონის ეკლესიის მოძღვარს – მამა ანდრიას.

26 მაისის ამ საგულისხმიერო დღესასწაულს, სამწუხაროთ, ვერ დაესწრო ტობანიერის გამგაბელი – ბატონი გია ოჩხიკიძე, რომლის უფლებამოსილებაშია აგრეთვე სოფელი კუმუბოურიც. მაგრამ, გვჯერა, რომ სოფლების – ეწერის (ჭიათურის რაიონი) და კუმუბოურის (ვანის რაიონი) დაძმობილების საქმე მალე განხორციელდება ბატონ გია ოჩხიკიძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, რაც შეიძლება წასაბაძი მაგალითი გახდეს მთელი საქართველოს მასშტაბითაც კი.

სხვათა შორის, ეწერისა და კუმუბოურის სოფლების დაძმობილების იდეა დაიბადა მიუნხენში (გერმანია), სადაც ზაურ სარარიძის შვილები სწავლობენ უნივერსიტეტში. ვიმედოვნებთ, რომ ეს იდეა განხორციელდება

კ.ი. – კუმუბოური, 26.5.2002 წ.

# "მრავალჟამიერ" მდინარე სენის გემბანზე

## გურამ ასათიანის დაბადების 50 წლისთავი

1.

'მრავალჟამიერ' - გაისმა ლაზათიანი ქართული სუფრული მდინარე სენის გემბანიდან, პარიზში, ეიფელის კოშკის სანაპიროსთან, რამაც, როგორც ჩანდა, განცვიფრება არ გამოუწვევია სანაპიროსთან მდგომ ხალხში, რადგან 16 მაისს, 2002 წელსაც, პარიზი სავსეა უცხოელ ტურისტებითაც, რაც არა მარტო ენათა და სიმღერათა ბაბილონურ აღრევას იწვევს, და ეს ნორმალურ მოვლენად ესახებათ ფრანგებსაც. მაგრამ ხად პარიზი, სადაც მდინარე სენი, რომელიც ორად ჰყოფს პარიზს, როგორც მდინარე მტკვარი თბილისს,-და სად "მრავალჟამიერ?.."

2.

საქმე იმაშია, რომ ჩვენმა პარიზში დაბადებულმა და აღზრდილმა - გურამ ასათიანმა - აღნიშნა დაბადების 50 წლისთავი სწორედ გემბანზე, ე.ი. 'ლე ბატო'-ნავზე, რომელიც, ასე ვთქვათ, რესტორანია 'მოძრაობაში', რაც ყარაჩოხელთა ტივზე, მტკვარზე ქეიფის გადმონაშთად მეხამება, თუმცა ამგვარი მოძრავი რესტორან-ნავებით ისე მოფენილია მდინარე სენი განსაკუთრებით საღამოობით, რომ მთელი მდინარე გაკაშკაშებულია მიმომსვლელი ნავების პროჟექტორებით, რაც ამაღლევებელი სიმშვენიერისაა პარიზის, ამ შესანიშნავი მსოფლიო მასშტაბის ქალაქის ნაგებობათა სილუეტების ფონზე.

3.

და ასეთ გარემოში აღნიშნა ჩვენმა გურამმა დაბადების 50 წლისთავი მდინარე სენის ნავ-რესტორანის გემბანზე,სადაც დაპატიჟა თავისი ოჯახის ნათესავები, მოყვრები და მეგობრები. გურამ ასათიანი, როგორც აღვნიშნეთ, დაიბადა პარიზში. მამამისი - ყორა ასათიანი - ემიგრაციაში მოხვდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად და თავი ისახელა იმით, რომ ის ათეული წლების განმავლობაში მსახურობდა პარიზში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცნიერებისა და კულტურის ე.ი. 'უნესკოს' უმიმროების განყოფილების უფროსად, რომლის დროს მის სამსახურეობრივ ფუნქციაში შედიოდა გაეროს წევრ-ქვეყნების წარმომადგენელთა მიღება-გაცილება, რომლის ერთერთი კულმინაციურ წერტილად თვით ჩვენი ყორა თვლის სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის მიღებას პარიზში, 'უნესკოს' ნაგებობა-სადგომში: მართალია, ჩვენი ყორას შენიშვნა ქართველებიც შეხვედრის დროს უცხოეთში ცდილობენ გამოჩნდნენ საერთაშორისო არენაზე, სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა ღიმილით უპასუხა, მაგრამ, შეიძლება, მანაც არ იცოდა იმ დროს(თუ იცოდა!?..), რომ სსრკ-ა დაიშლებოდა და იგი საქართველოს ხალხისაგან არჩეული საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდა?!..

4.

მაგრამ დავბრუნდეთ ისევ მდინარე სენის გემბანზე: წვეულება მესავალი სცენოგრაფიული მოკლე სიტყვით გახსნა თვით იუბილარმა, რომელმაც,მიესალმა რა სტუმრებს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტუმართა შორის არც ისე მცირე იყვნენ ნათესავები საქართველოდან, განსაკუთრებით ჩვენი ქუთაისიდან, რაც ამ საიუბილეო საღამოს აძლევდა განსაკუთრებულ ელფერს, რადგან - ვიმეორებ კიდევ ერთხელ - ამას რას მოვესწარით, რომ ქართველობა - ვცხოვრობთ სამშობლოში თუ უცხოეთში - გავერთიანდით და ერთად ვემსახურებით საქართველოს, ქართველ ერს, ქართველ ხალხს - მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური მრწამსისა -იმ რწმენით, რომ ერთობას ვუმღერით თვით სენის გემბანზეც კი მრავალფეროვანებაში, რადგან ეროვნულ სფეროში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სფე-

რომ ჩვენ ყველა ერთი აზრის ვიყავით, ვართ და ვიქნებით, და ესაა ის ღერძი, ის საყრდენი ბოძი, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი სახელმწიფოებრივი სამი-ათასწლოვანი საძირკველი. და ამგვარი შეგნებითა და მრწამსის მოქმედებს ქართველობა უცხოეთშიც:

5.

ამის სანიმუშო მაგალითს იძლევა, სხვა მრავალთა შორის, ჩვენი იუბილარი ბატონი გურამ ასათიანი, რომელიც უკვე დიდი ხანია ჩაბმულია საზოგადოებრივ საქველმოქმედო საქმიანობაში, რომ თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს დღევანდელი რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური პირობების გამოჯანსაღებაში, რაც მისასალმებელია. მისასალმებელია, საამაყოა აგრეთვე ყოველი უცხოეთში მცხოვრები ქართველობის მოქმედება როგორც მათ პირად, ისევე საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, რომლის მიზანია ჩვენი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა, როგორი მცირეც არ უნდა იყოს ჩვენი ამგვარი დახმარების შესაძლებლობა.

6.

და აქ გვსურს დავასახელოთ ზოგიერთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა წასაბაძი მოღვაწეობა, თუმცა აქ დასახელებულია, ვიმეორებთ, მხოლოდ-და-მხოლოდ ზოგიერთი უცხოეთში მცხოვრები ქართველი, რომლებიც, სხვა მრავალთან ერთად, ზრუნავენ ახლობელთა თუ შორეულთა დახმარებისათვის, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში. ასეთებათ გვესახება,

ქალბატონი ეთერი წერეთელი,
ქალბატონი ელიკო ბენარი,
ქალბატონი ქრისტინე წულაძე,
ქალბატონი გულნარა პატარიძე,
ქალბატონი ნუცა გორდელაძე,
ბატონი ბაბა მესხი,
ბატონი გიორგი სალარიძე
ბატონი ქრისტეფორე კირკიტაძე
ბატონი ექ. ვახტანგ ჩხაიძე
ქალბატონი თამარ ჩოლოყაშვილი-ვებერ,
ქალბატონი ირენე გედევანიშვილი-ჩამარ
ბატონი ექვთიმე ეწერელაძე,
ქალბატონი ნინო ხაზელაშვილი
ბატონი მიშა ქავთარაძე,
ქალბატონი თამარ ალშიბაია-პატარიძის
პროფესორ თეიმურაზ აბლუშელი,
ქალბატონი ლიდია დემურია,
ბატონი ზაქარია ვაშქარაშვილი

და სხვები და სხვები, რომელთა ჩამოთვლა თითქმის უსასრულობამდე მიგვიყვანდა.

7.

და ყველაფერ ამას აღვნიშნავთ ჩვენი გურამის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით იმიტომ, რომ მათ რიცხვშია, როგორც აღვნიშნეთ, თვით ჩვენი იუბილარიც, რაც იგრძნობოდა ამ საიუბილეო წვეულებაზეც, რომელსაც განსაკუთრებული იერი მისცა იმ ფაქტმაც, რომ სტუმრებთა შორის იყო, ჩვენი პრეზიდენტის შვილი - ბატონი პაატა შევარდნაძე, რომელმაც მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი სიტყვით მოგვართა სტუმრებს, რომლის ქვაკუთხედი იყო მისი მოწოდება ერთობისაკენ, რაც,-ჭეშმარიტებაა - ყველაზე უფრო ესაჭიროება დღეს ქართველობას, სადაც არ უნდა ვმოქმედებდეთ ჩვენ.

8.

და როცა სცენის გემბანზე "აქუხებულ მრავალჟამიერს" "ბუკი-ცუგის" ცეკვა მოყვა, რაც შესანიშნავად შეასრულა იუბილარმა სხვებთან ერთად, მაშინ კი ნათელი გახდა, რომ გურამ ასათიანია დაბადების 50 წლის იუბილეს ვიხილით მდინარე სენის გემბანზე, ეიფელის კოშკის პროჟექტორების შუქზე, და ვისურვე: ვინ იცის!.. შეიძლება ჩვენმა მკვარმაც წაბაძოს მდინარე სენს და გამოაცოცხლოს "ტივზე ქეიფი მტკვარზე", რასაც შთამაგონებლად

აღნიშნავდენ ჩვენი "ყარაჩოხელები!" და ამის წინაპირობათ არ უნდა ჩავთვალოთ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სიდუხჭირის გარდალახვა, რომ ჩვენი მწკავრის ვემზაწეც შევძლოთ "მრავალჟამიერის აქუხება" თუ "ბუგი-ვუგის" ცეკვა?..

9.

და, ვი თომ, ჩვენი გურამი მაშინ დაბადების დღის აღნიშვნას არ ამჯობინებს ჩვენს მწკავრზე?..

კარლო ინასარიძე
2002 წლის 16 მაისი, პარიზი

## ქართველთა „ახალი ტალღა" უცხოეთში

ჩვენი, მე-20 საუკუნის განსაკუთრებულ მოვლენათა შორის, ქრონოლოგიურად რომ ავღნიშნოთ, თავს დაგვატყდა ორი უდიდესი ტრაგედია – პირველი და მეორე მსოფლიო ომი; მაგრამ ჩვენს ამ მე-20 საუკუნეში აგრეთვე დაეშვა ადამიანი მთვარეზე 1969 წელს, რომლის დროს ამერიკელმა ასტრონავტმა ნეილ არმსტრონგმა, როცა ფეხი დადგა მთვარეზე, თქვა, რომ „ეს არის ერთი პატარა ნაბიჯი ადამიანისათვის, მაგრამ ერთი დიდი ნაბიჯი კაცობრიობისათვისო!"

მე-20 საუკუნისათვის ასევე დამახასიათებელია ინგლისელი მწერლის ჯორჯ ორველის წინასწარმეტყველური განჭვრეტა მომავლისა, რომ „1984" წელში დაიშლება საბჭოთა იმპერია, რაც მართლაც, 1991 წელს, შვიდი წლით გვიან მოხდა. საბჭოთა კავშირი დაინგრა შინაგანი წინააღმდეგობის შედეგად, და „განგებამ" გადაგვარჩინა ატომურ ომს, თუმცა სსრკ-ს დაშლას ერებისა და ეროვნებების „ვაფანტვა" მოჰყვა, რომლის სფეროში მოექცა საქართველოც, რასაც – თავის მხრივ – მოჰყვა ქართველთა „ახალი ტალღა" უცხოეთში, რის შედეგად საქართველოს მოსახლეობა შემცირდა, თუმცა ქართველთა ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობაში გაიზარდა თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენი აფხაზეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობას, სადაც ბატონობს რუსეთი თითო-ოროლა აფხაზი და ოსი ექსტრემისტის ნიღბით.

და ჩვენი ჟურნალი „მებრძოლი საქართველო" – საქართველოს ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანო უცხოეთში – სწორედ ქართველთა ამ „ახალი ტალღის" ყოფაცხოვრების რაობის გარკვევას ცდილობს, რომლის დროს თვით ეს ქართველები, რომლებიც იმყოფებიან უცხოეთში მას შემდეგ, რაც საქართველომ ისევ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა საქართველოს 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე, - თვით გამოთქვამენ თავიანთ აზრს არა მარტო მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რაც, გვჯერა, ხელს შეუწყობს ჩვენი აწ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამაღლებას.

ამდენად, ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს – „მებრძოლი საქართველოს" – სარედაქციო კოლეგიას უკვე გააჩნია, ასე ვთქვათ, „ქვესარედაქციო კოლეგია", რომელიც ამჯერად შესდგება სამი პიროვნებისაგან: ბატონი ზაზა მესხი, ქალბატონები ნინო ხაბელაშვილი და ეკა ჩხაიძე – ფონ დალ'არმისაგან, რომლებსაც, ვიმედოვნებთ, მალე სხვებიც შემოუერთდებიან, რომ ფრთა შეესხეს ქართველთა „ახალ ტალღას" პრესის ახალი ორგანოს შექმნითაც. მაგრამ ამჯერად დავკმაყოფილდეთ აქვე გამოქვეყნებული მასალებით, რომელთა ავტორებია სწორედ ქართველთა „ახალი ტალღის" წარმომადგენლები უცხოეთში.

ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს"
სარედაქციო კოლეგია
მიუნხენი, 2003 წლის 1 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ

ქართველთა ნაწილი საქართველოში დღეს აპათიამია ჩავარდნილი, რის დამახასიათებელ ნიშანსაც პესიმიზმი და შესაბამისად მოქმედების უნარის დაკარგვა წარმოადგენს.

ქართველ ერს ხალისიანს, ოპტიმისტს, მხნესა და ბეჯითს, რუსეთის 200 წლიანმა ბატონობამ და მცდარმა "სოციალისტურმა" სწავლებამ თავისი დაღი დაგვასვა და დაგვაკარგინა ბევრი რამ, რაც ტრადიციულად მოგვდგამდა ქართველებს.

რა არის ამ მდგომარეობიდან გამოსავალი?

შესაძლებელი გამოსავალი გამოჩნდება მაშინ, როდესაც მოძრაობას, მოქმედებას დავიწყებთ. ჩვენ არ შეგვიძლია დავჯდეთ და გამოვიგონოთ მოძრაობის იდეალი, იდეალი მხოლოდ მოძრაობაში დაიბადება. ჩვენი საქმეა, ვიცოდეთ რისკენ უნდა მიემართოდ მოძრაობა. რა თქმა უნდა იგი უნდა მიემართოდ ადგილობრივი მმართველი სტრუქტურებისა და ცხოვრების წესის დასახვეწად. აქედან გამომდინარე, ჩვენი აღორძინების წინაპირობაა ამოვძირკვოთ სისტემა, რომელიც საქართველოში გამეფებულია საბჭოთა წყობილების დრის ჩამოყალიბებული მენტალიტეტის, ჩვევებისა და ა. შ. სახით. ამ კვანძიდან ერთი ძაფიც რომ ამოვქაჩოთ ის სხვა ძაფს გამოიყოლებს.

ამ ფუნქციას კი ჩვენს მაგიერ სხვა ვერავინ შეასრულებს!!!

საქართველო არა მარტო მისი მადლიანი მიწაწყალია არამედ უპირველესყოვლისა მისი ადამიანები, რომელთა ნაწილი უცხოეთში ცხოვრობს. განურჩეველად იმისა თუ ვინ სად არის და რას აკეთებს, ჩვენი სამშობლო,.– განსაკუთრებით დღეს – ყოველი ჩვენთაგანის დახმარებას საჭიროებს.

უცხოეთში გასულ ქართველებს ზოგიერთი საქართველოსთვის დაკარგულ შვილებს უწოდებს. საქართველომ კი მათი სახით განათლებული, ევროპულ და ამერიკულ ცხოვრების სტილსა და თავისუფლებას ნაზიარები თაობა უნდა შეიძინოს, რომელიც ჩვენ დიად ქართველ ერსა და ინტელიგენციასთან ერთად ახალ საქართველოს ააშენებს.

უცხოეთში გასული ქართველები თავისუფალი შრომის თანამედროვე პრინციპების საქართველოში დანერგვას უნდა ცდილობდნენ. ჩვენთან ხომ შრომის თავისუფლება შეზღუდული იყო.

გერმანიაში მცხოვრებ ქართველთაგან სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანებს შეხვდები. აქ ჩამოსულ ქართველებს საკუთარი თავის განვითარების, ცოდნისა და გამოცდილების შეძენის საშუალება ეძლევათ.

ეს ერთმხრივ სტუდენტები ანუ ენთუზიაზმით, ენერგიითა და იდეებით სავსე ახალგაზრდები არიან, რომელნიც სხვადასხვა სპეციალობებს ეუფლებიან აქაურ უმაღლეს სასწავლებლებში. ბევრი მათგანი იმ მიზნითაა ჩამოსული, რომ საქართველოს განვითარებას შეუწყოს ხელი. ამ ენთუზიაზმის, სურვილის, ამ ენერგიის საქართველოს მიმართულებით მიმართვაა საჭირო.

აქ აგრეთვე გერმანული ენის სასწავლებლად ჩამოსულ ქართველ ახალგაზრდებსაც შეხვდები. ისინი გერმანულ ოჯახებს ბავშვების აღზრდაში ეხმარებიან და შესაბამისად აქაური კულტურას, ცხოვრების წესსა და მენტალიტეტს ეცნობიან. ბევრი მათგანი გერმანიაში აგრძელებს სწავლას. დანარჩენი კი ცდილობს აქ მიღებულ ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების საქართველოში დანერგვას.

ძლიერი პიროვნებები მიზანს თვალიდან არ კარგავენ, სირთულეების მიუხედავად განათლების მიღებასა და საკუთარი თავის განვითარებას ცდილობენ. ზოგიერთს კი აბნევს აქაური ცხოვრება, რომელიც ჩვენთვის უცხოა და ამ მიზეზის გამო საკუთარ მიზნებსა და ოცნებებს თმობენ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უცხოეთში ცხოვრება საკუთარი თავის განვითარებისთვის უამრავ შესაძლებლობებს გვთავაზობს, ასე რომ ჩვენ ეს შესაძლებლობები ჩვენთვის და ჩვენი სამშობლოსთვის უნდა გამოვიყენოთ.

1989 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლამ ერთ მუჭად შეგვკრა ქართველები, საერთო მიზანმა გაგვაერთიანა. ახლა კი საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისთვის ბრძოლამ უნდა გაგვაერთიანოს.

ჩვენ ახალი თაობა ვართ, საქართველოს კეთილდღეობაზე ზრუნვა ჩვენი მოვალეობაა. ჩვენ და ჩვენს შვილებს იმ ქვეყანაში ცხოვრება გვსურს სადაც გული გულობს და მზე ყოველთვის თბილია...

ეკა ჩხაიძე-ფონ დალ'არმი
მიუნხენი, 20.12.2002 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „უცხო თვალით“ დანახული ნიუ-იორკი

...ულამაზესია მანჰეტენი, ნიუ-იორკის ერთ-ერთი მთავარი უბანი. განსაკუთრებით კი სწორედ ღამით და სწორედ თვითფრინავის სიმაღლიდან.

არის ისეთი რამ, რაც ნიუ-იორკში არ არის? – არა, გიპასუხებენ ძირძველი ნიუ-იორკელები და ქალაქზე შეყვარებული ახალი მაცხოვრებლები. ნიუ-იორკში, გეტყვიან ისინი, არის ყველაფერი, თან ყველაფერი მხოლოდ აღმატებით ხარისხში: საუკეთესო და ყველაზე ცუდი, უძვირფასესი და ყველაზე იაფიც... ნიუ-იორკი ამაღელვებელი და დამძაბველია, აღტაცების ამღძვრელი და შემმინებელი, წინააღმდეგობებით აღსავსე, ანუ „კონტრასტების ქალაქი“, როგორც ჩვენი მოძმე რუსები იტყოდნენ. და თუ თქვენი ვიზიტისას, მართლაც აღმოაჩინეთ ის, რაც ნიუ-იორკში არ არის (რაც სავსებით შესაძლებელია), ნუ შეეცდებით ქალაქის ძირძველ და ახალ მაცხოვრებლებთან ამაზე დისკუსიის წამოწყებას, აზრი არა აქვს.
ვთქვათ, თქვენ აღმოაჩინეთ, რომ ნიუ-იორკს ცენტრი არა აქვს, ის საკვანძო წერტილი, რასაც ევროპულ ქალაქებში ხართ მიჩვეული – დაუფიქრებლად მიიღებთ სწრაფ პასუხს: ცენტრი? ნიუ-იორკს ასობით ცენტრი აქვს! ყოველ უბანს აქვს თავისი „ათვლის წერტილი“, ყველა ნაციონალობას და საერთო ინტერესების მქონე ადამიანებს თავიანთი ცენტრები – ებრაელებს თუ ჩინელებს, სოჰოსა თუ დასავლეთ ნაწილის ბინადრებს, აქციონერებს, სტუდენტებს, პოლიტიკოსებს, ხელოვანებს, მულტიმილიონერებსა და უსახლკაროებს. თუ რამეს ვერ აღმოაჩენთ, თქვენივე ბრალია – ესეიგი იქ არ ეძებდით და კარგად არ ეძებდით...
პირადად ჩემთვის კი ყველაზე დიდი აღმოჩენა ნიუ-იორკის ერთ-ერთი უბნის ბრუკლინის ნაწილი – „ბრაიტონი“ იყო. ბრაიტონი ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ზედ ოკეანეზე მდებარეობს. ჩვეულებრივი მოკვდავი იქ Q მატარებლით, სწრაფით ან ადგილობრივით, ჩემი „ათვლის წერტილიდან“, მანჰეტენიდან, დაახლოებით 40 წუთში მოხვდება. მატარებლის სადგურიდან გამოსვლისას პირველი, მეორე და, ალბათ, ყველა მომდევნო შთაბეჭდილება გაოცება, გაუგებრობა და დაბნეულობაა – თქვენს თვალწინ რუსეთია!
ბრაიტონზე ბევრი ქართველი ცხოვრობს და ის, რომ ქუჩაში, მაღაზიაში თუ ტრანსპორტში აუცილებლად შეხვდებათ თანამემამულე, ჩვეულებრივი მოვლენაა ქალაქის ამ ნაწილში. მაგრამ იმ გრძნობას, რომ სწორედ რუსეთში ხართ და არა საქართველოში, ამ ენაზე მოლაპარაკეთა სიჭარბის გარდა, მაღაზიებისა და რეკლამების რუსული წარწერები ქმნის; „Вечерний Нью-Йорк“-ისა და „Новое русское слово“-ს შეძენაც, სხვა მრავალ რუსულ გაზეთთან ერთად, ბრუკლინში ნებისმიერ კუთხეში შეგიძლიათ.




რუსეთი კი რაღა რუსეთია ქართული რესტორნისა და ღვინის გარეშე... "ფიროსმანიც" და "თბილისიც" ფიროსმანისეულად არის მოხატული და ქართველებისა და მათი სტუმრების თავშეყრის ადგილს წარმოადგენს. თუმცა ქართველიც რაღა ქართველია კინკლაობის გარეშე და ამ ორ რესტორანს წაჩხუბებაც მოუსწრია თურმე. მათ კი, ვისაც საქართველოსთან ყოველი კონტაქტის გაწყვეტა სურს, მაგრამ ქართულ ღვინოს ვერ ელევა, მისი შეძენაც ნებისმიერ მაღაზიაში შეუძლია.



ისევე როგორც მსოფლიოს ბევრს ქვეყანაში, აქაც ცხოვრობენ ქართველები, რომლებიც რაღაცას ელიან, ზოგი უკეთეს სამუშაოს, ზოგი გასესხებულ ვალს, ზოგი საბუთს და ზოგიც საქართველოში დაბრუნების დღეს. წლები გადის, ის დღე კი მოახლოების მაგივრად სულ სადღაც შორს იპარება - "ჩვენ აგერ უკვე 5 წელია მივიდვართ..."

და მაინც, არის ისეთი რამ რაც ნიუ-იორკში არ არის?
თუკი ქალაქში არის უბანი, რომელშიც შეიძლება დაიბადო და ისე მოკვდე, რომ ინგლისური სიტყვის თქმაც არ დაგჭირდეს, თუკი ტელეფონების წიგნში ნაპოვნი სახელით საავადმყოფოში მიხვალ და იმკურნალებ, თუკი მელიის ქურქში გამოწყობილ ქალბატონთან ქუჩაში ნებისმიერ რუსულ წამალს იშოვნი (რათქმაუნდა, თუ პოლიცია არ არის შორიახლოს), თუკი კიკაბიძისა და "ნატვრის ხის" კასეტა იყიდება, თუკი ქართულ გაზეთს გამოიწერ და გაჭირვების ჟამს გოგის ან ჯემალის სასტუმროში მიხვალ, თუკი ტოლმისათვის ვაზის ფოთლის ყიდვა არ გაგიჭირდება სომხურ მაღაზიაში, თუკი... არა, იქ, ალბათ, მართლა ყველაფერია და თუ ბრაიტონზე ვერა, ქალაქის სხვა უბნებში აღმოაჩენთ აუცილებლად.

თვითფრინავის ფანჯრიდან ბრაიტონი არ ჩანს, მხოლოდ განათებული მანჰეტენი...

ნინო ხაბელაშვილი
ნიუ-იორკი; 2003 წელი

## ქალა ერთობაშია

### ინტერვიუ ინტარვიუ ქ-ნ. თეა გულბანთან და შარლოტტე ჰანსენთან

> *რას გვეტყოდით თქვენი ორგანიზაციის შესახებ? როდის და რა მიზნით შეიქმნა ივი და ვინ არიან მისი დამფუძნებლები და წევრები?*

– შ. ჰ. დანია საქართველოს მეგობრობის კავშირი "მისია საქართველო" დაარსდა 1999 წლის 16 სექტემბერს, კოპენჰაგენში. თეა გულბიანისა და შარლოტტე ჰანსენის მიერ. მიზანი – ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული ხიდის გახსნა. წესდება საკმაოდ ვრცსელია და მოიცავს ბევრს სფეროს: კულტურა, განატლება, სპორტი და სხვა. მაგრამ დრეს დრეობიტ ჩვენ აქცენტს ჰუმანიტარულ დახმარებაზე ვაჩერებთ. საზოგადოებას დაახლოებით 500 წევრი ჰყავს და მათი ძირითადად ნაწილი დანიელები არიან. წელიწადში ოთხჯერ დანიურ ენაზე გამოვცემთ ჟურნალს "მისია საქართველო", რომელითაც ვამუქებთ საქართველოში შექმნილ ვითარებას და ვაკეთებთ ანგარიშს განხორციელებული საქველმოქმედო აქციების შესახებ.

> *თუ შეიძლება მოგვახსენეთ თქვენს მიერ ჩატარებული კონკრეტული ღონისძიებების შესახებ? და რა მეთოდებით ახორციელებთ ფინანსური სახსრების მოზიდვას?*




ჟურნალი მისია საქართველო

– თ. გ. საქართველოში სხვა და სხვა ტიპის საქველმოქმედო აქციებს ვახორციელებთ. კერძოდ ორი წლის განმავლობაში ვეხმარებოდით ძეგვის ბავშვთა სახლს: პროდუქტებით, შეშით, ტანსაცმლით, წამლებით და სხვა. კახეთის მხარეში ორას ოჯახს ძროხები ვაჩუქეთ. საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოსახლეობას, სკოლებს და დაწესებულებებს, ეკლესიებს საჩუქრად გადავეცით რელიგიური წიგნი – „ცხროვრების წიგნი". ოზურგეთის რაიონის სამ სოფელში მოსახლეობას წელიწადში ორჯერ ვაძლევთ დახმარებას პროდუქტებისა და ტანსაცმლის სახით. იქვე გვაქვს გახსნილი საკვირაო სკოლა სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის. ეს ბავშვები კვირაში ერთჯერ მოდიან, სადილობენ და ეუფლებიან წერა კითხვას. გარდა ზემოდ ხსენებულისა თბილისში მაცხოვრებელი ოცი ბავშვი დანიელი მშობლებისაგან ღებულობენ ყოველთვიურ ფულად დახმარებას. რაც შეეხება ჩვენ ხელთ არსებულ სახსრებს მათ უდიდეს ნაწილს საწევრო შენატანები და კერძო შემოწირულობები წარმოადგენს.

> *ისახავს თუ არა მიზნად თქვენი ორგანიზაცია აგრეთვე დანიაში მცხოვრები ქართველების კორდინაციიასა და მხარდაჭერას?*

– შ. ჰ. არა. მაგრამ თეა გულბიანი აწყობს შეხვედრებს დანიაში მცხოვრები ქართველებთან.

> *ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში შექმნილია სხვადასხვა სახის ქართული თუ საქართველოს მხარდამჭერი ორგანიზაციები. თქვენი აზრით შეიძლება თუ არა მათი მოქმედების კოორდინაცია და რა სახით შეიძლება მოხდეს ერთობლივი პროექტების განხორციელება?*



თეა გულბანი და შარლოტტე ჰანსენი

– შ. ჰ. კოორდინაცია რა თქმა უნდა შესაძლებელია – სასურველია. ჩვენ ამაზე ვმუშაობთ, რომ უფრო დიდი ძალით დავეხმაროთ გაჭირვებაში მყოფ ხალხს საქართველოში. აუცილებელია ამ ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარება და მომავალ პროექტებზე შეთანხმება.

> *უკანასკნელი აღწერის საფუძველზე საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 4,4 მლნ.-ს შეადგენს ანუ ივი დაახლოებით 20%-ით შემცირდა. სამწუხაროა, რომ ემიგრირებულთა დიდი ნაწილი ახალგაზრდობაა, ამას ემატება აგრეთვე ინტელექტუალური პოტენციალის გადინება. როგორ უყურებთ ამ პროცესს, არის თუ არა ეს უარყოფითი მოვლენა, ან შეიძლება თუ არა ამ ტენდენციის შეჩერება ან კონტროლირება საქართველოს სასარგებლოდ გამოყენების თვალსაზრისით?*

– თ. გ. ეს ფაქტი, მოვლენა ჩემთვის ძალზედ მტკივნეულია. ჩემი ოცნებაა საქართველოში დავბრუნდეთ გაერთიანებული ძალებით ინტელექტუალური პოტენციალით და ავაშენოთ ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა საიდანაც არავინ არასოდეს არ გაიქცევა. სოფლის შენებას რა უნდა? ერთი პირველი ხმა უნდა! ერთიც მეორე ხმა უნდა! ერთიც კარგი ბანი უნდამ, ხომ უნდა? ასე რომ ახალი საქართველოს შენებისათვის ყველამ ხელები უნდა დავიკაპიწოთ და ერთამ ვიშრომოთ.

➢ *თქვენი აზრით დაახლოებით რამდენი ქართველია დანიაში და როგორ მოახდენდით მათ კლასიფიკაციას ასაკობრივი ჯგუფის, პროფესიისა და სტატუსის მიხედვით? არსებობს თუ არა დანიაში რაიმე ქართული ორგანიზაცია (სათვისტომო)?*



ქართული სათვისტომო დანიაში

– თ. გ. ჩემი ინფორმაციით დანიაში მაცხოვრებელ ქართველთა რაოდენობა სულ რაღაც 40 კაცს აღწევს. სამი თუ ოთხი ოჯახი აქ აფხაზეთიდან ლტოლვილის სტატუსიდ ცხოვრობს, ზოგი ოჯახი კონტრაქტით მუშაობს დანიის სხვა და სხვა დაწესებულებაში (ისინი ძირითადად მეცნიერები ან სხვადასხვა სახის მაღალ-კვალიფიცირებული სპეციალისტები არიან) და ზოგსაც შერეული ოჯახები აქვთ შექმნილი. საშუალო ასაკი დაახლოებით 35 წელს შეადგენს თუმცა აქ არიან აგრეთვე ბავშვებიც. სწორედ ეს ხალხი წარმოადგენს ქართულ სათვისტომოს დანიაში.

➢ *როგორ ფიქრობთ რით შეგვიძლია საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს დავეხმაროთ ჩვენს ჩვენს ქვეყანასა თანამემამულეებს?*

– თ. გ. ყველა ჩვენთაგანს შეუძლია სურვილისამებრ წვლილი შეიტანოს ამ დიდ საქმეში. როგორც მატერიალურად ასევე სულიერად, ლოცვითა და რწმენით. ძალა ხომ ერთობაშია.

➢ *მარლოტე თუ შეიძლება მოგვიყევით თქვენს შესახებ!*

– შ. პ. მე ვარ დანიელი გოგონა, რომელსაც უზომოდ უყვარს საქართველო. დავამთავრე კოპენჰაგენის უნივერსიტეტი, სლავისტიკის ფაკულტეტი. თეას დიდი მეგობარი ვარ უკვე 9 წელია. მიყვარს სიმღერა და ცურვა.

➢ *როგორ მოხვდით პირველად საქართველოში და რა იყო თქვენი შთაბეჭდილება?*

1994 წლის 13 აპრელს ჩავფრინდი თბილისში ინგლისური ენის მასწავლებლად. ლამაზი, თბილი ბუნება ილეიძებდა... გემრიელი საჭმელი... გულთბილი ხალხი... ახალი სამყარო!!!

➢ *რამ გამოიწვია თქვენი საქართველოსა და ქართული ენისადმი ესოდენ დიდი სიყვარული?*

– შ. პ. ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობამ. თბილმა გულმა, ერთგულებამა და ზრუნვამ დამათრო, ამას დაემატა საქართველოს ბუნება, მრავალ ხმიანი სიმღერა და მრავალფეროვანი სამზარეულო. რა თქმა უნდა, საქართველო და ქართული ენა ძირითადად ჩემმა საყვარელმა მეგობარმა თეამ შემაყვარა. მასთან ერთად ვესტუმრე საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულს და სწორედ მისი პედაგოგიური სიმკაცრის დახმარებით დავეუფლე ქართულ წერა-კითხვას, ლექსსა თუ სიმღერას.

➢ *როგორ უკავშირებთ თქვენს მომავალს საქართველოს?*

– შ. პ. საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა და ჩემი ნახევარი გულიც იქაა ჩემ საყვარელ კართველ ხალხთან, რომელიც ძალიან მენატრება. ჩემი სურვილია საქართველოს უფრო ხშირად ვესტუმრო (უკვე 11 ჯერ ვარ ნამყოფი იქ). იმედია მომავალში საქართველოში ვიცხოვრებ. ვიცი რომ საკართველოში ვიმოგზაურებ სანამ ცოცხალი ვარ.

➢ *და ბოლოს, რას უსურვებდით ჩვენი ჟურნალის მკითხველებს საშობაოდ?*

– შ. პ., თ. გ. ბედნიერ შობა ახალ წელს. მამული, ენა, სარწმუნოება არ დაგავიწყდეთ არასოდეს. უფალი ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ზაზა მესხი
1.01.02 კოპენჰაგენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერვიუ ბ-ნ. პროფესორ ამირან ამბროლაძესთან

კოპენჰაგენში მიუნხენის ქართული მართლმადიდებელი კელესიის გასვლითი წირვისას გავიცანი ბ-ნ ამირან ამბროლაძის ოჯახის, რომელიც დანიის ქართული სათვისტომოსათვის ამ ფრიად მნიშვნელოვან დღესასწაულზე შვედეთიდან სპეციალურად ჩამობრძანდა და ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვეთანხმდა.

➢ *ბატონო ამირან თუ შეიძლება წარმოგვიდგინეთ თქვენი ოჯახი?*

– ჩვენი ოჯახი საკმაოდ დიდია; მეუღლე: თამილა რევიშვილი, ორი ქალიშვილი: თინათინი და ანო და სამი წლის გიორგი.

➢ *როდის და რა მიზნით წამოხვედით საქართველოდან ან რას მოღვაწეობთ ამჟამად?*

– საქართველოდან ცხრა წლის წინ წამოვედით სამეცნიერო მოწვევით. ახლა ვმუშაობ ლუნდის უნივერსიტეტში, მათემატიკის ფაკულტეტზე. ჩემი მეუღლეც მატემატიკოსია. ის ამჟამად გიმნაზიაში ასწავლის.



ამბროლაძეების ოჯახი: ბ-ნ ამირანი, ანო, თინათინი, გიორგი და ქ-ნ თამილა

➢ *რამდენად შეესაბამებოდა რეალობას თქვენი წარმოდგენა სამღვარგარეთ ცხოვრების შესახებ და რა არის თქვენთვის ყველაზე სასიამოვნო ან ყველაზე რთული მომენტი შვედეთში ცხოვრებისას?*

– აქაური ცხოვრება ძირითადად შეესაბამებოდა ჩემს წარმოდგენას, ამიტომ შეგუება ძალიან არ გამჭირვებია, თუმცა საკუთარი ქვეყნის ნოსტალგია დროსთან ერთად უფრო და უფრო ძლიერდება.

ყველაზე სასიამოვნო ჩემთვის შვედეთში არის წესრიგი და სისუფთავე, სიტყვის და კანონის პატივისცემა.

რაც შეეხება რთულ მომენტს, ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემაა სკოლა; – ბევრი შვედი პოლიტიკოსის აზრით სკოლა უნდა იყოს გასართობი ადგილი, სადაც ნიშნების დაწერაც კი აკრძალულია (მერვე კლასამდე). ამ პოლიტიკის შედეგია სწავლების და დისციპლინის ძალიან დაბალი დონე აქაურ სკოლებში. მათემატიკის ფაკულტეტზე, სადაც მე ვმუშაობ, მთავარი სასაუბრო თემაა, თუ როგორ შესამჩნევად ეცემა ყოველწლიურად სტუდენტების დონე მათემატიკაში. ამ პოლიტიკამ უკვე დაატყო კვალი შვედურ ეკონომიკას.

➢ *უკანასკნელი აღწერის საფუძველზე საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 4.4 მლნ.-ს შეადგენს ანუ იგი დაახლოებით 20%-ით შემცირდა. სამწუხაროა, რომ ემიგრირებულთა დიდი ნაწილი ახალგაზრდობაა, ამას ემატება აგრეთვე ინტელექტუალური პოტენციალის გადინება. როგორ უყურებთ ამ პროცესს, არის თუ არა ეს უარყოფითი მოვლენა? და შეიძლება თუ არა ამ ტენდენციის შეჩერება ან მართვა საქართველოს სასარგებლოდ გამოყენების თვალსაზრისით?*

– ეს მოვლენა შეიძლება დადებითიც იყოს და უარყობითიც საქართველოსთვის, – გააჩნია თუ როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში. თუ მდგომარეობა დარეგულირდა და ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსა, მაშინ ბევრი ქართველი დაუბრუნდება თავის ქვეყანას უცხოური გამოცდილებით და ცოდნით გამდიდრებული. თუ მდგომარეობა საქართველოში არ დარეგულირდა, მაშინ ამ პროცესს, სამწუხაროდ, ვერაფერი შეაჩერებს.

➢ *თქვენი აზრით დაახლოებით რამდენი ქართველია შვედეთში და როგორ მოახდენდით მათ კლასიფიკაციას ასაკობრივი ჯგუფის, პროფესიისა და სტატუსის მიხედვით? არსებობს თუ არა შვედეთში რაიმე ქართული ორგანიზაცია (სათვისტომო) ან თუნდაც შვედეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება?*

– იქნება ალბათ დაახლოებით 20-30 კაცი, ვისაც მე ვიცნობ. ისინი ან მეცნიერები არიან, ან ვინც დაქორწინდა შვედზე. მე არ ვიცი თუ არიან საქართველოდან ლტოლვილები შვედეთში. ასეთი მცირე რაოდენობის პირობებში ძნელია რაიმე სერიოზული ორგანიზაციის ჩამოყალიბება. თუმცა კონტაქტები გვაქვს და ბევრს რეგულარულად ვხვდებით.

➢ *როგორ ფიქრობთ ჩვენ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, რით შეგვიძლია დავეხმაროთ ჩვენს ქვეყანასა და გაჭირვებაში მყოფ თანამემამულეებს?*

– რამდენადაც მე ვიცი, უცხოეთში მცხოვრები ქართველებისგან, საერთო ჯამში, საკმაოდ დიდი სახსრები იგზავნება საქართველოში, როგორც კერძო დახმარების, ასევე ინვესტიციების სახით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია დახმარება საქმიანი თუ სამეცნიერო კონტაქტების დამყარებაში. ამ

მიმართულებით, ალბათ, მეტიც უნდა გაკეთდეს. კარგი იქნებოდა ასეეე, თუ უცხოეთში მცხოვრები ქართველები მეტ ზეგავლენას მოახდენდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

➢ *სამწუხაროდ, უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვების დიდი ნაწილი ვერ ფლობს მშობლიურ ენას. საბედნიეროდ ამას ვერ ვიტყვით თქვენს შვილებზე. რას ურჩევდით ქართველ მშობლებს, რათა მათმა შვილებმა შეინარჩუნონ ქართული ენა და შეისისხლხორცონ საქართველოს – როგორც სამშობლოს მცნება?*

– ჩვენ ოჯახში ქართულად ელაპარაკობთ. პატარა გიორგისაც, რომელიც შვედეთში დაიბადა, ქართულად ველაპარაკებით. თუმცა ენა – ეს ძალზედ დიდი პრობლემაა, - შვედეთის სკოლებში ბავშვები სწავლობენ შვედურს, ინგლისურს და კიდევ ერთ უცხო ენას. ჩვენ ვეცადეთ ეს დამატებითი უცხო ენა აგვეცილებინა ჩვენი გოგონებისთვის, მაგრამ მათი სკოლის ხელმძღვანელობა ამაზე არ დაგვეთანხმდა. ჩვენ ვცდილობთ ხშირად ჩავიყვანოთ ბავშვები საქართველოში რათა მათ ქართული ენა და კულტურა არ დაავიწყდეთ.

➢ *და ბოლოს, რას უსურვებდით ჩვენი ჟურნალის მკითხველებს საშობაოდ?*

– როგორც მე ვიცი, თქვენი ჟურნალის მკითხველები ძირიდადად გერმანიაში სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდობაა. მე ვუსურვებდი მათ გაეკეთებინოთ ის საქმე რისთვისაც არიან ჩამოსულნი, ანუ მიიღონ ცოდნა. ეს არის ყველაზე დიდი, რაც მათ შეიძლება გააკეთონ თავიანთი თავისთვის და საკუთარი ქვეყნისთვის.

ზაზა მესხი
2.01.02 კოპენჰაგენი

## ქართულმა თეატრმა ვაშინგტონში უმაღლესი ჯილდო მიიღო

Synetic theater Studio თითქმის ორი წელია, რაც ვაშინგტონის წამყვანი თეატრების რიგს შეუერთდა. ამ თეატრის სპექტაკლებზე დასასწრებად ბილეთებს რამოდენიმე კვირით ადრე უკვეთავენ. მასზე ცნობილი კრიტიკოსები და თეატრთმცოდნეები წერენ. ენამწარე "ვაშინგტონ ფოსტიც" კი. რომელშიც დაბეჭდილი საქებარი სტატია იშვიათად თუ უნახავს ვინმეს, ამ თეატრზე საუბრისას აღფრთოვანებას ვერ მალავს.

სტატიებში აქამდე სულ ხუთი ადამიანის გვარი ფიგურირებდა – პაატა და ირინა ციქურიშვილები, ირაკლი კავსაძე, გოგი ალესი-მესხიშვილი და გია ყანჩელი. რამდენიმე თვეა, მათ რიცხვს კახი კავსაძეც მიემატა.

შუაგულ ვაშინგტონში არსებობს თეატრი, სადაც ქართველები მოღვაწეობენ... ყველაფერი კი თბილისის პანტომიმის თეატრში დაიწყო, როცა ცნობილი სპექტაკლის, "კრიმანჭულის" ნახვის შემდეგ აღფრთოვანებულმა თაყვანისმცემლებმა ყველა მონაწილე გერმანიაში მიიპატიჟეს. 1995 წელს კი პაატა ციქურიშვილი დასს გამოეყო და მეუღლესთან – მსახიობ და ქორეოგრაფ ირინა ციქურიშვილთან ერთად, ამერიკაში გაემგზავრა. წყვილი "კლასიკ თეატრის" დირექტორმა, ინა შაპირომ ჯერ საკუთარი თეატრის იუბილეზე მიიწვია, შემდეგ კი დასშიც მიიღო. მალე პაატას ჩეხოვის "კაშტანკას" დადგმა შესთავაზეს. სპექტაკლის წარმატებამ ინტერნაციონალური თეატრის შექმნა განაპირობა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ ქარეოგრაფად პაატა და ირინა ციქურიშვილები დაინიშნენ. ამ თეატრს "სტანისლავსკის თეატრ-სტუდიის" სახელით იცნობენ. სწორედ მის ბაზაზე შეიქმნა "შინეტიც თჰეატერ შტუდიო". დასში ირაკლი კავსაძე მიიწვიეს...

ამერიკაში არსებობს ე.წ. თეატრალური "ოსკარი" – ჰელენ ჰეიზის სახელობის პრიზი. ის ამერიკის თეატრალურ სამყაროში ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ ითვლება. ჰელენ ჰეიზი გამოჩენილი მსახიობი ქალი გახლდათ, რომელმაც ვაშინგტონში თეატრალური საზოგადოება ჩამოაყალიბა და პირველი თატრი შექმნა. მისი სახელობის პრიზზე წარდგენა ყველა თეატრისათვის და თეატრის მოღვაწისათვის დიდი პატივია.

რეპერტუარში დოსტოევსკის "იდიოტის" გამოჩენის შემდეგ ირინა ციქურიშვილი საუკეთესო ქორეოგრაფის, ხოლო პაატა ციქურიშვილი და მისი პარტნიორი, ანდრეი მალაევ-ბაბელი საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაზე წარადგინეს.

"თუ ჟიური ჰელენ ჰეიზის პრემიას "იდიოტს" არ მიანიჭებს, უმჯობესია არაკომპეტენტურობის საფუძველზე საერთოდ შეწყვიტოს არსებობა", – წერდა ცნობილი კრიტიკოსი, ბობ ანტონი.

ირინა ციქურიშვილი პირველი ქართველია, რომელმაც ეს პრიზი დაიმსახურა. "იდიოტის" შემდეგ მას კიდევ ორჯერ მიანიჭეს ჰელენ ჰეიზის სახელობის პრემია.

მიმდინარე წლის აპრილში Synetic theater Studio-მ მაყურებელს "ჰამლეტის" პრემიერა შესთავაზა. ათიათასჯერ დადგმული სპექტაკლის ასეთ განსხვავებულ ვერსიას არავინ ელოდა – მსახიობები "ჰამლეტს" უსიტყვოდ თამაშობდნენ.

"მსგავსი "ჰამლეტი" არსად დადგმულა" – აჭრელდა წამყვანი გაზეთების პირველი გვერდები...

"უსიტყვოდ "ჰამლეტის" დადგმის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ვცდებოდი", – გამოუტყდა მკითხველს ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი, პიტერ ფეი.

"ჩვენი თეატრი სინთეზურია, აერთიანებს გამოხატვის ანუ "სახიობის" ყველა ფორმას, ვიზუალურს, ვოკალურს, მუსიკას, ცეკვას, ლიტერატურას, დრამას, პანტომიმას, მხატვრობას და ა.შ. – აღნიშნავს პაატა – ამერიკაში თავის დამკვიდრება რთული და გრძელი პროცესია, მაგრამ ეს ის ქვეყანაა, რომელიც საშუალებას გაძლევს სრულად გამოავლინო საკუთარი შესაძლებლობები".

"საქართველოდან წასვლა არ ნიშნავს იმას, რომ გავექეცი მას. უბრალოდ, ვფიქრობ, თუ მსახიობს მიეცემა საშუალება, უფრო ფართო ასპრეზზე გამოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები, მან უნდა გამოიყენოს ეს შანსი. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც", – გვწერს ირაკლი კავსაძე.

"მე, პირველ რიგში, ქორეოგრაფი ვარ და შემდეგ მსახიობი. მუშაობის განმავლობაში ყველა პარტიის შესრულება მიწევს და მხოლოდ ბოლო კვირას ვუთმობ საკუთარ როლს", – იტყობინება ირინა ციქურიშვილი.

"შუაგულ ვაშინგტონში ქართველებმა თეატრი შექმნეს – ამაზე დიდი სიხარული რაღა გინდათ? სამწუხაროდ, რომ მათი წარმატებები ყველაზე ნაკლებად ქართველებს აინტერესებთ", – აღშფოთებას ვერ მალავდა ბატონი კახი კავსაძე ვაშინგტონში გამგზავრებამდე...

წლევანდელი სეზიონი Synetic theater Studio-მ 31 ოქტომბერს გახსნა. ქართველმა მსახიობებმა მაყურებელს პრემიერა შესთავაზეს. ამ სპექტაკლს ჯერ კიდევ აპრილიდან ელოდნენ ამერიკელი თეატრის მოყვარულები. ანონსის მიხედვით, მათთვის ცნობილი იყო, რომ საყვარელი დასი ვაჟა-ფშაველას "სტუმარ-მასპინძელს" წარუდგენდა. როლები ასე გადანაწილდა: აღაზა – ირინა ციქურიშვილი, ჯოყოლა – ირაკლი კავსაძე, ზვიადაური – პაატა ციქურიშვილი, მუსა – კახი კავსაძე...

აპლოდისმენტები დიდხანს არ ცხრებოდა...

- მართლაც საინტერესო სპექტაკლი გამოვიდა – ეტყვის ტელეფონში კახი კავსაძე ნანუკა ხუსკივაძეს. – კახის ჩემი ძმის, ჩემი და საკუთარი ნამუშევრების ქება არ სჩვევია, ე.ი. მართლაც საოცრებაა – მეუბნება ნანუკა.

"ვაჟა-ფშაველა ინგლისურ ენაზე"... – ამ ფრაზით იწყებს სპეციალურ გადაცემას ამერიკის ხმა

პრესაში ისევ გაჩნდა ცნობილი ავტორების – ბობ ანტონის, პიტერ ფეის, უილიამ ტრიპლეტის, ჯეინ ჰოროვიჩის, ლოიდ როუზის აღფრთოვანების გამომხატველი რეცენზიები...

სპექტაკლი 2 დეკემბრამდე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ რადგან უამრავი მსურველი უბილეთობის გამო დარბაზში ვერ მოხვდა, მაყურებელთა მოთხოვნას თეატრის მესვეურები და მსახიობები დაყაბულდნენ – "სტუმარ-მასპინძელს" 25 დეკემბრამდე ყოველდღე ითამაშებენ... ყველა ბილეთი უკვე წინასწარაა გაყიდული...

სპექტაკლი მხატვრულად გოგი ალექსი-მესხიშვილმა გააფორმა, მუსიკა ვახტანგ კახიძეს ეკუთვნის...

აი ასე, შუაგულ ამერიკაში ძირძველ ქართულ სამოსში გამოწყობილი ქართველი მსახიობები თვალცრემლიანები იდგნენ სცენაზე და თაყვანს სცემდნენ ვაჟა-ფშაველას ხსოვნას...

მაყურებელი მათ კულისებში დიდხანს არ უშვებდა.

ქართველ ემიგრანტთა გაზეთი აშშ-ში

ნ.ხ. "ივერია"; 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „სუხიშვილების“ კიდევ ერთი წარმატება

„ქართველები ხალხია, რომელთაც ცეკვა სისხლში აქვთ.“

The Washington Post

24 ოქტომბრიდან 6 დეკემბრამდე ამერიკის შეერთებული შტატების სცენები ი. სუხიშვილის სახელობის ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს მასპინძლობდა. კონცერტები 15 სხვადასხვა შტატში, 35 სხვადასხვა თეატრსა და ხელოვნების ცენტრში გაიმართა.

*„ჩვენმა ანსამბლმა მთელს მსოფლიოში იმოგზაურა – ავსტრალია, კანადა, აშშ, ფინეთი, გერმანია, საფრანგეთი, რუმინეთი, ბელგია, დანია, ავსტრია, ინგლისი და იტალია – ყველგან დიდი აღფრთოვანებით გვეგებებოდნენ. ჩვენ გვქონდა კონცერტები Albert Hall-ში, Coliseum-ში, Metropolitan Opera-ში, Madison Square Garden-ში და სხვა უამრავ სცენაზე. 1967 წელს კი La Scala-მ გვიმასპინძლა – მე მჯერა, ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ხალხური ცეკვის ანსამბლს იქ წარდგენის საშუალება მიეცა. ეს ყოველთვის დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.“ – იგონებდა ნინო რამიშვილი.*

23 ოქტომბერს, გიორგობას, მათ კონცერტი ნიუ-იორკში, ბრონქსში გაიმართეს. ამ კონცერტის შესახებ ქალაქის ყველაზე დიდი გაზეთი “ნიუ-იორკ თაიმსი” (The New York Times) წერდა:

The New York Times



„საქართველოს ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს დღეს ქალაქ ნიუ-იორკში წარდგენა არ სჭირდება. ეს იყო ხალხისათვის უკვე ნაცნობი ანსამბლის წარმოდგენა ბრონქსში, ლემანის ხელოვნების ცენტრში, შაბათ საღამოს. მაყურებელთა უმრავლესობას ახალი ემიგრანტები შეადგენდნენ, რომელთაც სიმღერის აყოლით, ადგილზე ცეკვითა და ხმამაღალი შეძახილებით სილამაზე შემატეს კონცერტს.

„ისინი დარბიან, ხტიან და ტრიალებენ“

57 წლის ანსამბლი წარმოგვიდგენს შესანიშნავ შოუს, რომელიც თავის მწვერვალს მამაკაცების ცნობილი აკრობატიკით აღწევს: როდესაც ისინი დარბიან, ხტიან და ტრიალებენ ფეხის წვერებსა და მუხლებზე. თენგიზ სუხიშვილისა და მისი ვაჟის ილია სუხიშვილის მიერ დადგმული ნაწილები დაფუძნებულია უძველეს ტრადიციულ ცეკვასა და მუსიკაზე...

...ზოგიერთ ცეკვაში ისმის ხანჯლების ჭახა-ჭუხი, ცვივა ნაპერწკლები. ძირითადად კი სცენაზეა წმინდა კლასიკური ცეკვა: სწრაფი მოძრაობები, მამაკაცთა ტრიალი და ქალთა ნარნარი გაშლილი ხელებით. სვლა ნელ-ნელა ჩქარდება, ცეკვა და მუსიკა უფრო მეტყველი ხდება, რაც წარმოდგენის მეორე ნაწილს კელტურ ელფერს აძლევს. მაგრამ ელეგანტურობა და სინატიფე მაინც ცეკვის ძირითად თვისებად რჩება.



წარმოდგენილი 23 ცეკვიდან და ერთი მუსიკალური ნომრიდან, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ცეკვა “სამაია” იყო, რომელშიც სამი ამაყი ქალი ისე გრაციოზულად და ნაზად მოძრაობს, რომ თვალწინ ცეკვის შთამაგონებელი შუა საუკუნეების ფრესკა გვიდგება. საქორწინო ცეკვა “სიმდში” სცენა გადაიქცევა შავ-თეთრი ხაზებისა და ორნამენტების მდელოდ.

სოლომონ ვირსალაძისა და თენგიზ სუხიშვილის ქალიშვილის, ნინო სუხიშვილის მიერ შექმნილი მოცეკვავეთა ჩაცმულობა მდიდრული და გემოვნებიანია...“

ანსამბლი უკვე 50 წელზე მეტია რაც არსებობს და დღემდე მსოფლიოს ქართული ცეკვის მაღალ ხელოვნებას აცნობს.

ნინო ხაბელაშვილი

ნიუ-იორკი: 2002 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „Dancing Crane“-ი

## ამერიკელები ცეკვავენ “ქართულს”

„რამოდენიმე წლის წინ გაფხულის თბილისური ციდან უამრავი ფარფატა ფურცელი ჩამოცვივდა. მასზე მხოლოდ ოთხი სიტყვა იყო გამოყვანილი: „დინამო ელის თქვენს მხარდაჭერას“. მამინ თბილისის დინამო, რომელიღაც ევროპულ გუნდს ხვდებოდა და მასზე დასასწრებად იწვევდა გულშემატკივრებს.

ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამჯერადაც...

პირველად შენზეა დამოკიდებული, მკითხველო, ამერიკაში არსებული ქართული ცეკვისა და სიმღერის თეატრის მომავალი, და ის წინადადებაც, რომლის შემდეგ დღეს კითხვის ნიშანი დგას:

- იარსებებს თუ არა მომავალში?

მოდით ხმამაღლა ვთქვათ: იარსებებს!

ამისათვის თქვენი მხარდაჭერაა საჭირო, მხოლოდ თქვენი სტუმრობით.“ – ამ სიტყვებით მოუწოდებდა ნიუ-ჯერსის ქართველ ემიგრანტთა გაზეთი „ივერია“ თავის მკითხველს, დასწრებოდა ქართული ცეკვისა და სიმღერის თეატრის „Dancing Crane“-ის კონცერტს 2002 წლის 24 ნოემბერს.



ქართული ცეკვისა და სიმღერის თეატრი არის პროფესიონალ მოცეკვავეთა, მომღერალთა, მუსიკოსთა და თეტრის მსახიობთა ჯგუფი, რომლიც დიდი საშემსრულებლო ხელოვნებით მსოფლიო კულტურას წარმოადგენს. ანსამბლის მთავარი მიმართულებაა ქართული ცეკვა და სიმღერა, მათი შესწავლა და ფოლკლორული ტრადიციების წარმოდგენა, გარდა ამისა, მათი ევოლუცია თანამედროვე ფორმებში.

ანსამბლი 1996 წლიდან მოქმედებს და ქართულ ცეკვასა და მუსიკას წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი მხატვრული ხელმძღვანელია ვარვიკში მცხოვრები ვიქტორ სირელსონი, რომელიც ადრე ლოს-ანჯელესის ამანის ხალხური ხელოვნების ანსამბლს ხელმძღვანელობდა. ქართული ცეკვისა და სიმღერის თეატრი მისი ოცნების შედეგია – შეეტანა სილამაზე და სიბრძნე, ნამდვილი, უძველესი ტრადიციები თავის საზოგადოებაში და აეგო ხიდი ამ ძველ კულტურასა და ამერიკის თანამედროვე საზოგადოებას შორის. საუკეთესო კონტაქტი კი, მისი აზრით, ამ საქმეში ხალხის პირადი ჩართვით მყარდება. სწორედ ამ შეხედულებითა და მიზნით, ანსამბლი როგორც ქართველ პროფესიონალ, ასევე ადგილობრივ ნიჭიერ შემსრულებელთაგან ჩამოყალიბდა.





მოცეკვავეთა ჯგუფის მთავარი ქორეოგრაფია ბ-ნი ვლადიმერ (დათო) გოდერიძე. წლების მანძილზე იგი თვითონ იყო ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, საქართველოს სახელმწიფო ანსამბლ „რეროს“ სოლისტი და შემდეგ ანსამბლ „მეტეხის“ ქორეოგრაფი; მუსიკოსთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ვანო გოდერძიშვილი, საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ანსამბლ „კოლხეთის“ წევრი.

ანსამბლმა თავისი არსებობის მოკლე დროში, ნიუ-იორკისა და მის შემოგარენში გამართული კონცერტებით, სადაც მაღალ შემსრულებლურ დონეს ავლენდა, მაყურებელთა დიდი სიმპატია დაიმსახურა.



Warwick- ში, Middeltown´s Paramount- ისა თუ Museum Village-ის თეატრებში გამართულ კონცერტებს არაერთხელ გამოუწვევიათ მაყურებელთა ცრემლი და ოვაციები ფეხზე დგომით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ანსამბლის უნიკალურობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ეს არის ნიუ-იორკის შტატის ანსამბლი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან როგორც ქართველი პროფესიონალები, ასევე ამერიკელი ხელოვანები. იგი მართლა ინტერნაციონალურია და ორ განსხვავებულ ნაციონალურ და კულტურულ ჯგუფს, ერთმანეთის ფასეულობების შესწავლისა და გაზიარების საშუალებას აძლევს.

კონცერტი, რომელზეც გაზეთი „ივერია“ თავის მკითხველს იწვევდა ქალაქ ნიუ-იორკის ერთ-ერთ პარკში, ქვინსის პატარა, მყუდრო თეატრში გაიმართა. გაისმა ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერები, რუსული რომანსები და, რათქმაუნდა, შესრულდა ქართული ხალხური ცეკვები, რომლებიც, როგორც LE FIGARO წერდა: „ყოველმა ადამიანმა ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა ნახოს“.

ნინო ხაბელაშვილი

ნიუ-იორკი; 2003 წელი

## ჩვენი ეპარქია ბრიუსელში

2002 წლის 17 ოქტომბერს, ქ. თბილისში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა. სხვადასხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა საკითხი დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ეპარქიის ქვეშ შექმნის შესახებ. წმიდა სინოდმა საკითხის განხილვის შემდეგ საჭიროდ ჩათვალა და დაადგინა შეიქმნას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დასავლეთ ევროპის ეპარქია.

ეპარქიის მმართველად წმიდა სინოდმა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია). იგი აქამომდე იყო ჭიათურის ეპარქიის მმართველი, ასევე საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი.

ახლად შექმნილი ეპარქიის რეზიდენცია იქნება ქ. ბრიუსელში.

წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული
მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვარი მიუნხენში
მამა მამუკა (თაეხელიძე). დეკემბერი, 2002 წ.

## განცხადება

"მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგია ბოდიშს იხდის ჩვენი ჟურნალის მკითხველების წინაშე, რადგან ჩვენი ჟურნალის საახალწლო ნომრის გამოცემა ტექნიკური მიზეზების გამო დაგვიანდა.

ჟურნალ "მ.ს." სარედაქციო კოლეგია
პარიზი, 2003 წლის იანვარი

## ბალანსი

"მებრძოლი საქართველო", 32(50). 1.1.2003 წ.

გამოცემის ხარჯები: გასავალი (დაბეჭდვა, დაგზავნა და სხვა)..........636 ევრო;
შემოწირულება კარლო ინასარიძისა..............636 ევრო.

# საქართველო

"Geographie ist die einzige Konstante der auswärtigen Beziehungen"

"მეც მუქა-მუქა ლაგიდავეს და ამიტომა ლამაგარაველი"

"გეოგრაფია არის ერთადერთი კონ-სტანტური საგარეო ურთიერთობაში"



# პატარა „ოქროს ხანა" 1918-1921






ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

### ა მ ო ნ ა წ ე რ ი

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან (პარიზი, 1896 წელი, 27 აპრილი): პირველი შესწორება: ლევილი. 1995 წელი, 17 აგვისტო):

„მუხლი მესამე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რ ომლის მიზანიასაქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით.“

„მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს“.

## ერთობა მრავალფეროვნებაში

# მებრძოლი საქართველო

## „LA GÉORGIE COMBATTAN TE“

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

1 იანვარი, 2003 წელი – ნომ. 32(50) – **1re Janvier 2003**

**პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის**
**ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება**
**საჭირო შესაძლებელი გახადო**

„ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა.“

„მესამე დასი“, *1893* წელი.

დაარსდა: 1952 წელს პარიზში — Fondation: Janvier 1952, Paris

წერილი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბატონი მამია პერიშვილი

CHATEAU DE LEUVILLE
91310 – Leuville sur Orge
France
Tel : (331) – 6054 – 6157

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ-775